



თანამედროვე ფინანსური ლექსიკონი

სერია – “რჩევები მოხელეთათვის”



საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკა

თბილისი, 2005



**საქართველოს მთავრობის ბიზნეს-გეგმვის
ინიციატივა სერიის – “რეგიონალური განვითარების”**

**მომზადდა და გამოცემა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტმა
“საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის საქმიანობის ეფექტიანობისა
და ტრანსპარენტობის გაუმჯობესება”
UNDP/GEO/00036279; UNDP/GEO/00041626**

ლექსიკონი შეადგინა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის “ფინანსებისა და კრედიტების” კათედრის დოცენტმა,
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა თამარ ციგროშვილმა

ლექსიკონის რედაქტორია გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტი
დოცენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ეკა გურგენიძე

ლექსიკონის შედგენისა და მომზადების სხვადასხვა სტადიებზე მონაწილეობდა
ავტორთა კოლექტივი - გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტები:
დოცენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი კახა ლემეტრაშვილი,
ეკა პეტრიაშვილი, დავით გოგიჩაიშვილი, ნოდარ ნაფცეგარიძე,
ზაზა ჩატანაუა, მიხეილ გვარჯალაძე, მანანა სალუქვაძე, დავით ჯაიანი,
დოცენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ ხაღური

ლექსიკონი ტექნიკურად მოამზადეს გაეროს განვითარების პროგრამის
პროექტის თანამშრომლებმა მაკა მაიშველაშვილმა და ნანა კასრელიშვილმა



ავტორთა ჯგუფის რეკვიზიტები:

თბილისი, 0179, ერისთავის ქ. 9; გაეროს სახლი, ოფისი 112
გაეროს განვითარების პროგრამის ეროვნულ კონსულტანტთა ჯგუფი
UNDP Georgia - NCTeam (CIMS Consulting)
ტელ.: 253203, 253166, 253167
Internet: ncteam@cims.ge www.cims.ge

თანამედროვე
ფინანსური
ლექსიკონი

1700-მდე ტერმინი

მძირე განმარტებითი ლექსიკონი
უცხოენოვანი ტერმინები
საერთაშორისო აბრევიატურები
სპეციფიური ინფორმაცია

საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის სერია – “რჩევები მოხელეთათვის” გამოდის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ სახელმწიფო მართვის, მენეჯმენტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების სფეროში საქართველოს პარლამენტისა და მთავრობისთვის განხორციელებული პროექტების ეგიდით. მისი ავტორია ამ პროექტების განმახორციელებელი ეროვნულ ექსპერტ-კონსულტანტთა ჯგუფი (UNDP Georgia - NCTeam), რომელმაც, მრავალ სხვა პუბლიკაციათა შორის, 1998-2005 წლებში ოფიციალურად მოაზადა და გამოსცა:

- ☐ ინფორმაციისა და მართვის სისტემა. პრაქტიკული სახელმძღვანელო (სამი გამოცემა)
- ☐ სახელმწიფო მართვის სრულყოფის საკითხები: მეთოდოლოგიური მიდგომები და რეკომენდაციები. მეთოდური სახელმძღვანელო (ორი გამოცემა)
- ☐ თანამედროვე ფინანსური ლექსიკონი
- ☐ პერსონალის მართვა: მეთოდოლოგიური მიდგომები და პრაქტიკული რეკომენდაციები
- ☐ პერსონალის მართვა. მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელო
- ☐ მოხელის სამაგიდო ლექსიკონი

“საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის” სერიით - “რჩევები მოხელეთათვის” გამოცემული ქვემოთ ჩამოთვლილი ბროშურები მენეჯმენტის, ახალი ტექნოლოგიების, პერსონალის მართვისა და ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნების შემდეგ აქტუალურ საკითხებს შეეხება:

- ☐ თანამშრომელთა მართვა
- ☐ საუბრის წარმართვა
- ☐ ლიდერობის მიღწევა
- ☐ საჯარო გამოსვლების მომზადება და ჩატარება
- ☐ საკმაიანი ეტიკეტი
- ☐ საკმაიანი მიმოწერა
- ☐ დროის მართვა
- ☐ თვითმენეჯმენტი
- ☐ ინტერნეტი დამწყებთათვის
- ☐ ინტერნეტის პრაქტიკული გამოყენება
- ☐ კონფლიქტების მართვა

მათში გასაგები ენითაა გადმოცემული განვითარებული (დასავლური ცივილიზაციის) ქვეყნების საჯარო პოლიტიკასა და სახელმწიფო სამსახურში აღიარებული და დამკვიდრებული პრინციპები. მიდგომები, ქცევის წესები და ფასეულობები. ვფიქრობთ, ის დახმარებას გაუწევს საქართველოს საჯარო სამსახურში დასაქმებულებსა და არა მხოლოდ მათ.

გაეროს განვითარების პროგრამის ეროვნულ ექსპერტ-კონსულტანტთა გუნდს განზრახული აქვს მომავალშიც გააგრძელოს ანალოგიური (მეთოდური, დიდაქტიკური, პრაქტიკული, საინსტრუქციო, საცნობარო, ლექსიკოგრაფიული და სხვა სახის) პუბლიკაციები სახელმწიფო თუ ზოგადად, მართვის აქტუალურ საკითხებზე.

შინაარსი

წინასიტყვაობა	83· 7
მცირე განმარტებითი ლექსიკონი	9
ა	10
ბ	17
გ	24
დ	31
ე	38
ვ	40
გ	43
თ	44
ი	45
კ	48
ქ	55
ლ	58
მ	66
ნ	69
ა	71
ჟ	75
ზ	76
ს	81
ტ	97
პ	100
ჟ	102
ჩ	108
ც	109
ც	110
მ	111
ნ	113
ც	114
ა	115
ფ	116
ქ	118
ხ	119
ა	120
უცხოენოვანი ტერმინები	121
A	122
B	125
C	128

D	130
E	133
F	134
G	137
H	139
I	140
J	142
K	143
L	144
M	146
N	149
O	150
P	152
Q	156
R	157
S	160
T	164
U	167
V	169
W	170
Y	171
Z	172
საერთაშორისო აკრედიტაციები	173
ABI - ASX	174
BDF - BOJ	174
CA - CRD	175
EAGGF - EURO	176
FCIA - FSE	176
IBRD - IPO	177
LCH - LTOM	177
MATIF - MTFA	178
NASDAQ - NYSE	178
OTOB - OPEC	179
PA - PSBR	179
RIE - RPB	180
SA - SWIFT	180
TAURUS - TSE	181
ULS - USM	182
VAT	182
საეკონომიკური ინფორმაცია	183
გამოყენებული ლიტერატურა	190

წინასიტყვაობა

წინამდებარე "თანამედროვე ფინანსური ლექსიკონი" საქართველოს მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის - "საქართველოს საფინანსო სისტემის მოდერნიზება" ეგიდით და პროექტის ექსპერტ-კონსულტანტთა აქტიური მონაწილეობითაა მომზადებული და გამოცემული. ასეთი ლექსიკონის შექმნის აუცილებლობა, უპირატესად, განპირობებულია შემდეგით: საქართველოში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ, საერთაშორისო ეკონომიკურმა და განსაკუთრებით თვისებრივად ახალმა ფინანსურმა ურთიერთობებმა, თანამედროვე ფინანსური ბაზრისა და საბანკო სისტემის განვითარებამ ჩვენს ცხოვრებაში ძალზე ბევრი ახალი, უცნობი ტერმინი და დეფინიცია შემოიტანა და თანდათანობით დაამკვიდრა; მათ შორის არც თუ ცოტაა ისეთი, რომელთაც უშუალო ქართული შესატყვისი სადღეისოდ არ გააჩნიათ. გასაგებია, თუ რა დიდი მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საერთოდ და მითუმეტეს ფინანსებთან და საბანკო საქმესთან დაკავშირებული ტერმინების სწორ იდენტიფიცირებასა და განმარტებას.

ლექსიკონი შედგენილია თანამედროვე უცხოური ავტორიტეტული გამოცემების საფუძველზე ამ სფეროში ქართული მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევათა გათვალისწინებით. ის სამ ნაწილს მოიცავს: პირველ ნაწილში ფინანსური ცნებების განმარტებაა მოცემული, მეორეში - უცხოენოვანი, შედარებით ყველაზე ფართოდ გავრცელებული ტერმინების დეფინიციები, ხოლო მესამეში - ასევე ფართოდ გავრცელებული საერთაშორისო აბრევიატურებია დახასიათებული. ლექსიკონს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

ლექსიკონის მოცულობრივი სიმცირის მიუხედავად ავტორთა კოლექტივს მიაჩნია, რომ ის მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საქართველოს ეკონომიკის, განსაკუთრებით მისი საფინანსო-საბანკო სექტორის განვითარებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო მოხელეებს, მეცნიერებს, პედაგოგებს, სტუდენტებს, მათ შორის დასავლეთის ქვეყნებში მოსწავლე ან უკვე დაბრუნებულ ახალგაზრდებს, ბიზნესმენებს, საერთოდ ყველას, ვისაც კი რაიმე შეხება აქვს ქვეყნის ფინანსურ სისტემასთან.

ამ მცირე ფინანსური ლექსიკონის "ელექტრონული ვერსია" განლაგდება გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის მიერ შექმნილ საქართველოს

ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ახალ website-ზე მისამართზე: www.mof.ge (ესტუმრეთ და გამოიყენეთ ამ საიტის სხვა რესურსებიც).

ავტორთა კოლექტივი განსაკუთრებით მადლობას უხდის დახმარებისთვის გაეროს საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელობას. პირადად ბ-ნ ლანს კლარკს, ქ-ნ კაარინა იმმონენს, ქ-ნ ნატო ალხაზიშვილს, ბ-ნ ვახტანგ სევანიძეს და ქ-ნ ლიკა შელეგიას, აგრეთვე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობას ტრადიციული თანამშრომლობისა და მაქსიმალური მხარდაჭერისთვის.

ლექსიკონი შეიძლება არ იყოს დაზღვეული ზოგიერთი მექანიკური თუ სხვა სახის ხარვეზისაგან. ავტორთა კოლექტივი მადლიერების გრძნობით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნას.

**მცირე
განმარტებითი
ლექსიკონი**



აბანდონი: გემის ან გადასატანი ტვირთის მფლობელის მიერ დაზღვეულ ქონებაზე უფლების დაკარგვა დამზღვევის სასარგებლოდ იმ პირობით, თუ ეს უკანასკნელი დაზღვევის სრულ თანხას გადაიხდის.

აგენტი: პიროვნება, რომელიც სხვისი დავალებით მოქმედებს (რწმუნებული, წარმომადგენელი, კომერციული შუამავალი, ბროკერი, დილერი, მაკლერი და სხვა).

აგრესიული ფასიანი ქაღალდები: ფასიანი ქაღალდები, რომლებზედაც მოსალოდნელია კურსის აწევა და რომელიც უზრუნველყოფს კაპიტალის სწრაფ ზრდას.

ადვალორემი: საბაჟო გადასახადი, რომელიც ამოიღება საქონლის საბაჟო ღირებულებიდან გარკვეული პროცენტის სახით.

ადგილობრივი ბიუჯეტი: ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების ბიუჯეტი.

ადგილობრივი გადასახადები: გადასახადები, რომლებიც ამოიღება ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულებიდან და ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში.

ადმინისტრაციული ჯარიმა: გადასახადი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის.

ავალი: სათამასუქო მინდობილობა, რომლის მიხედვითაც გარკვეული პირი თამასუქით კისრულობს რაიმე ვალდებულებების შესასრულებლად პასუხისმგებლობას.

ავანსი: ფულის გარკვეული თანხა, რომელიც წინასწარ გაიცემა საქონლის ან მომსახურების ღირებულების ნაწილის სახით, მაგალითად, 10, 25 პროცენტი ან სხვა თანხა მთლიანი ღირებულებიდან. დანარჩენი თანხა გაიცემა სამუშაოს დამთავრების ან პროდუქციის სრული ოდენობით დამზადების შემდეგ.

ავანტაჟი: სამეურნეო ოპერაციაში ხელსაყრელი მდგომარეობა, გამორჩენა, სარგებელი, ხეირო.

ავერსი: ლითონის ფულის, მედლის წინა მხარე, შუბლი.

ავიზო: ბანკის მიერ გაცემული ცნობა, შეტყობინება, რომელიც ლოკუმენტის სახით ეგზავნება კლიენტს აკრედიტივის გახსნის,

სეაღღებულო თანხის გადახდის ან გადაუხდელობის შესახებ. ავიზოთი აღირიცხება, აგრეთვე, ბანკში კლიენტის ანგარიშზე ფულადი სახსრების შემოსვლა.

ავისტა: ფასიან ქაღალდზე გაკეთებული წარწერა იმის თაობაზე, რომ ამ დოკუმენტის ანგარიშსწორება, მისი განაღდება შეიძლება წარდგენისთანავე ან წარდგენიდან გარკვეული ვადის განმავლობაში.

ავუარი: ქონება, სიმდიდრე. ცალკეული პიროვნების, სახელმწიფოს ან ბანკის ქონება (უცხო ვალუტა, ფასიანი ქაღალდები, ოქრო და სხვა); ანაბარი, რომელიც უცხოეთის ბანკებში ინახება.

ავუარები: 1) ფულადი დოკუმენტები (ჩეკები, თამასუქები, გზავნილები, აკრედიტივები), რომელთა მეშვეობით ხდება ფულის გადახდა და ვალდებულებების დაფარვა. 2) ბანკის სახსრები, რომლებიც მის ანგარიშზე იმყოფება საზღვარგარეთის ბანკებში უცხოური ვალუტის სახით.

აკვიზიცია: აქციონერთა შეთანხმება გარკვეული სააქციო საზოგადოების მიერ ბირჟაზე გამოშვებული აქციების სრული ოდენობით შესყიდვაზე; ასეთი მოქმედება ფაქტობრივად მთელი ობიექტის (საწარმოს, კომპანიის და სხვა) შესყიდვას ნიშნავს. აკვიზიცია არსებობს მტრული და მშვიდობიანი. პირველ შემთხვევაში აქციების შესყიდვა ხდება თვით კომპანიის გვერდის ავლით; თუ ეს პროცესი თანხმობით ხდება, მაშინ საქმე გვაქვს მშვიდობიან აკვიზიციასთან.

აკორდული გადასახადი: გადასახადი, რომელიც ერთნაირია ყველა პიროვნებისთვის; მას აღგენს სახელმწიფო იმ დონეზე, რომ იგი არაა დამოკიდებული შესყიდვებისა და შემოსავლების სიდიდეზე.

აკორდული დაბეგვრა: ითვალისწინებს საგადასახადო ორგანოთა უფლებას განსაზღვრულ სიტუაციაში ამოიღონ გადასახადი შემოსავლების ერთიანი თანხიდან.

აკრედიტივი: საკრედიტო დაწესებულების (ბანკის) მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც ის ავალებს სხვა ასეთსავე დაწესებულებას მისცეს აკრედიტივის წარმომდგენს მოთხოვნილი თანხა.

ალვაროლური საბაჟო ტარიფი: საბაჟო გადასახადების ჩამონათვალი საქონლის ჯგუფების მიხედვით, რომელიც ერიცხება მოცემულ ქვეყანაში შემოსატან უცხოურ ან გასატან ეროვნულ საქონელს. საბაჟო ტარიფი ჩვეულებრივ მოიცავს საქონლის დასახელებას, გადასახადებით დაბეგვრის ერთეულსა და გადასახადების განაკეთს.

აღონები: თამასუქებზე მიკრული დამატებითი ფურცელი, რომელზეც აღნიშნულია სათავედებო გარანტია.

ალ-პარი: ქალაქის ფულის ან ოქროს ვალუტის სრული შესაბამისობა. ალპარი, აგრეთვე, აღნიშნავს ფასიანი ქალაქდების საბირჟო კურსისა და გადასაყვანი თამასუქების ნომინალური ღირებულების ტოლობას საბაზრო კურსთან.

ალტერნატიული გადასახადი ჩუქებასა და მემკვიდრეობაზე: გადასახადი რომელიც გადაიხდება პირის მიერ მემკვიდრეობის ან საჩუქრის მიღების შემთხვევაში და შეადგენს მათ ნაწილს.

ალტერნატიული დანახარჯი: საქონლისა და მომსახურების მოცულობა, რომელიც შესაძლებელია მივიღოთ სხვა რაიმეს დათმობის შედეგად.

ამალგმაცია: საბანკო კაპიტალის შერწყმა კონკურენციის საფუძველზე.

ამონაგები: რეალიზებული პროდუქტიდან, გაწეული მომსახურებიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი.

ამორტიზაცია: გრძელვადიანი აქტივების ღირებულების ნაწილ-ნაწილ, მათი ცვეთის შესაბამისად პროდუქციის თვითღირებულებაში გადატანის პროცესი; ამ გზით დაგროვილი თანხა ამორტიზაციის ფონდია, რომლის ერთი ნაწილი გამოიყენება გაცვეთილი მოწყობილობების (ძირითადი ფონდების) მწყობრიდან გამოსული ნაწილების აღდგენისათვის (შეკეთებისათვის), ხოლო მეორე ნაწილი - ახლის შესაძენად.

ანაზღაურება (ზარალის კომპენსაცია): ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ დანაქარებასა და ზარალზე კომპენსაციის სახით მიღებული ფულადი თანხა (მაგ. ცილისწამებაზე).

ანგარიში: შეიძლება იყოს ფინანსური, ტექსტური, აკადემიური, ადმინისტრაციული ან ყველა სახის ერთად.

ანგარიშ-ფაქტურა: ტვირთბარათი, რომელიც მოიცავს გასაყიდად გასაგზავნი საქონლის ან მომსახურების სახელობით ჩანაწერს. მასში, როგორც წესი, მითითებულია საქონლის გასაყიდი ფასი, სხვა რეკვიზიტები და გადაეცემა ან ეგზავნება მყიდველს.

ანგარიშსწორების დღე: გარიგების მიხედვით ბირჟაზე ანგარიშსწორების დამთავრების დრო.

ანგარიში მოთხოვნამდე: საბანკო ანგარიში, რომლიდანაც მეანაბრეს შეუძლია ჩეკის შევსებით თანხის მოხსნა დროის ნებისმიერ მომენტში.

ანდერრაიტერი: ფასიანი ქაღალდების ოპერაციების მაკლერი.

ანტიდემპინგური ბაჟი: შემოზიდვის ბაჟის სახე, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის შიდა ბაზრის დაცვას სადემპინგო ფასებში შემოტანილი საქონლისგან (იხ. "დემპინგი").

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა: კანონები, რომლებიც კრძალავენ კონკურენციის შეზღუდვის პრაქტიკას და მონოპოლიური ძალების გაძლიერებას.

ანტისაგადასახადო სვოპი: როცა ინვესტორი საგადასახადო წლის ბოლოს პყიდის ერთ წყება აქციებს ზარალის მოსაჩვენებლად და გადასახადებზე თავის ასარიდებლად, შემდეგ კი ახდენს აქედან მიღებული სახსრების რეინვესტირებას სხვა ისეთ აქციებში, რომელთაგანაც იგი უფრო მეტ შემოსავალს მოულის (იხ. აგრეთვე "სვოპი").

ანტისაგადასახადო სტელაჟი: გადასახადის გადახდაში არსებული დეალიანების ერთი წლით გადატანის მეთოდი.

ანტრეპრენიორი: პიროვნება, რომელიც აფუძნებს და შემდეგ აწარმოებს ბიზნესს. ჩვეულებრივ იგულისხმება ის პირი, რომელიც ეწევა გარკვეულ რისკს შემდგომი მოგების მიღების მიზნით.

ანტიციკლური აქციები: იმ კომპანიების მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდები, რომელთა შემოსავლები იცვლება საერთო ეკონომიკური ტენდენციის საპირისპირო მიმართულებით (იხ. აგრეთვე "ემიტენტი").

ანტიციპაცია: ვალდებულებებით დადგენილ ვადაზე ვალის გადახდა.

ანუიტეტი: სახელმწიფო გრძელვადიანი, სასწრაფო სესხი, ვალისა და გადასახდელი პროცენტის ყოველწლიური დაფარვით. ანუიტეტის დროს კრედიტორს სესხში ეძლევა რენტა. ანუიტეტი შეიძლება განსაზღვრული იყოს ან წელთა რაოდენობით (30, 60, 90 წელი), ან მფლობელის სიცოცხლის ვადით.

აპორტები: ქონება, რომელიც გადაეცემა სააქციო საზოგადოებას აქციების საფასურად.

აჟიო: 1) განსხვავება (ნამეტი) ბირჟაზე გაყიდული ფასიანი ქაღალდის (ან სხვა ფასეულობის) საბირჟო ფასსა და ნომინალს შორის. საბირჟო ფასების მკვეთრ მერყეობას ნომინალთან შედარებით აჟიოტაჟს უწოდებენ (იგივეა, რაც "ლაჟი"). 2) ბირჟაზე აქციის კურსის აწევა (საპირისპიროა "დიზაჟიო").

არაკუმულაციური აქცია: ის პრივილიგირებული აქციებია, რომელთა მფლობელი გაუცემელ დივიდენდებს არ იღებს (დივიდენდი სამუდამოდაა დაკარგული).

არაბიუჯეტური სახსრები: სახელმწიფოს ფულადი ფონდები, რომლებიც არ შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში და იხმარება განსაკუთრებული მიზნობრივი დანიშნულებით (მაგ. დაზღვევის ფონდი).

არაბიუჯეტური ხარჯები: ხარჯები, რომლებიც არაა გათვალისწინებული ბიუჯეტის ხარჯთა ჩამონათვალში და გაიცემა არაბიუჯეტური წყაროებიდან.

არაინდექსური ობლიგაცია: ობლიგაცია, რომელზედაც გავლენას ახდენს ინფლაცია, რადგანაც დაფარვის დროს ობლიგაციის ხელმძღვრე უკან იღებს გაუფასურებულ ფულს.

არაკონვერტირებადი (ჩაკეტილი) ვალუტა: ეროვნული ვალუტა, რომელიც არ იცვლება სხვა ქვეყნის ვალუტაზე, სახელმწიფო ბანკის დახმარების და სახელმწიფო ორგანოების უფლების მიცემის გარეშე.

არაოფიციალური ბირჟა: ადგილი, სადაც მიმდინარეობს ოფიციალურ ბირჟაზე არარეგისტრირებული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა.

არაპირდაპირი გადასახადი: გადასახადი საქონელსა და მომსახურებაზე, როდესაც გადასახადის ობიექტი არ ჩანს და რომელიც უშუალოდ შედის ფასებისა და ტარიფების სტრუქტურაში.

არაპირდაპირი დანახარჯები: დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული წარმოებასთან.

არასააქციო კორპორაცია: ისეთი არამომგებიანი კორპორაცია, რომელშიც მის წევრებს აქციები არა აქვთ (რელიგიური, საქველმოქმედო).

არასაგადასახადო შემოსავალი: შემოსავალი, რომელიც საგადასახადო კოდესით არ არის გათვალისწინებული.

არასრული ლოტები: 100-ზე ნაკლები რაოდენობის აქციების პარტია.

არასტანდარტული საგადასახადო შეღავათები: შეღავათები, რომლებიც განისაზღვრება გადასახადის გადამხდელის ფაქტობრივი დანახარჯების სიდიდის მიხედვით.

არაფინანსური ინვესტიცია: არაფულადი ინვესტიცია დაბანდებული ინვესტიციების უფლების ფორმით: ლიცენზიებში, ქონებაში, პროექტებში და ა.შ.

არბიტრაჟი: საწარმოო-ეკონომიკური დავის გადაწყვეტის წესი, პროცესი.

ასიგნება (თანხის გაღება): სახელმწიფო ბიუჯეტიდან განსაზღვრული ფულადი თანხის გამოყოფა დამტკიცებული ხარჯების გასაწევად.

ასიგნებული გადასახადი: გადასახადი, რომელიც გამიზნულია კონკრეტული საქმიანობის ან კონკრეტულ ხარჯთა დასაფინანსებლად.

აუდიტი: ფინანსური ანალიზი, ბუღალტრული კონტროლი, ორგანიზაციის, კომპანიის და ა.შ. სამეურნეო ან სხვა სახის საქმიანობის რევიზია.

აუტსაიდერი (დამოუკიდებელი): 1) ბროკერი, რომელიც არ არის ბირჟის წევრი. 2) ბირჟაზე არარეგისტრირებული აქციებით დასაქმებული დილერი.

აუქციონი: ვაჭრობის განსაკუთრებული სახე. იმართება საქონლის საჯარო გაყიდვის მიზნით.

აფილირება: მიერთება აფილირებულად ჩაითვლება ყოველი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ვინც თავისი კაპიტალით მიუერთდება რომელიმე სტრუქტურას (ამხანაგობას, სააქციო საზოგადოებას, ბანკის ფონდს და სხვა) და გააფორმებს ხელშეკრულებას ახალი გაერთიანების ერთობლივი მართვის თაობაზე.

აფორფე: საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება გადასაყვანი თამასუქების გათვალისწინებით, რეგრესიის უფლების გარეშე, ე.ი. თამასუქის მყიდველი გადაუხდელობის მთელ რისკს თვითონ კისრულობს და უფლება არა აქვს პრეტენზია განუცხადოს თამასუქის ადრინდელ მფლობელს.

აქტიური ბაზარი: ბაზარი, რომელსაც ახასიათებს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი ოპერაციები.

აქტიური და პასიური შემოსავლები: აქტიურია შემოსავლები რეწვიდან, შრომითი ხელშეკრულების შედეგად და ა.შ. პასიურია შემოსავლები, ინვესტიციებიდან, დივიდენდებიდან, პროცენტებიდან და ა.შ.

აქტიური ფასიანი ქაღალდი: ფასიანი ქაღალდები, რომლებიც წარმოადგენენ მასობრივი ყიდვა-გაყიდვის ობიექტს, ასეთი ფასიანი ქაღალდების კოტირება ხშირად ქვეყნდება პრესაში.

აქტუარი: სადაზღვევო საქმის ორგანიზატორი, სადაზღვევო ტექნოლოგიის სპეციალისტი, რომელიც სადაზღვევო შენატანებისა და პრემიების დარიცხვას ანგარიშობს.

აქცეპტი: თანხმობა ისეთ წინადადებაზე, რომელშიც შემოთავაზებულია პირობები, რომელთა მიხედვით უნდა წარიმართოს მხარეთა შორის შეთანხმება.

აქცეპტირებული თამასუქი: ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას, რომ სესხის ამღები გარკვეული დროის შემდეგ ბანკის მეშვეობით გადაიხდის კუთვნილ თანხას. ბანკი ამ შემთხვევაში შუამავლის როლს ასრულებს.

აქცეპტანტი: ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც აიღო თავის თავზე ვალდებულება გაანაღდოს თამასუქი, ანგარიში.

აქცეპტზე უარის თქმა: გადამხდელის მიერ წერილობით ფორმაში გამოხატული უარი წარდგენილი ანგარიშის გადაუხდელობის შესახებ.

აქცია: ფასიანი ქაღალდი, კომპანიის წილობრივი მფლობელობის უფლება, რომელიც იღებს ამ სააქციო საზოგადოების მოგების წილს დივიდენდის სახით. აქცია შეიძლება იყოს: სახელობითი, წარმომდგენზე, ჩვეულებრივი, პრივილეგირებული.

აქციების აღწერა: აქციების სახელდებითი რეგისტრი. სადაც ნაჩვენებია აქციონერების სახელები და იურიდიული რეკვიზიტები.

აქციების საკონტროლო პაკეტი: აქციების ის რაოდენობა, რომელიც აძლევს საშუალებას მის მფლობელს ან მფლობელებს მართონ შესაბამისი კომპანია.

აქციზის გადასახადი: არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც ჩაირთვება საქონლის ფასში და რომლითაც, როგორც წესი, იბეგრება ფართო მოხმარების და ფუფუნების საგნები და აგრეთვე მომსახურება. სააქციზო გადასახადს იხდის მომხმარებელი.

აქციის კურსი: ფასი, რითაც იყიდება იგი საფონდო ბირჟაზე.

აქციის ნომინალური ფასი: ფასი, რომელიც აქციაზეა აღნიშნული.

აქციონერი: აქციის მფლობელი, სააქციო საზოგადოების მონაწილე. აქციონერს შეუძლია ხმის უფლება გადასცეს თავის წარმომადგენელს.

აქციის შემოსავლიანობა: აქციის წლიური დივიდენდი. გვიჩვენებს გადახდილი დივიდენდის დამოკიდებულებას ფასიანი ქაღალდის (აქციის) ღირებულებისადმი პროცენტებში.

ახალი ემისია: აქცია ან ობლიგაცია, რომელსაც პირველად ჰყიდის ორგანიზაცია ან კომპანია.

"ახალი ფული": ახალი ემისიის გზით შემდგომი გრძელვადიანი დაფინანსების თანხა. იგი მეტია იმ წინა ემისიის თანხაზე, რომელიც დაფარვას ან რეფინანსირებას ექვემდებარება.



ბაზარი:

- *ბანკთაშორის*
სასესხო კაპიტალის ბაზრის ნაწილი, სადაც საკრედიტო ორგანიზაციების დროებითი თავისუფალი ფულადი სახსრები მოიზიდება და მოთავსდება ბანკების მიერ მოკლე ვადით-ძირითადად ბანკთაშორის დეპოზიტის ფორმაში
- *კაპიტალის*
სასესხო კაპიტალის ბაზრის ნაწილი, სადაც ფორმირდება მოთხოვნა და მიწოდება საშუალო და გრძელვადიან სასესხო კაპიტალზე
- *მეორადი*
ბაზარი, სადაც ხორციელდება ფასიანი ქაღალდების მეორადი ყიდვა-გაყიდვა იმ პირებს შორის, რომლებიც არ წარმოადგენენ თავდაპირველ კრედიტორებს ან მსესხებლებს
- *ოქროს*
განსაკუთრებული ადგილები, სადაც ხდება ოქროს რეგულარული გაყიდვა
- *სასესხო კაპიტალის*
სასაქონლო ურთიერთობის სპეციფიური ფორმა, სადაც გარიგების ობიექტს წარმოადგენს სესხად გასაცემი ფულადი კაპიტალი და სადაც ხდება მასზედ მიწოდება-მოთხოვნის ფორმირება
- *ფასიანი ქაღალდების*
სასესხო კაპიტალის ბაზრის ნაწილი, სადაც ხდება ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა.

ბაზისი: საზოგადოების ეკონომიკური წყობა, სტრუქტურა, ისეთ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა, რომლებიც გარკვეული ხარისხით საწარმოო ძალთა განვითარების დონეს შეესაბამება.

ბაზრის წილი: ეს არის კომპანიის მიერ წარმოებული ერთი სახის საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ფარდობა ყველა ანალოგიური კომპანიის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალთან.

ბაი-ბეკი: გრძელვადიანი საქონელგაცელითი ოპერაცია, რომლის დროსაც კრედიტით მიღებული ძირითადი ფონდების ღირებულება ანაზღაურდება მათი მეშვეობით გამოშვებული პროდუქციის ღირებულებიდან (ამონაგებიდან). თანხა, როგორც წესი გამოიყენება მსხვილი ობიექტების

მშენებლობისათვის. წარსულში ასეთ ოპერაციებს "საკომპენსაციო შეთანხმებას" უწოდებდნენ.

ბალანსი (ტოლობა): ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა ფულადი გამოხატულებით, რომელიც აღნიშნავს კვლავწარმოების ტემპსა და მაჩვენებლებს. ეროვნულ მეურნეობაში გვიჩვენებს წარმოებისა და განაწილების პროპორციებს. საერთოდ ბალანსი და საბალანსო მეთოდები ეკონომიკაში მრავალი მიმართულებით და მნიშვნელობით იხმარება. არსებობს აქტიური, პასიური, საბუღალტრო, სავაჭრო, საგადამხდელო, საანგარიშსწორებო, თვითური, წლისა და სხვა სახის ბალანსები; ყოველი მათგანი შესაბამის მნიშვნელობას გულისხმობს, მაგრამ მთავარი შინაარსი მაინც წონასწორობასთან არის დაკავშირებული.

ბალატირება: ბირჟის საკითხის გადაწყვეტის ვარიანტი ღია ან დახურული კენჭისყრით.

ბანკების ბანკი: ცენტრალური ბანკი, რომელიც აკონტროლებს სხვა ბანკებისა და საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობას.

ბანკი: საფინანსო-საკრედიტო დაწესებულება, რომელიც თავს უყრის დროებით თავისუფალ ფულად სახსრებს და იძლევა სესხს (კრედიტს), აწარმოებს ფულად ანგარიშსწორებას კლიენტებს შორის, აგრეთვე, ფულის ნიშნებისა და ფასიანი ქაღალდების ემისიას. ამ ფუნქციების მიხედვით ბანკები იყოფა: საემისიო, კომერციულ, საინვესტიციო, შემნახველ, საექსპორტო, საერთაშორისო, სახელმწიფო და სხვა სახის ბანკებად; *ბანკები:*

- *განვითარების*
სახელმწიფო ან კერძო საფინანსო საკრედიტო ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს მსხვილი პროექტების გრძელვადიან დაკრედიტებას
- *გარანტი*
ბანკი, რომელმაც ივალდებულა, თავის კლიენტის მაგივრად მოახდინოს გადახდა მის მიერ თანხის დროზე გადაუხდელობის შემთხვევაში
- *დილერი*
კომერციული ბანკი, რომელიც აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას საფონდო ბირჟაზე
- *ინოვაციის*
სპეციალიზებული ბანკი, რომლის ძირითად ოპერაციას წარმოადგენს ვენჩურული კაპიტალის დაკრედიტება (სიახლის, ტექნიკისა და ტექნოლოგიების პროგრესი, სხვა)

- **იპოთეკური**
კომერციული ბანკი, რომელიც იძლევა იპოთეკურ კრედიტს უძრავი ქონების გარანტიით
- **კორესპოდენტი**
ბანკი, რომელიც ახორციელებს გადახდებს, ანგარიშსწორებებს და სხვა ოპერაციებს სხვა ბანკის დავალებით მისი ანგარიშიდან საკორესპოდენტო ხელშეკრულების საფუძველზე
- **სააქცეპტო**
ახორციელებს ანგარიშების განაღდებას
- **საკლირინგო**
წარმოადგენს საანგარიშსწორებო პალატის წევრს და ახდენს მასში გახსნილი ანგარიშებიდან შემდეგ მომსახურებას: განაგებს მატერიალური ფასეულობების მდგომარეობის უწყისებს, ფასიანი ქაღალდების მიღებასა და მიწოდებას, ახორციელებს ანგარიშსწორებებსა და გადახდებს
- **შემნახველი**
სპეციალიზებული ბანკი, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ანაბრების მიღება და გაცემა, აგრეთვე მოსახლეობის დაკრედიტება.

ბანკის სასაქონლო ოპერაციები: საქონლისა და სასაქონლო დოკუმენტების საფუძველზე ბანკის მიერ გაცემული სესხი.

ბანკნოტა: საბანკო ბილეთი, რომელსაც საემისიო ბანკი უშვებს და ფულის მაგივრობას ეწევა. ბანკნოტის გამოშვება ხდება საკრედიტო ოპერაციებისათვის, საქონლის ან თამასუქის თავდებით და უბრუნდება ბანკს კრედიტის ვადის დამთავრების შემდეგ. ბანკნოტას, როგორც წესი, უშვებენ სახელმწიფო დანახარჯების დასაფარავად და საბოლოოდ იგი ქაღალდის ფულის ნიშნების სახით გვევლინება.

ბანკო: ფასიანი ქაღალდების ღირებულება ან კურსი, რომლის მიხედვით ხდება მათი ყიდვა-გაყიდვა ბანკის მეშვეობით.

ბანკროტი: გაკოტრებული, არასაიმედო მევალე, ვალის გადახდის ან მომსახურების უნარს მოკლებული იურიდიული ან ფიზიკური პირი.

ბაჟი: გადასახდელის სახე, რომელიც გადაიხდება იმ პირების მიერ, რომლებიც შედიან სახელმწიფოსთან ამა თუ იმ სახის ურთიერთობებში, იღებენ მისგან უფლებასა და მომსახურებას.

ბაჟი ადვალორული (ღირებულებითი): ბაჟის სახეობა, რომელიც ამოიღება პროცენტული განაკვეთით საქონლის ან მომსახურების ღირებულებიდან.

ბაჟი სტატისტიკური: ბაჟის სახე, რომელიც ამოიღება საზღვარზე საქონლის გატანის ან შემოტანის დროს სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე (მეტრი, კგ, ბარელი, სხვა).

ბაჟი ჩუქებაზე: გადასახადი ჩუქებიდან.

ბაჟის დაბრუნება: ზედმეტად გადახდილი ბაჟის დაბრუნება გადამხდელისათვის.

ბაჟის შემოსავლით უზრუნველყოფილი ობლიგაცია: ისეთი გადასახადის სახით მიღებული შემოსავლებით უზრუნველყოფილი მუნიციპალური ობლიგაცია, რომელსაც ამ ობლიგაციების მეშვეობით დაფინანსებული საზოგადოებრივი პროექტებით მოსარგებლებებს ახდენიან.

ბარტერი: გაცვლა-გამოცვლა, საქონელგაცვლა, საქონლის უვალუტო, მაგრამ ეკვივალენტური გაცვლა, რომელსაც საფუძვლად უდევს საქონელზე მსოფლიო ან სახელშეკრულებო ფასები.

ბასორამა: განათებული სარეკლამო პანელი, რომელიც შენობის სახურავზე მარდება.

ბიზნესი: საქმე, კომერციული, სამეურნეო საქმიანობა.

ბიზნესმენი: პირი, რომელიც კომერციულ, ფინანსურ ან სამეწარმეო საქმეს ეწევა.

ბიზნეს-გეგმა: მოიცავს როგორც მიმდინარე საქმიანობას, ისე პერსპექტიულ განვითარებას უახლოესი სამი-ხუთი წლის პერიოდისათვის.

ბიმეტალიზმი: ორი ან მეტი ლითონის მონეტების მოჭრაზე დაფუძნებული ფულადი სისტემა.

ბირჟა: საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურული ელემენტი, რომელიც საბითუმო ვაჭრობის მიზნით იქმნება. ბირჟები არსებობს სამუშაო ძალის, სასაქონლო, საფონდო და სავალუტო.

ბიუჯეტი: საფინანსო გეგმა, სადაც მოცემულია შემოსავლები და ხარჯები დროის გარკვეული პერიოდისათვის.

ბიუჯეტი ავტომატური: ბიუჯეტის შედგენის წესი, როცა მონაცემების გადატანა გასული წლიდან ახალ საბიუჯეტო წელს ავტომატურად ხდება.

ბიუჯეტი ბალანსირებული: როდესაც შემოსავალი ხარჯების ტოლია.

ბიუჯეტის გარდამეტი (პრეფიციტი): სიტუაცია, როცა შემოსავლები ხარჯებზე მეტია.

ბიუჯეტის დეფიციტი: სიტუაცია, როცა შემოსავლები ხარჯებზე ნაკლებია.

ბიუჯეტის ციკლური დეფიციტი: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც გამოწვეულია საქმიანი აქტივებისა და საგადასახადო შემოსავლების შემცირებით.

ბიუჯეტის აღსრულება: საბიუჯეტო დისციპლინის ფორმა, რომელსაც საეკონომიკურ სახე აქვს და გამოდინარეობს, ერთი მხრივ, საბიუჯეტო კანონმდებლობიდან და მეორე მხრივ, სახელმწიფო ფინანსების აღრიცხვისა და კონტროლისაგან და ნიშნავს დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული შემოსავლების მიღებისა და ხარჯების განხორციელების პროცესს.

ბიუჯეტის კასური აღსრულება: ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა შემოსავლის აკრეფა და თავმოყრა ერთიან სახელმწიფო საღაროში.

ბიუჯეტის (მიმდინარე) კასური დეფიციტი: დეფიციტია მაშინ, როდესაც შემოსულობა იკვიანებს, მაგრამ ბიუჯეტს შემოსავალი ექნება, რადგან შემოსავალი მისაღებია.

ბიუჯეტის მატერიალური დეფიციტი: ისეთი დეფიციტი, როცა იგი თავიდანვე გათვალისწინებულია.

ბიუჯეტის შედგენის წესი: შედგენა ხდება მაჟორაციული, მინორაციული და მექანიკური წესით. მაჟორაციულია – როდესაც საანგარიშო წლის ბიუჯეტი მეტია გასული წლის ბიუჯეტზე; მინორაციულია – როდესაც საანგარიშო წლის ბიუჯეტი ნაკლებია გასული წლის ბიუჯეტზე; მექანიკურია – როდესაც საანგარიშო და გასული წლის ბიუჯეტები ერთმანეთის ტოლია და ბიუჯეტის ყველა მაჩვენებელი მექანიკურად გადმოიტანება.

ბიუჯეტური განწერა: ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების განაწილება ცალკეული სტატიების მიხედვით.

ბიუჯეტური ვოტა: სახელმწიფო ბიუჯეტის განყოფილება (კარი), რის მიხედვითაც ქვეყნის პარლამენტი ამტკიცებს სახელმწიფო ხარჯებს.

ბიუჯეტური დაფინანსება: ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფა სახელმწიფო პროგრამის შესასრულებლად უკან დაუბრუნებლობის პრინციპით.

ბიუჯეტური კლასიფიკაცია: ბიუჯეტის შემოსავლების, ხარჯების და დაფინანსების წყაროების დალაგება (დაჯგუფება) გარკვეული ნიშნით.

კლასიფიკაცია არსებობს ძირითადად: ეკონომიკური, ფუნქციონალური, ორგანიზაციული, შემოსავლების, ხარჯების და დაფინანსების წყაროების.

ბიუჯეტური წელი: დრო, პერიოდი, ბიუჯეტის დამტკიცებიდან მის აღსრულებამდე. ზოგიერთ სახელმწიფოში ბიუჯეტური წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ბიუჯეტში გადასახდელები: სახელმწიფო ბიუჯეტში იურიდიული ან ფიზიკური პირების შენატანები ან გადარიცხვები.

ბლოკადა: ამა თუ იმ სახელმწიფოს ეკონომიკური იზოლაცია (გამიჯვნა), რომლის მიზანია მოშალოს ქვეყნის ეკონომიკა, მოუსპოს მას ნედლეულის წყაროების და გასაღების ბაზრები, გაწყვიტოს საეკონომიკო-საფინანსო, საკრედიტო და სხვა ეკონომიკური კავშირები.

ბლოკირებული აქციები: შეთანხმებით გამოშვებული ჩვეულებრივი აქციები, რომლის თანახმად ისინი დივიდენდის უფლებას მანამდე არ იძლევიან, სანამ რაიმე მოვლენა არ მოხდება (ჩვეულებრივ შემოსავლის გარკვეული დონის მიღწევა).

ბონდჰოლდერი: აქციების, ფასიანი ქაღალდების მფლობელი.

ბონი: მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულება, რომელიც გამოიყენება ანგარიშსწორებისათვის, როგორც ფულის ერთეულის შემცვლელი. ღრობითი ქაღალდის ფულის ნიშანი.

ბონისტიკა: მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ქაღალდის ფულის ნიშნებსა და ბონებს, როგორც ისტორიულ დოკუმენტს.

ბონუსი: დამატებითი შეღავათი, რომელსაც გამყიდველი აძლევს მყიდველს. ბონუსი განისაზღვრება გარიგებითა და ცალკე შეთანხმებით (იხ. აგრეთვე "bonus").

ბონუსიანი ობლიგაცია: ვეტერანებისათვის გამოშვებული ობლიგაცია, რომელიც უზრუნველყოფს მათი პენსიის მომატებას.

“ბონუსური აქცია”: ფასიანი ქაღალდი, რომელსაც ხშირად პრემიის სახით აძლევენ კომპანიის ხელმძღვანელობის წევრებს და სხვა მოსამსახურეებს.

ბორდერი: საბუღალტრო დოკუმენტებიდან ამონაწერი, ან დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც ანგარიშგების სახის შესაბამის ორგანოებს ეგზავნება.

ბროკერი: მყიდველსა და გამყიდველს შორის შუამავალი ბირჟის მუშაკი, რომელიც ბირჟის საეკონომიკო დარბაზში ან სხვა ადგილას მოქმედებს და გარიგებებს აფორმებს.

ბროკერის ბროკერი (დილერი): პირი, საბირჟო ეაჭრობის მონაწილე, რომელიც ყიდულობს და ყიდის თავისი საკუთარი ანგარიშით.

ბრუნვა ანუ შემოსავალი: გეიზვენებს საქონლისა და მომსახურების გაყიდვის შედეგად მიღებულ შემოსავალს.

ბრუნვადობა კრედიტის: მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს სასესხო სახსრების ეფექტიანობას.

ბრუტო: 1) საქონლის მთლიანი წონა (შესაფუთი მასალით). 2) ერთობლივი შემოსავალი ხარჯების გამოუკლებლად.

ბრუტო ბიუჯეტი: ბიუჯეტის შედგენის მეთოდი, როდესაც მასში შემოსავლები და ხარჯები მოცემულია მთლიან თანხაში.

ბუმი: 1) ეროვნული მეურნეობის დარგებში დეპრესიის ან სტაგნაციის შემდეგ ხანმოკლე აღმავლობა, გამოცოცხლება. 2) ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების ან საქონლის ფასების ხელოვნურად გადიდება, რაც ხშირად სენსაციაში გადადის. 3) საერთო გაგებით რაიმე მოვლენასთან დაკავშირებული სენსაცია.

“გაბერვა”: აქციების ან საბირჟო საქონლის ფასების უეცრად და დროებით გაძვირება.

გადასახადი: ბიუჯეტში საეკონომიკურ შენატანი, რომელსაც გააჩნია არაუქვეყნალენტური და უსასყიდლო ხასიათი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი. გადასახადის სახეებია: სახელმწიფო, ადგილობრივი, პირდაპირი, არაპირდაპირი, ფულადი, ნატურალური, მიზნობრივი. გადასახადების კონკრეტული სახეები ქვემოთ აღფაეიტის მიხედვითაა ჩამოთვლილი და განმარტებული:

- **აეტოსატრანსპორტო საშუალებებზე**
გადასახადით იბეგრება აეტოსატრანსპორტის მფლობელი, მანქანის ძრავის სიმძლავრის და ასაკის მიხედვით
- **აზარტულ თამაშობებზე და სანახაობებზე**
გადასახადით იბეგრება ტოტალიზატორებიდან, სპორტული შეჯიბრების შედეგებიდან, სათამაშო აეტომატებიდან და კაზინოებიდან მიღებული მოგება
- **აქციების გადაცემაზე**
ამოიღება აქციების ან ობლიგაციების გადაცემის დროს გასამრჯელოს თანხიდან პროცენტის სახით
- **განაწილებითი**
პირდაპირი გადასახადები რომლის მთლიანი თანხა წინასწარაა დადგენილი სახელმწიფო ორგანოების მიერ და ამოიღება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისაგან, შემდეგ იგი ნაწილდება ადგილობრივი ორგანოების მიერ გადასახადის გადამხდელებს შორის
- **გარიგებაზე**
იბეგრება საქონლის ბრუნვა, უძრავი ქონების გადაცემა, გარიგებები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე
- **გასვლისათვის**
იხდის ყველა ის პირი, რომელიც გადის ქვეყნიდან
- **გაუნაწილებელ მოგებაზე**
გადასახადი შეწერილია იმ მოგებაზე, რომელიც არ განაწილებულა დივიდენდებზე
- **დაზღვევაზე**

ამოიღება სადაზღვევო საზოგადოების მიერ სადაზღვევო პოლისის გაცემიდან. გადასახადს იხდის დამზღვევეი

- *ერთდროული*
რომელიც არაა დამოკიდებული ინდივიდის საქმიანობაზე (მაგ. სულადობრივი გადასახადი)
- *ზემოგებიდან*
ამოიღება დივიდენდებიდან და კომპანიის მოგებიდან იმ შემთხვევაში, როცა გასანაწილებელი მოგება აჭარბებს გარკვეულ ზღვარს
- *კორპორაციის მოგებაზე*
გადასახადი, რომელიც შეეწერება წარმოების მთლიან (საერთო) მოგებას ზოგიერთი სახის ხარჯების გამოკლების შემდეგ (დივიდენდები, წარმოების გაფართოების ხარჯები, პროცენტები დაეალიანებაზე, ხარჯები სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის, რეკლამისათვის)
- *ლატარიაზე*
იბეგრება ლატარიის პრიზები
- *მარჟინალური*
შეზრდა, საშემოსავლო გადასახადის გადიდება; დასახადი იმ დამატებული შემოსავლიდან, რომელმაც გადააჭარბა განსაზღვრულ ღონეს
- *მთლიანი შემოსავლიდან*
ამოიღება მთლიანი შემოსავლებიდან დანახარჯების თანხის შეუმცირებლად
- *მიზნობრივი*
სახელმწიფოს მიერ სახსრების მობილიზაციის ფორმა განსაზღვრული ღონისძიებების ჩასატარებლად. განსაზღვრული მიზნისათვის (მაგ. საგზაო გადასახადი)
- *საბირჟო*
საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების ბრუნვის გადასახადი
- *საგანგებო*
გადასახადი იურიდიული და ფიზიკური პირებიდან, რომელიც შემოღებულია სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებულ შემთხვევებში
- *საკუთრების გადაცემაზე*
იბეგრება საქონლისა და საკუთრების უფლების გადაცემა (მაგ. ფასიანი ქაღალდების შესყიდვა, უძრავი ქონების გაყიდვა, სხვა)
- *სასტუმროს*

ამოიღება სასტუმროების მობინადრეების ბინადრობის ღირებულებიდან

- *სატრანზიტო მეზაერობაზე*
ამოიღება უცხოელებიდან (მაგ. ტურისტებიდან) ქვეყანაში მათი ყოფნის დროს მომსახურებაზე-კომპენსაციის სახით
- *საცალო გაყიდვაზე*
იხდის მომხმარებელი, საცალო ქსელში საქონლის ყიდვის დროს
- *საღერბო*
გადაიხდება საბუთების გაფორმებისათვის (კომპანიის რეგისტრაცია, მეურვეობის გაფორმება და ა.შ.)
- *ფიზიურ პირთა საშემოსავლო გადასახადი*
მოქალაქეთა პირადი შემოსავლებიდან გადასახდელი გადასახადი
- *ფულადი კაპიტალის შემოსავლიდან*
გადასახადი, რომლითაც იბეგრება დივიდენდები, პროცენტები, ანაბრიდან მიღებული თანხები
- *ქონების*
პირდაპირი გადასახადის სახე, რომლითაც იბეგრება უძრავ-მოძრავი ქონება. გადასახადს იხდის როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი.

გადასახადის გადახდის გადავადება: სტრატეგია, რომელიც იძლევა გადასახადის ნაწილის გადახდის გადავადების შესაძლებლობას.

გადასახადის გადაკისრება: მომხმარებელზე მთელი გადასახადის, ან მისი ნაწილის გადაკისრება მათთვის საქონლის უფრო მაღალ ფასში მიყიდვის გზით. გადაკისრება არის პირდაპირი და არაპირდაპირი.

გადასახადის ელემენტები: სახელმწიფო საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული გადასახადების ჩამოყალიბების პრინციპები და მათი ამოღების ორგანიზაცია. გადასახადის ელემენტებია:

- *განაკვეთი*
გადასახადის ოდენობა დაბეგერის ერთეულზე
- *დაბეგერის ერთეული*
შემოსავლის, ღირებულების ან ქონების ნაწილი, ერთეული, რაზედაც დაწესებულია საგადასახადო განაკვეთი (მ, კგ, ტონა, ჰა და ა.შ.)
- *ქვოტა*
გადასახადის განაკვეთი გამოხატული არა აბსოლუტური თანხით, არამედ პროცენტობით მთელ შემოსავალთან
- *მზიდველი*

გადასახადის ფაქტიური გადამხდელი

- **ობიექტი**
საგანი, ან ოპერაცია, რასაც შეეწერება გადასახადი
- **სუბიექტი**
პირი, რომელსაც კანონით ევალება გადასახადის გადახდა
- **წყარო**
გადასახადის გადამხდელის შემოსავალი
- **კაენები**
არც თუ დიდი სახელმწიფოები და კუნძულების ტერიტორიები, რომლებიც ატარებენ თავიანთ ტერიტორიაზე გადასახადების შემცირების ან სხვა შედეგების პოლიტიკას. იმისათვის, რომ მოიზიდონ სასესხო კაპიტალი.

გადასახადის ზღერული განაკვეთი: დამატებითი გადასახადი საგადასახადო ობიექტის განსაზღვრულ ყოველ დამატებით ერთეულზე.

გადასახადის მარჟინალური განაკვეთი: გადასახადის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება გადასახადით დასაბეგრი სიდიდის საბოლოო ნამატზე (შემოსავალი, მოგება).

გადასახადის საშუალო განაკვეთი: გადასახადის საერთო მოცულობის განაყოფი მთლიან შემოსავალზე.

გადასახადის პარმონიზაცია: 1) გადასახადის სისტემატიზება და უნიფიცირება. 2) საგადასახადო სისტემისა და საგადასახადო პოლიტიკის კოორდინირება ქვეყნისათვის, რომელიც შედის საერთაშორისო რეგიონალურ დაჯგუფებაში.

გადასახადისგან განთავისუფლება: კანონით დადგენა იმ ფიზიკური და იურიდიული პირების ჯგუფისა ან დასაბეგრი ობიექტის ნაწილისა, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლებიან დადგენილი გადასახადის გადახდისაგან.

გადასახადიდან “გაქცევა”: გადახდილი გადასახადის თანხის შემცირება კანონიერი საშუალებებით.

გადასახადით დაბეგვრის ორმაგი წესი: 1) ერთი და იგივე შემოსავლის ორჯერ დაბეგვრა სხვადასხვა გადასახადით. 2) ერთი და იგივე შემოსავლის (ობიექტის) იდენტური გადასახადით დაბეგვრა სხვადასხვა ქვეყნებში.

გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი: შემოსავალი, რომელზედაც არსებული განაკვეთით ახდენენებენ გადასახადს.

გადასახადით დაბეგვრის წესი: გადასახადით დაბეგვრა ზორციელდება: რეგრესული, პროგრესული და პროპორციული მეთოდებით.

გადასახადით ერთჯერადი დაბეგვრა: პრინციპი, რომლის თანახმადაც ერთი და იგივე ობიექტი შეიძლება დაიბეგროს განსაზღვრული სახის გადასახადით მხოლოდ ერთხელ.

გადასახადისგან თავის არიდება: უკანონო ქმედებანი შემოსავლის დამალვის ან არასწორი გაანგარიშების გამო.

გადასახადების ინდექსაცია: გამოიყენება რიგ ქვეყნებში საშემოსავლო გადასახადის ზოგიერთი ელემენტის შეცვლის დროს (დაუბეგრავე მინიმუმი, შეღავათები), რომელიც დამოკიდებულია სამომხმარებლო საქონელზე და მომსახურებაზე ფასების ზრდის ოფიციალურ ინდექსზე, ხელფასისა და სხვა პირადი შემოსავლების ინდექსზე.

გადასახადის განაწილება ბიუჯეტებს შორის: ე.წ. მარეგულირებელი შემოსავლები, რომლის დროსაც ბიუჯეტის რესურსები ნაწილდება ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის რგოლებს შორის.

გადასახადის ევროთამასუქი: გადასაყვანი თამასუქი, რომელიც გამოწერილია ჩვეულებრივი წესით, მაგრამ ნომინალი უცხოური ვალუტით აქვს და აქცეპტებულია იმ ქვეყნის გარეთ მისი გადახდის პირობით, რომლის ვალუტითაც ნომინალია დაწესებული.

გადასახდელი (მისაგებელი): იურიდიული და ფიზიკური პირების შენატანები ბიუჯეტში გარკვეული მომსახურებისათვის.

“გადასროლა” (“გადართვა”): ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით ერთი ფასიანი ქაღალდის გაყიდვა და მეორის ყიდვა.

გადახდისთვის მზადყოფნა: მაქსიმალური თანხა, რომლის გადასახდელადაც მზად არის გადამხდელი.

გადახდისუნარიანობის მიხედვით დაბეგვრის პრინციპი: მიდგომა, რომლის თანახმად, გადასახადები უნდა დაწესდეს გადამხდელის შესაძლებლობების მიხედვით.

გაკოტრება: როდესაც ფიზიკური პირის, კომპანიის ან სხვა რომელიმე ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა იმგვარია, რომ შეიძლება მისი გადახდის უუნაროდ გამოცხადება.

გამათანაბრებელი გადასახადი: გადასახადი, რომელიც არ ითვალისწინებს შეღავათებს და ყველა სახის შემოსავალზე გადაიხდება თანაბარი განაკვეთით.

გამოდევნა: სახელმწიფოს მიერ არაემისიური (ცენტრალური ბანკიდან პირდაპირი სესხი) სესხის აღების შედეგად ინვესტიციების შემცირება.

გამოდევნის ეფექტი: ერთობლივი მოთხოვნის შემცირება, რომელსაც აღვილი აქვს, როცა ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის შედეგად იზრდება სარგებლის განაკვეთი და, ამის გამო, მცირდება საინვესტიციო ხარჯები.

გამოსათხოვი აკრედიტივი: ბანკის მიერ გაცემული აკრედიტივი, რომლის უკან გამოხმობის უფლება აქვს ბანკს ამისათვის შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

განაცხადთა მოძიება: აწარმოებს სამთავრობო სააგენტო ან დამფინანსებელი ორგანიზაცია, რომელსაც აქვს თანხა და სურს იგი გარკვეულ თემატიკას, გარკვეულ გეოგრაფიულ არეალს, ან გარკვეული სახის პროექტსა და პროგრამას მოახმაროს.

განურჩევლობის მრუდი: მრუდი, რომელიც შეიცავს სამომხმარებლო კალათებს, რომლებიც მომხმარებლებს ერთნაირად აკმაყოფილებენ.

გარანტირებული კრედიტი: კრედიტი, რომელიც გაცემულია ბანკების, სახელმწიფო ორგანოების და სხვა გარანტების გარანტიით.

გარანტირებული ობლიგაცია: ობლიგაცია, რომლის დაფარვა ან მისი შემოსავლის გადახდა სხვა ან მშობელი კომპანიის მიერაა გარანტირებული ემიტენტის (იხ. "ემიტენტი") გადაუხდელობის შემთხვევაში.

გარანტირებული სესხი: როდესაც სესხის დაფარვა უზრუნველყოფილია ქონებით ან განსაზღვრული შემოსავლებით.

გარიგება: მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა მოქმედება, რომელიც მიმართულია მათი უფლებების ან მოვალეობების დადგენის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

გარიგება "სვოპი": გარიგება, რომლის დროსაც ბრუნვიდან ამოიღებენ ობლიგაციებს და სამაგიეროდ უშვებენ აქციებს.

გასტუმრებული აქციები: სააქციო კაპიტალი, რომელიც თავდაპირველმა მყიდველმა გაისტუმრა მომსახურებით, საქონლით ან იმ ფულადი თანხით, რომელიც ნომინალური ღირებულების ტოლი მაინცაა.

"გაცვეთილი ფეხსაცმლის" დანახარჯები: მოსახლეობის მიერ რესურსების ფუჭად ფლანგვა, რისკენაც მას ინფლაციის დროს ხელზე ნაკლები ფულის ფლობის სურვილი უბიძგებს.

გახანგრძლივებული თამასუქი: სავალო ფასიანი ქაღალდი, რომლის დაფარვის ვადაც შეიძლება გადასწიონ ემიტენტის შეხედულებისამებრ.

გენერალური ობლიგაცია: ემიტენტის ყველა შემოსავლითა და წყაროთი, აგრეთვე გადასახადის გადახდევინებაზე მისი უფლებით უზრუნველყოფილი მუნიციპალური ობლიგაცია.

გირაო: ქონება, მიცემული გირაოდ კრედიტორისათვის, რათა მისგან მიიღონ სესხი. თუ მსესხებელს არ შეუძლია სესხის დაფარვა, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს დაეუფლოს ქონებას ან გაყიდოს იგი, რათა აინაზღაუროს თავისი ფული.

გლობალური საშემოსავლო გადასახადი: დაბეგერის სისტემა, რომლითაც იბეგრება გადასახადგადამხდელის მთლიანი შემოსავალი ერთობლივად.

გრანტები: საერთაშორისო საფინანსო, ჰუმანიტარული თუ სხვა სახის ორგანიზაციების ან რომელიმე სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოსთვის ან ორგანიზაციისთვის საჩუქრად გამოყოფილი ფულადი სახსრები ან პროდუქცია.

გრატიისი: გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობაში და ნიშნავს უფასოს.

გრატიფიკაცია: წამახალისებელი ფულადი ჯილდო, რომელიც აგენტებს, ბროკერებსა და მაკლერებს თავიანთი მოვალეობის კარგად შესრულებისათვის მიეცემა.

გრძელვადიანი სასესხო კაპიტალის ბაზარი: ბაზარი, სადაც ხორციელდება კომპანიის ფასიანი ქაღალდების გრძელვადიანი ოპერაციები იმ ფულადი ბაზრისაგან განსხვავებით, სადაც ძირითადად სრულდება მოკლევადიანი დაფინანსების ოპერაციები.

გრძელვადიანი საფინანსო ვალდებულებები: ფიქსირებული საფინანსო ვალდებულებები; ისინი მოიცავენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ექვემდებარებიან გადახდას.



დაბალანსებული ბიუჯეტი: ბიუჯეტი, როდესაც შემოსავალი და გასავალი ერთმანეთის ტოლია.

დაბალანსებული საგარეო ვაჭრობა: ექსპორტისა და იმპორტის ტოლობა.

დაბეგერის გლობალური სისტემა: რომლის მიხედვით გადასახადით იბეგრება ყველა შემოსავალი ერთად.

დაბეგერის ობიექტი: შემოსავალი, ქონება და მისი ღირებულება, ფულადი ამონაგები, რომელიც იბეგრება გადასახადით (იხ. "გადასახადის ელემენტები").

დაბეგერის პერიოდი: პერიოდი ყოველი სახის გადასახადისათვის ერთი საგადასახადო ვალდებულების წარმოშობიდან შემდეგი საგადასახადო ვალდებულების წარმოშობამდე.

დაბეგერის ქვედა ზღვარი: შემოსავლის ღონე, რომლიდანაც იწყება გადასახადის ამოღება.

დაბეგერის შედულარული სისტემა: რომლის დროსაც დასაბეგრი შემოსავალი იყოფა ცალკეულ შედულებად (შემოსავლის ცალკეულ წყაროებად) და იბეგრება ცალ-ცალკე (იხ. "შედულარული საშემოსავლო გადასახადი").

დაგროვილი დავალიანება (დებიტორული, კრედიტორული): დავალიანება, დაგროვილი დროის გარკვეული პერიოდისათვის.

დავალიანება: ფინანსური ვალდებულების, ფულადი სესხების თანხა, რომელიც უნდა დაბრუნდეს განსაზღვრულ დროში.

დავალიანება ვადაგადაცილებული: დადგენილ დროში გადაუხდელი დავალიანება.

დაზღვევა: შესაძლო ზარალის ან ზიანის ფინანსური უზრუნველყოფა სპეციალურ ორგანიზაციაში პერიოდული შენატანების გზით.

დაზღვევის პოლისი: დაზღვევის მოწმობა.

დაზღვევის რისკი: მოსალოდნელი შემთხვევა ან შემთხვევათა ერთობლიობა, რომლის დადგომის დროსაც მზღვეველმა უნდა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა.

“დათვი”: პირი, რომელსაც აქვს ფასიანი ქაღალდების გაიაფების იმედი.

დამატებითი ბიუჯეტი: დგება იმ დამატებითი ხარჯების გათვალისწინებით, რომელიც წარმოიშვა მიმდინარე წელს ძირითადი ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ.

დამატებითი ასიგნებანი: 1) ასიგნებანი იმ ხარჯების გასაცემად, რომელმაც გადააჭარბა თავდაპირველ მოცულობას. 2) ორგანიზაციისათვის ხარჯვის უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც აღემატება თავდაპირველ უფლებამოსილებას.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ): არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც ექვემდებარება გადახდას საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის ყველა სტადიაზე.

დამნიფიკაცია: დაზარალება.

დამნო - ზარალი: 1) განსაკუთრებული სახის გადასახადი, რომელსაც კლიენტი უხდის ბანკს საკომისიო, საპროცენტო, საფოსტო და სხვა ხარჯების გარდა იმისათვის, რომ ინკასოზე საქალაქთაშორისო თამასუქი მიიღოს. 2) ფასიანი ქაღალდების გაყიდვის მომენტში არსებულ კურსს შორის განსხვავება.

დამოწმებული ფასიანი ქაღალდი: ფასიანი ქაღალდი, რომლის საკუთრებაც შეიძლება დამტკიცდეს ღოკუმენტით.

დამფუძნებელთა აქციები: აქციები, რომელიც ვრცელდება სააქციო საზოგადოების დამფუძნებელთა შორის და რომელიც მათ აძლევს ზოგიერთ უპირატესობას სხვა აქციონერებთან შედარებით.

“დამცავი” აქციები: რომელთა საბაზრო ღირებულება უმნიშვნელოდ იცვლება, რის გამოც ისინი იშვიათად იწვევენ სპეკულანტთა ინტერესს.

დანახარჯებისა და სარგებლიანობის ანალიზი: ანალიზი, რომელიც ერთმანეთთან ადარებს დანახარჯებსა და მიღებულ (მოსალოდნელ) სარგებელს.

დანახარჯები: დანახარჯები არის ორგანიზაციის, კომპანიის მიერ პროდუქციის გამოშვებაზე მოხმარებული რესურსების (მოწყობილობების, შენობა-ნაგებობების, მასალების, შრომის და ა.შ.) ფულადი შეფასება.

დარიცხული პროცენტი: 1) პროცენტის სიდიდე, რომელიც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს ბანკმა ან სხვა საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციამ დროის გარკვეულ პერიოდში. 2) სესხის მოცულობის პროცენტული სიდიდე, რომელიც ემატება სესხს სარგებლის სახით.

დასაბეგრი ბრუნვა: დასაბეგრი ოპერაციების ერთობლიობა.

დასაბეგრი ოპერაცია: საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევა.

დასაბეგრი შემოსავალი: გადამხდელის შემოსავლები, რომელიც იბეგრება გადასახადით.

დაუბეგრავი მინიმუმი: სახელმწიფოს მიერ საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი შემოსავლის მინიმალური მოცულობა, რომელიც თავისუფლდება გადასახადისაგან.

დაფინანსება: სახელმწიფო ფულადი სახსრების მიზნობრივი გამოყენება უკან დაუბრუნებლად.

დაჩქარებული კონვერსია: კონვერტაბელური ობლიგაციების ვადამდე დაფარვა ემიტენტის მიერ.

დაწყებითი კურსი: ფასიანი ქაღალდების კურსი ბირჟის გახსნის პერიოდში.

“დაზურული” იპოთეკა: იპოთეკური ობლიგაციური სესხი, რომლის ემისიის შესახებ წერილობით შეთანხმებაში არის პირობა ვადამდე მისი დაფარვისა და იმავე უზრუნველყოფის მეორედ გამოყენების აკრძალვის შესახებ ობლიგაციების მფლობელთა თანხმობის გარეშე.

დებენტურა: საბაჟოს ცნობა გადასახადის დაბრუნებზე.

დებეტი: საბუღალტრო დაეთრის მარცხენა გვერდი, რომელშიც შეიტანება აქტივების ზრდა, ვალდებულებების შემცირება, ხარჯები და ზარალი.

დებიტორი: მოვალე, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ვალდებულია გარკვეულ მომენტამდე დაფაროს აღებული ვალი (კრედიტი).

დებიტორული დავალიანება: ორგანიზაციისადმი მომხმარებლის ვალი მიწოდებული პროდუქციისა თუ გაწეული მომსახურებისათვის.

დეგრესია: საგადასახადო სისტემაში გადასახადების სიდიდის თანდათანობით შემცირება (დაცემა), ან კიდევ, უფრო შემცირებული პროცენტით პროპორციული დაბეგვრა.

დევალვაცია: შემცირება, რომელიც მდგომარეობს: ა) ფულში ოქროს შინაარსის შემცირებაში, ბ) ბრუნვაში მყოფი ფულის ნიშნების კურსის დაწევაში. დევალაცია შეიძლება იყოს ღია ან ფარული.

დევიზები: გადასარიცხი თამასუქი, ჩეკი, რომელიც გამოწერილია უცხოური ვალუტით და განკუთვნილია საზღვარგარეთ განაღდებისათვის. გამოიყენება როგორც საერთაშორისო საგადასახადო საშუალება.

დეზავუირება: ნდობით აღჭურვილი პირისადმი უნდობლობის გამოცხადება და ნდობის სტატუსის გაუქმება.

დეკლარაცია (ქონებრივი): ოფიციალური დოკუმენტი, რომლის საშუალებითაც ფიქსირდება პირის (იურიდიული ან ფიზიკური) ქონებრივი მდგომარეობა მოთხოვნილი მონაცემების მიხედვით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ან გარკვეული მომენტისათვის.

დეკრეტული ფული: შინაგანი ღირებულების არმქონე ფული, რომელიც მთავრობის დეკრეტის გამო იხმარება როგორც ფული.

დეკუერირი: დაუფარავი. ქონების დასაზღვევ ღირებულებასა და შეფასებას შორის განსხვავება, რომელიც დამზღვევის რისკის ქვეშ რჩება.

დელეგირება: ეკონომიკის (სახელმწიფოს, ორგანიზაციის, სხვა) მართვის იერარქიულ სისტემაში უფლებამოსილების მაღალი საფეხურიდან უფრო დაბალი საფეხურისათვის გადაცემა.

დემარჯი: პირგასამტეხლო, რომელსაც ტვირთის პატრონი იხდის სატრანსპორტო საშუალებების (გემის) დაგვიანებით დატვირთვისათვის.

დემონეტიზაცია: ძვირფასი ლითონის (ოქრო, ვერცხლის) მონეტის მიერ ფულის ფუნქციის დაკარგვა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში კანონმდებლობით ან ადმინისტრაციული წესით ხორციელდებოდა. ფულის ფუნქციის დაკარგვის შემდეგ მონეტის შეფასება ხდება მასში ძვირფასი ლითონის შემცველობის ღირებულებით.

დემპინგი: საქონლის ექსპორტი შინაგანი ბაზრის ფასებთან შედარებით იაფად, ე.ი. მეტად დაბალ ფასებში.

დემუნიციპალიზაცია: მუნიციპალური საკუთრების საწარმოს კერძო პირზე ან კომპანიაზე გაყიდვა.

დენაციონალიზაცია: სახელმწიფოს მიერ ნაციონალიზებული ქონების აღრინდელი მფლობელისათვის დაბრუნება.

დენომინაცია: 1) ანგარიშსწორების გამარტივების მიზნით ქაღალდის ფულის ნიშნების სახელწოდების შეცვლა. 2) ფულის კურსის მკვეთრად დაცემის დროს ქაღალდის ფულის ნომინალური ღირებულების შემცირება (შეცვლა) ფულის ერთეულის სახელწოდების შეუცვლელად.

დენონსაცია: ხელშეკრულებაზე უარის თქმა. თუ ხელშეკრულებაში მითითებულია მისი მოქმედების ვადა, მაშინ დენონსაცია ამ ვადის გასვლის შემდეგ ხდება.

დეპოზიტი: 1) ფულადი თანხა (ანაბარი), ფასიანი ქაღალდები ან სხვა სახის ფასეულობანი, ჩაბარებული საკრედიტო დაწესებულებაში დროებით შენახვის მიზნით კრედიტორისათვის გადასაცემად. 2) შემნახველ ბანკებში ვადიანი ან უვადო ანაბრები.

დეპორტი: საფონდო ბირჟაზე გარკვეული ვადით სპეკულაციური გარიგება, რომელიც მიზნად ისახავს ფასიანი ქაღალდების კურსის ხელოვნურ დაწევას და ამ გზით საკურსო სხვაობის მითვისებას.

დეპრესია: სასტიკი რეცესია (იხ. "რეცესია").

დეფიციტი: ხარჯების გადამეტება შემოსავალზე.

დეფიციტური დაფინანსება: ეკონომიკის დაფინანსება იმ ოდენობით, რომელიც აღემატება ბიუჯეტის შესაძლებლობებს, რასაც მიეყვართ ბიუჯეტის დეფიციტამდე. ე.ი. სახელმწიფო ხარჯები აჭარბებს შემოსავლებს, სხვაობის ლიკვიდურობას კი სესხით ცდილობენ; ეკონომიკური რეგულირების საშუალება, რომლის დროსაც წინასწარ განისაზღვრება ხარჯების გადამეტება შემოსავლებზე, ხოლო სხვაობა იფარება სესხის აღებით.

დეფლაცია: ფასების საერთო დონის შემცირების მიზნით მიმოქცევაში არსებული ფულის მასის შემცირება ჭარბი ფულის ბრუნვიდან ამოღების გზით.

დეფოლტი: ფასიან ქაღალდებზე პროცენტების გადახდის შეწყვეტა, როცა ორგანიზაცია ან კომპანია ლიკვიდაციის პროცესში აღმოჩნდება.

დივიდენდი: სააქციო საზოგადოების წმინდა მოგების ნაწილი, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე მათ მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობისა და ნომინალური ღირებულების მიხედვით.

დიზაქიო: შევიწროება, გარიგების დროს ფასიანი ქაღალდების ნომინალური კურსის დაწევა-დაკლება (საპირისპიროა "აქიო").

დილერი: ბირჟის მუშაკი, რომელიც, ბროკერისაგან განსხვავებით დამოუკიდებლად ვაჭრობს საკუთარი ინიციატივითა და ხარჯით. დილერის შემოსავალს საქონლის შესაძენ და გასაყიდ ფასების შორის სხვაობა შეადგენს (იხ. "ბროკერის ბროკერი").

ღირექტორთა მმართველობა (საბჭო): აქციონერთა მიერ არჩეული პიროვნებები, რომელთა ფუნქციაშიც შედის ორგანიზაციის, კომპანიის აღმასრულებელი ხელმძღვანელობის დანიშვნა და მათ საქმიანობაზე მეთვალყურეობა.

დისკონტი: 1) თამასუქის განაღდების დროს ბანკის პროცენტი, გამოიხატება თამასუქებისა და თანხის სხვაობით, რომელიც ბანკმა თამასუქის შესყიდვისას გადაიხადა. 2) განსხვავება ფასებს შორის, რომლითაც ფასიანი ქაღალდები იყიდება საფონდო ბირჟაზე დროის მოცემულ მონაკვეთში.

დისკონტის განაკვეთი: სარგებლის განაკვეთი იმ სესხებზე, რომელთაც ფედერალური სარეზერვო სისტემა ბანკებს გამოუყოფს.

დისკონტიანი ობლიგაცია: ნომინალზე დაბალი საბაზრო ღირებულების მქონე ობლიგაცია.

დისპაჩი: გემის ვადაზე ადრე დატვირთვის ან გადმოტვირთვისათვის გასაცემი პრემიალური ანაზღაურება.

დისპონენტი: იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელსაც ბანკის კომისიონერის ანგარიშზე გარკვეული ფულადი სახსრები აქვს.

დისტრიბუტორი: პირი, რომელიც სპეციალიზირდება გაყიდვებზე და არა წარმოებაზე

დიფერენცირებული განაკვეთი: განაკვეთი რომელიც იზრდება ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლის პროპორციულად.

დოლარის გაქცევა: საზღვარგარეთული ფასიანი ქაღალდების შეძენა დოლარის ინფლაციის, დეფლაციის ან სხვა ეკონომიკური ფაქტორების გავლენის შერბილების იმედით.

დომენი: დასავლეთის ქვეყნებში სახელმწიფოს კუთვნილი ქონებიდან გადასახადი (მიწა, წიაღისეული, ტყეები და სხვა).

დომინანტური სტრატეგია: სტრატეგია, რომელიც საუკეთესოა მოთამაშისთვის იმის მიუხედავად, თუ რა სტრატეგიას აირჩევენ სხვა მოთამაშეები.

დოტაცია: გარკვეული მიზეზით გამოწვეული ზარალის დასაფარავად საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის დახმარება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.

დოუ-ჯონსი: უმსხვილესი კომპანიების ჯგუფის აქციების კოტირების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი ბირჟის დახურვის მომენტში; იგი პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში ამავე სახელწოდების კომპანიამ გამოიყენა.

დროებითი ობლიგაცია: მუდმივი ობლიგაციის მსგავსი ობლიგაცია, იმ განსხვავებით, რომ იგი გრავირებული არაა და ჩვეულებრივი ფორმითაა დაბეჭდილი.

ევალაცია: შეფასება, გამოთვლა, გამოანგარიშება.

ევალუაცია: ეროვნული ფულის რომელიმე კონვერტირებად ვალუტაში გადაყვანა (გადაანგარიშება).

ევრობაზარი: ისეთი სავალუტო ოპერაციები, რომელებიც თავისუფალ მსოფლიო ბაზარზე ხორციელდება ვალუტის გამომშვები ქვეყნისაგან დამოუკიდებლად.

ევროდოლარი: ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ ბანკებში განთავსებული საბანკო დეპოზიტები დოლარებში.

ევროკარდი: საერთაშორისო საკრედიტო ბარათი ევროპულ საბანკო სისტემის მონაწილე ქვეყნებში სარგებლობის უფლებით.

ევროკრედიტი: ყველა ევროსავალუტო კრედიტი.

ევრონოტები: ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც უშვებენ კომპანიები ევროვალუტის ბაზარზე 3-6 თვით, ცვალებადი განაკვეთით.

ეკონომიკური ზრდა: დროის განსაზღვრულ მონაკვეთში რეალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.

ეკონომიკური კეთილდღეობა: მოსახლეობის ცხოვრებისა და მუშაობის პირობების მაღალი დონე, რომლის დროსაც იზრდება ეკონომიკური აქტიობა და ინდივიდების თვითრეალიზების შესაძლებლობები.

ელექტრონული ფული: 1) გადახდის ელექტრონული სისტემა. 2) უნაღდო ანგარიშსწორება მყიდველსა და გამყიდველს შორის, ბანკებსა და მათ კლიენტებს შორის, რომელიც ხორციელდება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით.

ემბარგო: სახელმწიფოს მიერ საქონლის, მომსახურების, ვალუტის და სხვა ფასეულობათა ქვეყანაში შემოტანის ან გატანის აკრძალვა.

ემისია: ფულისა და ფასიანი ქაღალდების გამოშვება მიმოქცევაში.

ემისიური სისტემა: მიმოქცევაში ფულადი ნიშნების გამოშვების წესი, ხერხები და ორგანოები.

ემიტენტი: სახელმწიფო, დაწესებულება, ორგანიზაცია, რომელიც უშვებს მიმოქცევაში ფულად ნიშნებს, ფასიან ქაღალდებს, საგადამხდელო-

საანგარიშგებო დოკუმენტებს. ქვეყნის ცენტრალური ბანკი ახდენს ფულადი ნიშნების, საზაზნო თამასუქების ემიტირებას. კომერციული ბანკები იყენებენ ფასიანი ქაღალდების, აკრედიტივების და სხვა საგადასახადო დოკუმენტების ემისიას.

ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მოდელი: მოდელი, რომელსაც ეკონომისტთა უმრავლესობა იყენებს ეკონომიკური საქმიანობის მოკლევადიანი რყევების ასახსნელად განვითარების გრძელვადიანი ტენდენციის გათვალისწინებით.

ერთობლივი ობლიგაცია: ყოველგვარი საეალო ინსტრუმენტი, რომლის მფლობელსაც გადასახდელების მიღება შეუძლია რამდენიმე მსესხებელი დაწესებულებისაგან ან ორგანიზაციისაგან მანამდე, ვიდრე ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება მთლიანად დაფარული არ აღმოჩნდება.

ერთობლივი შემოსავალი: სახელმწიფო გადასახადით დასაბეგრი ყველა შემოსავლის ჯამი.

ერთობლივი წარმოება: ორ ან მეტ ინდივიდს ან ორგანიზაციას შორის არსებული შეთანხმება რაიმე პროექტის შესრულების მიზნით ძალების გაერთიანებისა და პასუხისმგებლობის განაწილების თაობაზე.

ერთგვარადი მოსაკრებელი: ამოიღება მომსახურებისათვის (მაგ. კეთილმოწყობილი გზებით სარგებლობისათვის, ბაზრის მომსახურებისათვის და სხვა).

ეროვნული დანაზოგი: ეკონომიკის მთლიანი შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც რჩება სამომხმარებლო ხარჯებისა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შემდეგ.

ეფექტიანობა: საზოგადოების თვისება, მიადწიოს მაქსიმალურ შედეგებს არსებული შეზღუდული რესურსებიდან.

ექსპანსია: მისწრაფება ახალი ბაზრების დაპყრობისა და ეკონომიკური გაუღენის სფეროს გაფართოებისაკენ.

ექსპორტი: ქვეყნის შიგნით წარმოებული და ქვეყნის გარეთ გაყიდული საქონელი და მომსახურება.

ექსტენსიური: რაიმე პროცესის მხოლოდ რაოდენობრივი გაფართოება, მაგალითად, ეკონომიკის განვითარების ექსტენსიური გზა მის რაოდენობრივ გაფართოებას ნიშნავს (საპირისპიროა "ინტენსიური").

ექსტრა დივიდენდი: ძირითად დივიდენდზე დამატებით გადახდილი დივიდენდი, რომელსაც იხდიან ნაღდი ფულით ან აქციებით.

კაბანკი: ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით უკიდურესი კომერციული რისკის გაწევა, მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია დიდ რისკთან.

ვადამდე რეფინანსირება: 1) სახელმწიფო ვალის რეფინანსირების მიმართ: იმ ფასიანი ქაღალდების მფლობელებს, რომელთა დაფარვის ვადაც ახლოდება, დაფარვის ვადამდე აქვთ მათი გაცვლის უფლება დაფარვის უფრო შორეული ვადის მქონე სხვა ფასიან ქაღალდებზე. 2) ობლიგაციების მიმართ: ახალი მუნიციპალური ობლიგაციების დროულად გაყიდვა, რაც როგორც წესი, იწყება ძველი ობლიგაციების დაფარვის უახლოესი ვადის დადგომამდე რამდენიმე ხნით ადრე.

ვადამდე ინფლაცია: ინფლაცია რომელიც წარმოიქმნება ეკონომიკაში სრული დატვირთვის მიღწევამდე.

ვადები: რაიმე დოკუმენტით, გეგმით, პროგრამით ან პროექტით დადგენილი განრიგი.

ვადიანი ტრატა: გადასაყვანი თამასუქი, რომელსაც ანაღლებენ გამოსყიდვის ან აქცეპტის თარიღიდან გარკვეული დროის (30, 60 ან 90 დღის) გასვლის შემდეგ.

ვადორიზაცია: სახელმწიფო ღონისძიებათა განხორციელების გზით საქონელზე ან ფასიან ქაღალდებზე ფასების ხელოვნური აწევა.

ვაკფი: მუსულმანურ ქვეყნებში: უძრავი ქონება, რომელიც არ იბეგრება, მაგრამ გაყიდვას არ ექვემდებარება. მისი გადაცემა ხდება ჩუქებით ან მემკვიდრეობით.

ვალვაცია: შეფასება; სხვა სახელმწიფოს ფულის ერთეულით უცხოური ვალუტის ღირებულების განსაზღვრა (მაგ. დოლარისა რუსული რუბლით).

ვალი: გარკვეული ვალით ან გარკვეული პირობებით სესხად აღებული ფული ან სხვა რესურსები, რომელიც უკან უნდა დაბრუნდეს და რომლის დაბრუნების ვადა ჯერ არ დამდგარა.

ვალის გამოხმობა: ვალის დაბრუნება.

ვალის თანაბარი მომსახურება: ვალის ძირითადი თანხის და პროცენტების თანაბარი დაფარვა.

ვალის თანხა: შეთანხმებაში ვალის შესახებ დაფიქსირებული ფულის ან სხვა რესურსების რაოდენობა. ვალის ის თანხა, რომელსაც ემატება (ან არ ემატება) პროცენტი; იგი დაბრუნებულ უნდა იქნეს შეთანხმებული პირობების თანახმად.

ვალის მიმდინარე მომსახურება: პროცენტების გაცემის პროცესი და დაეკლიანების ძირითადი თანხის მიმდინარე დაფარვა.

ვალორიზაცია: ფასიანი ქაღალდების კურსის, ვალუტის ფასის დაგეგმილი, ორგანიზებული აწევა, რომელსაც ადგილი აქვს სახელმწიფოს მიერ ჩატარებული ღონისძიების შემდეგ.

ვალუტა: ეროვნული ფულის ნიშანი. უფრო ხშირად უცხო ქვეყნის ფულის ნიშანს ეწოდება. იხმარება სხვა გაგებითაც, მაგალითად, ბანკის ანგარიშების დოკუმენტებსაც (ბანკნოტებსა და სხვადასხვა სახის საგადასხდელ დოკუმენტებს) ნიშნავს, რომელიც გამოხატულია უცხოური ფულის ერთეულებით. ვალუტა არსებობს:

- **ჩაკეტილი**
არაკონვერტირებადი; ვალუტა, რომელიც მოქმედებს მხოლოდ ერთი ქვეყნის ფარგლებში
- **კონვერტირებადი**
შექცევითი, რომელიც თავისუფლად იცვლება ნებისმიერი ქვეყნის ვალუტაზე
- **ნაციონალური**
მოცემული სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ვალუტა, რომელიც მოქმედებს ქვეყნის ტერიტორიაზე
- **საბაზისო**
რომელიც მოცემულ ქვეყანაში გამოიყენება სხვა ვალუტების კოტირების საფუძველად
- **ნახევრად კონვერტირებადი**, რომელიც იცვლება ზოგიერთ ქვეყანაში.

ვალუტის კოეფიციენტი: ვალუტის მიმდინარე საკურსო შეფარდება, რომელიც გამოიყენება ფულადი თანხების, გადასახდელების, ფასების გადასანგარიშებლად ერთი ვალუტიდან მეორეში.

ვალუტის კოტირება: უცხოური ვალუტის კურსის დადგენა მოცემული ქვეყნის ვალუტასთან შეფარდებით.

ვალუტის კურსი: ფასი, რომლითაც ერთი ქვეყნის ეროვნული ვალუტა გადაიცვლება მეორე ქვეყნის ეროვნულ ვალუტაზე.

ვალუტის პარიტეტი: მტკიცე, ოფიციალურად დადგენილი თანაფარდობა ერთი ვალუტის მეორეზე გასაცვლელად.

ვარანტი: ნიშნავს ფასიან ქაღალდებზე გაკეთებულ წარწერას, რომლის მიხედვითაც შეიძლება მისი ხელიდან-ხელში გადაცემა; ასევე ფასიანი ქაღალდების დანართს, რომელიც მის მფლობელს აძლევს დამატებით უფლებებსა და შეღავათებს.

ვარირებადი რენტა: ფასიანი ქაღალდები, რომლებიც აქციების მიხედვით დივიდენდის ნაწილის მიღების უფლებას იძლევა.

ვაუჩერი: 1) საპრივატიზაციო ჩეკი, ღოკუმენტი. 2) წერილობითი მოწმობა, დაჯალბა, გარანტია.

ვენჩურული დაფინანსება: დაფინანსება დაკავშირებული დიდ რისკთან. ვენჩურულ ფინანსურ კაპიტალს ჩვეულებრივად აბანდებენ ახალ ტექნიკაში, ტექნოლოგიაში, წარმოების ახალი სახეების ათვისებაში.

ვენჩურული კაპიტალი: ახალი აქციების ემისიის შედეგად მიღებული სახსრები; აქციათა მფლობელების რეინვესტირებული ფულადი თანხები.

ვენჩურული ოპერაციები: ფულადი ოპერაციები და ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით, რომლებიც დაკავშირებულია ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების დაკრედიტებასთან და დაფინანსებასთან.

ვენჩურული საწარმო: მცირე ბიზნესის საწარმოები, რომლებიც ძირითადად ინოვაციურ, მეცნიერულ-ტექნიკურ ან საკონსულტაციო-კვლევითი ხასიათის სამუშაოებს ეწევიან; როგორც წესი, ისინი მსხვილი კომპანიების დაკვეთით მოქმედებენ.

ვერტიკალური სამართლიანობა: დებულება, რომლის მიხედვითაც, მეტის გადახდის შესაძლებლობის მქონე გადამხდელები უნდა დაიბეგრონ მაღალი განაკვეთებით.

ვექსილი: საგანგებოდ შედგენილი ხელწერილი ვალის აღთქმულ ვადაში და პირობებით გადასახდელად; ვალდებულება ნასესხები თანხის უთუოდ გადახდის თაობაზე; თამასუქი.

ვირემენტი: საბანკო ოპერაცია: ერთი პირის მიმდინარე ანგარიშზე მყოფი გარკვეული თანხის მეორე პირის პირად ანგარიშზე გადატანა.

ზარაფხანა: მონეტებისა და სხვა სახელმწიფო ნიშნების დამამზადებელი სახელმწიფო საწარმო.

ზედნადები: საგანმკარგულებლო დოკუმენტი, რომლის იურიდიული და ფინანსური დანიშნულებაა იყოს სტატისტიკური ცნობების მიღების წყარო. დგება ტრანსპორტზე ყოველ გაგზავნილ ტვირთზე გაგზავნის და დანიშნულების პუნქტების მიხედვით.

ზიროუ-ქოსტ-ოფციონი: გარკვეული სისტემა, რომელსაც იყენებენ ოფციონების ყიდვა-გაყიდვის პროცესში, როდესაც ბანკის კლიენტი რისკის შემცირების მიზნით თვითონ განსაზღვრავს საანგარიშსწორებო კურსს.

თავდაპირველი კაპიტალი: ფული ან ფასიანი ქაღალდები, რომელთა შეტანა აუცილებელია მარჟინალური ანგარიშის გასახსნელად.

“თავდასხმა” ბანკზე: მენაბრეთა მიერ ფულის მასიურად გამოტანა ბანკიდან მისი საიმედოობის ეჭვის ნიადაგზე.

თავდებობა: ხელშეკრულება ცალმხრივი ვალდებულებებით, რომლის მეშვეობითაც თავდები იღებს ვალდებულებას კრედიტორების წინაშე აუცილებლობის შემთხვევაში გადაიხადოს მსესხებლის დაეალანება.

თავისუფალი მეწარმეობა: ეკონომიკური სისტემა, რომელიც კერძო საკუთრებას, კონკურენციას და მოგების მიღების მოტივს ეყრდნობა.

თამასუქი: ფასიანი ქაღალდი, რომელიც არეგულირებს სესხის მიმცემსა და მოვალეს შორის ურთიერთობას. თამასუქი შეიძლება გადაიცეს ან გაიყიდოს მესამე პირზე. თამასუქის სახეობა: ჩვეულებრივი, გადასაყვანი, უპირობო, ბრინჯაოს (“გაბერილი”), გარანტირებული, გადაპირებული (მესამე პირზე გადაცემული), სახაზინო, კომერციული, წარმომდგენზე, ვაღიანი, საფინანსო, კერძო, გასაპროტესტებელი.

თამასუქი მოთხოვნამდე: თამასუქი ან გირავნობის საბუთი, რომელიც შეიძლება მათმა მფლობელმა გადასახდელად წარადგინოს ნებისმიერ დროს.

თანაბარი საგადასახადო რეჟიმი: დაბეგერის საერთო პრინციპი, რომლის თანახმად გადამხდელები სხვა თანაბარ პირობებში ვალდებული არიან იხადონ ერთნაირი გადასახადი.

თანადაფინანსება: დაფინანსების ტიპი, რომელიც, როგორც წესი, თეორიულად ნაკლებია ან ტოლია იმ თანხისა, რომელსაც გასცემს ძირითადი დონორი.

თვითანაზღაურება: საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, რომლის დროსაც მისი დანახარჯები მთლიანად იფარება მხოლოდ საკუთარი შემოსავლებით.

თვითდაზღვევა: დამზღვევის მიერ რეგულარული გადარიცხვის გზით შექმნილი საკუთარი სადაზღვევო ფონდი.



იარღიყი: ფურცელი, რომელსაც საქონელზე ან მის შესაფუთ საშუალებაზე აკრავენ გამოსაჩენ ადგილას. მასზე აღინიშნება სახელწოდება, რაოდენობა, ხარისხი, ფასი და სხვა სახის ინფორმაცია. იგივეა, რაც ეტიკეტი.

იმიჯი: იმიჯი ის სურათია, რომელიც გარშემო მყოფთ (კონკურენტების ჩათვლით) აქვთ ჩამოყალიბებული აღნიშნული დაწესებულების, ორგანიზაციის ან კომპანიის თაობაზე.

იმობილიზაცია: 1) მოძრავი ქონების უძრავ ქონებაში გადაყვანა. 2) სააქციო საზოგადოების კაპიტალის კერძო კაპიტალად გადაყვანა.

იმპორტი: ქვეყნის გარეთ წარმოებული და ქვეყნის შიგნით გაყიდული საქონელი და მომსახურება.

იმპორტის ბაჟი: გადასახადი, რომლითაც სახელმწიფო ბეგრავს იმპორტულ საქონელს.

იმპორტის დეპოზიტი: წესი, როდესაც იმპორტიორი ვალდებულია საქონლის ღირებულების ნაწილი წინასწარ შეიტანოს კონვერტირებულ ვალუტაში; საერთოდ, ეს პროცესი იმპორტის შეზღუდვის საშუალებაა.

ინდემნიტეტი: ზარალის ანაზღაურება საერთაშორისო სამართალში.

ინდენტი: სავაჭრო ხელშეკრულების სახეობა, რომლის მიხედვით კომისიონერს ევალება გარკვეული საქონლის შესყიდვა და დანიშნულების ადგილზე გადაგზავნა.

ინდექსი: 1) ციფრობრივი ან ანბანური ნიშანი. 2) ეკონომიკაში - როგორც წესი, რაიმე მოვლენის შესწავლის შემდეგ გამოვლენილი თანმიმდევრული ცვლილებები, რომლებიც ძირითადად პროცენტებით აისახება (მაგ. ფასების ინდექსი გარკვეულ პერიოდში ფასების დინამიკას ნიშნავს).

ინდექსაცია: ინფლაციის ტემპის მიხედვით თანხების ავტომატური კორექტირება, რომელიც ხორციელდება მთავრობის შესაბამისი კანონის საფუძველზე.

ინდექსირებული ობლიგაცია: ობლიგაცია, რომლის ძირითადი ვალის და საპროცენტო გადასახადების ჯამიც იზრდება ინფლაციასთან ან რომელიმე განსაზღვრული საქონლის ფასის ზრდასთან ერთად.

ინდიკატორული დაგეგმვა: ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვის ერთ-ერთი სახე. ინდიკატორული დაგეგმვა თვისებრივად განსხვავდება ღირექტიული დაგეგმვისაგან, რადგან არ გულისხმობს ეკონომიკურ სტრუქტურებზე სახელმწიფოს მბრძანებლურ ზემოქმედებას.

ინდოსამენტი: ფასიანი ქაღალდი მეორე გვერდზე წარწერით, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის თანხმობას ამ დოკუმენტის სხვის საკუთრებაში გადასვლის უფლების შესახებ. ინდოსამენტი შეიძლება იყოს სახელობითი ან წარმომდგენზე, ე.ი. ანონიმური.

ინვესტიცია (ფულის დაბანდება): მოგების მიღების მიზნით კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება ბიზნესში, აქციებში, ობლიგაციებში და ა.შ.

ინვესტიციური ბანკები: 1) დაწესებულებები, რომლებიც აქციების ახალ გამოშვებათა განთავსებაზე სპეციალიზდებიან. 2) ბანკები, რომლებიც იძლევიან გრძელვადიან კრედიტს კაპიტალური დაბანდებისათვის.

ინვესტიციების შეკავება: შეკავება ხდება ეროვნული მეურნეობის ზოგიერთ დარგში ინვესტიციებზე დამატებითი გადასახადების ამოღების გზით.

ინექცია: გაძლიერების მიზნით გარედან დახმარება. ეკონომიკაში მიღებულია ფინანსური დაძაბულობის პირობებში დაკრედიტების აღსანიშნავად.

ინკასო: საბანკო ოპერაციის სახე. კლიენტის დავალებით მესამე პირისაგან ბანკის მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტების საფუძველზე კუთვნილი თანხების მიღება, რისთვისაც ბანკს გარკვეული სარგებელი ეკუთვნის.

ინოვაცია: განახლება, სიახლის დანერგვა, შემოტანა.

ინტეგრაცია: შევსებული, ერთი მთლიანობად გაერთიანებული, აღდგენილი. ჩვეულებრივ იხმარება, როდესაც რაიმე ნაწილებიდან ერთი მთელის შევსება ხდება.

ინფლაცია: ფულის გაუფასურება, მიმოქცევის არხების ფულით გადავსება.

ინფლაციის დონე: ფასების ინდექსის პროცენტული ცვლილება წინა პერიოდთან შედარებით.

ინფლაციის ექსპორტი: ინფლაციის გაერცელება ერთი ქვეყნიდან მეორეში, რომელიც წარმოშობილია ეკონომიკური ურთიერთობის საფუძველზე ფულის და ფასების მეშვეობით.

ინფლაციის ტემპი: ფასების საერთო ღონის ზრდის ტემპი, გამოხატული პროცენტებში დროის განსაზღვრული პერიოდისათვის.

ინფლაციური გადასახადი: შემოსავალი, რომელსაც მთავრობა იღებს ფულის გამოშვების გზით.

იპოთეკა: უძრავი ქონების გირაო, რომლის საფუძველზე შეიძლება იპოთეკური კრედიტის მიღება.

იპოთეკური მოსაკრებელი: ამოიღება საღერბო მოსაკრებლის სახით იპოთეკური ხელშეკრულების გაფორმებისათვის (იხ. აგრეთვე "საღერბო მოსაკრებელი").

იპოთეკური პორტფელი: იპოთეკური სესხების ან ობლიგაციების ერთობლიობა, რომლებიც ბანკს ეკუთვნის როგორც აქტივები.

იპოთეკური საბანკო ოპერაციები: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი იმ იპოთეკური სესხების სხვადასხვა სახეები, რომლებიც მუდმივი ინვესტირებისთვისაა განკუთვნილი და რომელთაც თან ახლავს მომსახურების გაწევა სესხის მთელი ვადის განმავლობაში.

ინფრასტრუქტურა: მეურნეობის დამხმარე და მომსახურე დარგები, რომლებიც ხელს უწყობენ სამრეწველო, საკომუნიკაციო, სატრანსპორტო და სხვა დარგების ნორმალურ ფუნქციონირებას.

იჯარა: ქონების გაქირავება, სათანადო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ერთ-ერთი მხარე - იჯარის გამცემი აძლევს მეორე მხარეს ქონებას დროებით სარგებლობაში, გარკვეული ქირის გადახდით. იჯარით აღებული ქონება (მიწა, შენობა-ნაგებობანი, სატრანსპორტო საშუალებანი, სამრეწველო და სავაჭრო ობიექტები და სხვა) შესაძლოა გახდეს საკუთრებად, თუ იჯარის აძლები მას გამოსიყიდის.

იჯარა დამატებითი გადასახადებით: იჯარა, რომელიც ითვალისწინებს დამატებით გადასახდელს ქონების დაბრუნების დროს მისი შეცვლილი ღირებულების დასაფარავად.



კადასტრი: რაიმეს აღწერა. ნუსხა ობიექტებისა, რომლებიც გადასახადით იბეგრება. არსებობს მიწის, სარეწების და სხვა კადასტრები.

კალკულაცია: გამოთვლა. ეკონომიკაში იყენებენ პროდუქციის (ან მომსახურების) თვითღირებულების გაანგარიშებისათვის დანახარჯთა ყოველი მუხლის გამოთვლისა და განაწილების გზით.

კამბისტა: თამასუქებით და უცხოური მონეტებით მოვაჭრე.

კანცელინგი: ხელშეკრულების, კონტრაქტის, შეთანხმების, გარიგების შეწყვეტა, დარღვევა, გაუქმება.

კაპიტალი: ფართო გაგებით ესაა ყველაფერი ის, რასაც მოაქვს შემოსავალი. ფიზიკური კაპიტალი ესაა საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად გამოყენებული შენობები და მოწყობილობები; ფულადი კაპიტალი - ფულადი საშუალებებია, რომელიც შობს დამატებით ფულს.

კაპიტალის გადინება: ქვეყანაში არსებულ აქტივებზე მოთხოვნის მკვეთრი შემცირება.

კაპიტალის უკუგება: კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელი.

კაპიტალური დაბანდება: ეკონომიკური რესურსების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება ძირითადი საშუალებების კელაწარმოებისათვის.

კაპიტალური ინვესტიციები: კაპიტალურ ანუ ძირითად აქტივებში, გრძელვადიან ფასიან ქაღალდებში დაბანდებული სახსრები.

კაპიტალური შემოსავალი: სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი.

კაპიტალური ხარჯები: 1) ყველა ის საბიუჯეტო ასიგნება, რომელიც წარიმართება საინვესტიციო და საინოვაციო პროგრამებისა და ღონისძიებების დასაფინანსებლად. 2) კაპიტალის გადიდებასთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი.

კარტ-ბლანში: ხელმოწერილი ქაღალდი, სუფთა ბლანკი, რომლის ტექსტის შევსებას ერთი პირი ანდობს სხვა პირს. ხშირად ხმარობენ განუსაზღვრელი უფლებამოსილების, მოქმედების თავისუფლების ნდობის აღსანიშნავად.

კარტელი: კომპანიების, კორპორაციების და ა.შ. ჯგუფი, რომლებიც მოქმედებენ, როგორც ერთი ორგანიზაცია.

კეთილდღეობის ეკონომიკა: მეცნიერება, რომელიც სწავლობს რესურსების განაწილების გაელენას ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

კერძო ბირჟა: სააქციო კომპანია, სადაც გარიგებას ახდენენ მხოლოდ აქციონერები.

კერძო დანაზოგი: შემოსავალი, რომელიც საოჯახო მეურნეობებს რჩებათ გადასახადებისა და სამომხმარებლო ხარჯების გადახდის შემდეგ.

კლასიფიცირებული აქცია: კომპანიის საწესდებო კაპიტალის დაყოფა ჩვეულებრივი აქციების რამდენიმე კლასად (როგორც წესი "A" და "B" კლასის აქციებად).

კლასიფიცირებული ობლიგაცია: საეალო ფასიანი ქაღალდი, რომელსაც აქვს გარკვეული აღნიშვნა (მაგ. წარწერა "სერია A", "სერია B" და ა.შ.).

კლირინგი: საქონელზე, ფასიან ქაღალდებზე და გაწეულ მომსახურებაზე არსებული უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთმოთხოვნათა და ვალდებულებათა ჩათვლაზე.

კომერსანტი: ვაჭარი; პირი, რომელიც კერძო ვაჭრობას ეწევა.

კომერციული ბანკი: არასახელმწიფო საფინანსო-საკრედიტო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უნივერსალურ საბანკო ოპერაციებს.

კომივოიაჟორი: სავაჭრო კომპანიის მოძრავი წარმომადგენელი, აგენტი, რომელიც შეიძლება გარკვეული ნიმუშების მიხედვით საქონელს სთავაზობს, ღებს ხელშეკრულებას და სხვა.

კომისიონერი: შუამავალი სავაჭრო გარიგებაში, რისთვისაც გარკვეულ გასამრჯელოს უხდიან.

კომპანია: სავაჭრო, სამრეწველო ან სხვა პროფილის ამხანაგობა, რომლის წევრები ყველაფერს ერთად იყოფენ: შრომას, კაპიტალს, მოგებას და სხვა. იგი საყოველთაოდ გაერცელდა და მეწარმეობის სამართლებრივი ფორმა მიიღო საწარმოო და სავაჭრო შუალედური საქმიანობისა და სხვა სახის გაერთიანებათა სახით.

კომპენსაცია: ანაზღაურება, საზღაური, უკან დაბრუნება, დათმობა ან დაკარგვის ანაზღაურება.

კომპენსაციური ბაჟი: ბაჟის სახეობა, რომელსაც აქვს გადიდებული განაკვეთი, რათა თანაბარ პირობებში იქნას ჩაყენებული შიდა და საიმპორტო საქონელი ფასებს შორის განსხვავების კომპენსაციის გზით.

კონდომინიუმი: თანამფლობელობა. ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი ობიექტის ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ერთობლივი მფლობელობა (საკუთრება).

კონვენცია: ხელშეკრულება, შეთანხმება სპეციალურ საკითხებზე. ურთიერთობის დამყარება საერთაშორისო მასშტაბით: სახელმწიფოებს, ქვეყნებს, საწარმოო-კომერციულ სტრუქტურებს შორის და სხვა. კონვენცია შეიძლება შემდგომ გადაიზარდოს გარკვეულ სტრუქტურებში, ტრესტებში, სინდიკატებში და სხვა.

კონვერსია: გარდაქმნას, პირობის შეცვლას ნიშნავს. იგი რამდენიმე გაგებით იხმარება: 1) მოცემული ქვეყნის ვალუტის უცხო ქვეყნის ვალუტაში გადაყვანა. 2) მრეწველობის ან სხვა დარგების სამხედრო პროდუქციის სამოქალაქო წარმოებაზე გადაყვანა. 3) სხვადასხვა მიზნით ადრე გამოშვებული სახელმწიფო სესხის ობლიგაციების შეცვლა და სხვა. აქედან წარმოიშვა კონვერტირებადი ვალუტის ცნება.

კონვერტირებადი ვალუტა: კონვერტირებადია ვალუტა, თუ იგი შეზღუდვების გარეშე ასრულებს ყოველგვარ ოპერაციებს - გაიცვალოს სხვა ქვეყნის ვალუტაზე მისი ნომინალური ღირებულებით და წარმოადგენს აღიარებულ საერთაშორისო საგადასახდელო საშუალებას.

კონვერტირებადი ობლიგაცია: ობლიგაცია, რომელიც მის მფლობელს უფლებას აძლევს დროის გარკვეულ მომენტში, ან გარკვეულ პირობებში, შეღავათიანად გადაცვალოს იგი ემანენტი კორპორაციის სხვა ფასიან ქაღალდებზე.

კონიუნქტურა: შექმნილი მდგომარეობა, ვითარება. ეკონომიკაში იგი ძირითადად საბაზრო სამეურნეო მექანიზმს უკავშირდება და აღნიშნავს ძირითადი პროცესების მიხედვით გარკვეულ პერიოდში შექმნილ მდგომარეობას.

კონკურენცია: ცალკეულ პირებს, საწარმოებს, ასოციაციურ და მონოპოლიურ გაერთიანებებს შორის პაექრობა, შეჯიბრება, მეტოქეობა საერთო მიზნის უკეთეს პირობებში მისაღწევად. კონკურენცია ხელს უწყობს წარმოების შეწონასწორებას, საქონლის ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებას და ფასების შემცირებას. მისი განვითარება თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების პირობებში მიიღწევა.

კონკურენტული ბაზარი: ბაზარი, რომელზეც მრავალი მყიდველი და მრავალი გამყიდველია და თითოეული მათგანი უმნიშვნელო გავლენას ახდენს საბაზრო ფასზე.

კონსოლიდაცია: გაერთიანება, შერწყმა. იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით: 1) გამოშვებული სესხების, ვალის ვალის გაგრძელება; რამდენიმე სესხის გაერთიანება ერთიან სესხად, სასესხო პროცენტის სიდიდის შეცვლა. 2) ქვეყნის საეკონომიკო რეზერვში ნაციონალური ვალუტის შეცვლა საერთაშორისო ფულადი აქტივებით. -

კონსოლიდირებული ბიუჯეტი: ტერიტორიული ერთეულების, რეგიონების ბიუჯეტების გაერთიანება და ერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ბიუჯეტის შექმნა.

კონსოლიდირებული ობლიგაცია: ადრე გამოშვებული, ორი ან მეტი ობლიგაციის შესაცვლელად გამოშვებული ახალი ობლიგაცია.

კონტო: ანგარიში. მაგალითად, კონტოკორენტული ანგარიში მიმდინარე ანგარიშს ნიშნავს. არსებობს, აგრეთვე, კონტოკორენტული ემისია, კონტოკორენტული გადასახდელები და სხვა. ყველგან იგულისხმება მიმდინარე მომენტი.

კონტოკორენტი: ერთიანი ანგარიშის ფორმა, რომელზეც აღირიცხება ბანკის კლიენტებთან ყველა სახის ოპერაციები, როგორც შემოსული ანაბრების და გადასახდელების, ასევე ანგარიშიდან ყველა სახის გასაყვები.

კონტრაბალანსი: საბუღალტრო მონაცემების მიხედვით შედგენილი ბალანსის (ან მისი რომელიმე ნაწილის) შემოწმებისა და ანალიზის მიზნით სხვა მეთოდით შედგენილი ბალანსი.

კონტრაგენტი: პირი ან დაწესებულება, რომელიც მოლაპარაკების დროს იღებს ამა თუ იმ ვალდებულებას ხელშეკრულების პირობებში. ყოველი მისი მონაწილე ერთმანეთის მიმართ კონტრაგენტია.

კონტრაქტი: იურიდიული მნიშვნელობის ხელშეკრულება, შეთანხმება, რომელიც გარკვეული პირობებითა და ვადით ფორმდება.

კონტრაქცია: კონტრაქტის გაფორმება.

კონტრიბუცია (წვლილი მოგებაში, შედეგი რეალიზაციიდან): 1) წვლილი მოგებაში. განისაზღვრება როგორც სხვაობა ამონაგებსა და ცვლად ხარჯებს შორის. 2) საზავო ხელშეკრულების თანახმად ომში გამარჯვებული სახელმწიფოს მიერ შეწერილი სავალდებულო გადასახადები ან ქონების ამოღება.

კონფისკაცია: ხაზინის სასარგებლოდ ქონების ჩამორთმევა. საერთოდ კი აღინიშნება პირისაგან სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების ისეთი

იძულებით ჩამორთმევა, რომელიც ანაზღაურებას ან უკანდაბრუნებას არ ექვემდებარება.

კონცენტრაცია: თავმოყრა, შეგროვება, ერთად დაჯგუფება. ეკონომიკაში გამოიყენება სხვადასხვა პროცესის თავმოყრის აღსანიშნავად: მაგალითად, კაპიტალის კონცენტრაცია, წარმოების კონცენტრაცია, მართვის სისტემის კონცენტრაცია და სხვა.

კონცერნი: გაერთიანება, რომელშიც შესული სამეურნეო სისტემები ფორმალურ დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ, ხოლო ფინანსური და საწარმოო-ტექნიკური პოლიტიკის გატარების დამოუკიდებლობა ფაქტობრივად არ გააჩნიათ. კონცერნისათვის დამახასიათებელია სამრეწველო და საბანკო კაპიტალის შერწყმა.

კონცესია: 1) ნებართვა, თანხმობა. 2) ნებაყოფლობით საფუძველზე შექმნილი გაერთიანება, რომელიც გარკვეული პირობებით სახელმწიფოდან ან მუნიციპალური ორგანოებიდან იღებს საექსპლოატაციოდ საწარმოებს, მიწის ნაკვეთებს წიაღისეულის მოპოვების უფლებით, სამეურნეო ობიექტის ასაშენებლად და სხვა. კონცესია სამეურნეო ხელშეკრულების საფუძველზე მოქმედებს.

კონცესიური გადასახადი: ჩვეულებრივ გამოიხატება მთავრობის ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ კონცესიის ან უფლების მიცემით.

კოოპერაცია: თანამშრომლობა, კოოპერაციულ საწყისებზე გაერთიანება.

კოპარტნერშიპი: ორგანიზაციის თანამშრომელთა (მაგ. მუშების) მოგებაში მონაწილეობის სისტემა.

კორელაცია: ურთიერთკავშირი ცვალებად სიდიდეებს შორის.

კორპორაცია: მსხვილი საწარმო, ფირმა, რომელსაც ჰყავს რამდენიმე მეპატრონე და რომელთა უფლებებიც განისაზღვრება ფირმაში ჩადებული თანხის ოდენობით.

კორპორაციის საშემოსავლო გადასახადი: გადასახადი, რომელიც ეკისრება კორპორაციის შემოსავალს.

კორუფცია: მოსყიდვა; თანამდებობის პირის, პოლიტიკური, საზოგადო მოღვაწისა ან სხვების მოსყიდვა; ქრთამის მიცემით კომერციული საქმიანობა.

კოტირება: ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის, საქონლის საბირჟო ფასის (კურსის) განსაზღვრა (დადგენა).

კრედიტი: სესხი, ვალი; ფულის სესხება დაბრუნების პირობით, როგორც წესი, პროცენტის გადახდევინებით.

კრედიტის უზრუნველყოფა: პირობების, ვალდებულებების ერთობლიობა, რომელიც აძლევს კრედიტორს საფუძველს იყოს მშვიდად იმაში, რომ მას ვალი აუცილებლად დაუბრუნდება.

კრედიტისათვის გადასახდელი: მოიცავს კრედიტის ღირებულებას და სარგებელს (პროცენტს) კრედიტით სარგებლობისათვის.

კრედიტორი: პიროვნება ან დაწესებულება, რომლის ბიზნესიც მდგომარეობს გარკვეულ ფასად სხვებისათვის ფულადი ფონდების მიწოდებაში.

კრედიტორული დავალიანება: კომპანიების, ორგანიზაციების, დაწესებულებების მიერ დროებით მოზიდული ფულადი სახსრები ან შესყიდვები მომავალში გადახდის პირობით, რომლებიც უნდა დაუბრუნდეს კრედიტორს დადგენილ ვადაში.

კრიზისი: 1) პერიოდული ჭარბწარმოება, რასაც თან სდევს წარმოების შეკვეცა, უმუშევრობის ზრდა და სხვა. 2) ეკონომიკური დეპრესია, როდესაც წარმოება მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოთხოვნას.

კროს-კურსი: ორ ეროვნულ ვალუტას შორის საკურსო თანაფარდობის განსაზღვრა, როდესაც ბაზად გამოყენებულია მესამე ეროვნული ვალუტა.

კულისი: საიდუმლო, ფარული. საბირჟო ბრუნვაში არაოფიციალური მაკლერების სპეკულანტური მოქმედების ადგილი, სადაც ყოველგვარი სპეკულანტური გარიგებები ხორციელდება. არაოფიციალურ შუამავალს, რომელიც გარიგებებს ბირჟის მუშაკის (ბროკერის, დილერის) გვერდის ავლით აწარმოებს, კულისე ეწოდება.

კუმულაცია: გადიდება, დაგროვება. აქციების ნაირსახეობა, როდესაც აქტიის მფლობელი უარს აცხადებს ყოველწლიურად დივიდენდის მიღებაზე და რამდენიმე წლის შემდეგ მათ ერთად იღებს.

კუპიურა: ქაღალდის ფულზე, ობლიგაციაზე, აქციებზე და სხვა ფასიან ქაღალდებზე აღნიშნული ნომინალური ღირებულება.

კუპონი: 1) ფასიანი ქაღალდის ის ნაწილი, რომელიც იჭრება სარგებლის (პროცენტის, დივიდენდის) დარიცხვისა და მიღების დროს. 2) ფულის სუროგატი.

კუპონიანი ობლიგაცია: ობლიგაცია, რომელსაც ურთავენ პროცენტის კუპონებს. დაწესებულ დროს მფლობელი აჭრის კუპონებს და წარადგენს მათ პროცენტების მისაღებად.

კურსი: 1) ფასიანი ქაღალდების შესაძენი ღირებულება. 2) ერთი ეროვნული ვალუტის მეორესთან (უპირატესად კონვერტირებულთან) ღირებულებითი (მსყიდველობითი უნარით) შეფარდება.



ლაგი: ეკონომიკური მოვლენების შედარებისას დროის ფაქტორის გათვალისწინება, ე.ი. დროში გადანაცვლების გავლენის სიდიდის გაანგარიშება.

ლარი: 1) ძვირფასეულობა, განძეულობა, (აქედანაა წარმოებული სალარო, სადაც მათ ინახავდნენ). 2) ფულადი ერთეული თანამედროვე საქართველოში.

ლატარია: მოსახლეობის ფულადი სახსრების ნებაყოფლობითი მოზიდვის განსაკუთრებული ფორმა.

ლატიფუნდია: მიწის დიდ ნაკვეთზე კერძო საკუთრება (მფლობელობა).

ლაფერის მრუდი: მრუდი, რომელიც ახასიათებს სახელმწიფო შემოსავლების მოცულობის დამოკიდებულებას საგადასახადო განაკვეთის საშუალო დონეზე.

ლევერჯი: თანაფარდობა ნასესხებ და საკუთარ კაპიტალს შორის.

ლეკაჟი: საქონლის ტრანსპორტირების დროს დანაკარგი, სითხის დაღვრა, აორთქლება, შეშრობა და სხვა.

ლენდ-ლიზი: სხვადასხვა რესურსის ვალად (სესხად) ან იჯარით (არენდით) გაცემა.

ლეფერიდი: დიდი მოგების (ან წაგების) პოტენციური შესაძლებლობა. ითვალისწინებენ საბაზრო ფასიანი ქაღალდების შეძენისას.

ლეფერიჟი: დიდი მოგების ან წაგების პოტენციალი. ისეთი შემთხვევა, როდესაც სესხად აღებული თანხიდან შემოსავალი უფრო მაღალია, ვიდრე სესხით სარგებლობისათვის გადასახდელები.

ლიბერალური ეკონომიკა: შერეული (მრავალწყობიანი) ეკონომიკა თავისუფალი საბაზრო მექანიზმის გამოყენებით. ლიბერალურ ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებს საბაზრო ურთიერთობები, რომლებიც ადმინისტრაციულ და იდეოლოგიურ ზემოქმედებას არ განიცდიან.

ლიბორი: კრედიტის ღირებულება ანუ ის თანხა, რომელსაც დებიტორი უხდის კრედიტორს სესხით სარგებლობისათვის. მისი ძირითადი ელემენტებია: პროცენტული განაკვეთი, საკომისიო დანარიცხი და სადაზღვევო პრემია.

ლივენდს ლეგზი: ანგარიშსწორების ვადების ხელსაყრელი მანევრირება, ძირითადად გამოიყენება საგარეო ვაჭრობაში.

ლიზინგი: მანქანების, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა სახის საწარმოო დანიშნულების საშუალებათა ზანგრძლივი დროით იჯარით გაცემა (არსებობს სპეციალიზებული სალიზინგო ფირმები, რომლებიც ამ საშუალებებს შემდგომაც აქირავებენ).

ლიკვიდურობა: 1) ფირმის აქტივების უნარი, სწრაფად გადაიკვალოს ეკონომიკაში არსებულ ვალუტაზე ღიდი დანაკარგების გარეშე. 2) მეეალის უნარი თავის დროზე შეასრულოს სავალო ვალდებულებანი. 3) გადახდისუნარიანობა.

ლიკვიდურობის უპირატესობის თეორია: კეინსის თეორია, რომლის მიხედვითაც, სარგებლის განაკვეთს შეუძლია გააწონასწოროს ფულის მიწოდება და ფულზე მოთხოვნა.

ლიმიტედი: კომპანიების (საზოგადოების) ვალდებულებებზე შეზღუდული პასუხისმგებლობის აღმნიშვნელი ტერმინი, როდესაც პასუხისმგებლობა მხოლოდ სააქციო ან საპაიო კაპიტალის ფარგლებში განისაზღვრება.

ლიმიტი: ზღვარი, ნორმა, ეკონომიკაში ხმარობენ რესურსების ზარჯვაზე, საქონლის შეტანა-გატანასა და მსგავსი ოპერაციების განხორციელებისას ზღვრული ნორმების დაწესების დროს.

ლიმიტირებული საბანკო წიგნაკი: საჩეკო წიგნაკი, რომელიც შეიცავს ჩეკების განსაზღვრულ რაოდენობას მკაცრად განსაზღვრული თანხით.

ლიტერი: სხვადასხვა სახის ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვაზე გაცემული სპეციალური მოწმობა.

ლიფო: 1) ანაბრების ნაწილის ვადაზე ადრე ამოღებისას პროცენტის გაანგარიშების მეთოდი. 2) საინვესტიციო ფონდის მიერ გასაყიდი ფასიანი ქაღალდების ღირებულების აღრიცხვის მეთოდი.

ლიცენზია: ნებადართული. სახელმწიფო ორგანოების მიერ წარმოებაზე, მომსახურებაზე, ახალი ორგანიზაციის შექმნაზე, უცხოეთიდან საქონლის შემოტანაზე ან გატანაზე და სხვა სახის საქმიანობაზე ნებართვის უფლება.

ლობი: სხვადასხვა ორგანიზაციებისა და მონოპოლიების, სააგენტოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე, მათი აგენტების სისტემა კანონმემოქმედებით თუ სხვა სახელმწიფო ორგანოებში, რომლებიც

ზემოქმედებას ახდენენ კანონმდებლებსა და საჯარო სამსახურში მყოფ პირებზე მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მისაღებად.

ლოკაუტი: ორგანიზაციის, კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ საწარმოო პროცესის გაჩერება და ხელფასების გაცემის შეწყვეტა, რათა პროფკავშირი იძულებული გახდეს მიიღოს ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული პირობები.

ლომბარდი: სესხის გამცემი (საკრედიტო) ორგანიზაცია, რომელიც სესხს აძლევს მოსახლეობას ქონების დაგირავების საფუძველზე.

ლორო-კონტი: საკორესპონდენტო ანგარიში, რომელსაც ბანკი ხსნის იმ თანხის გასატარებლად, თავისი კორესპონდენტის დაეალებით რომ გაიცემა.

მაგნატი: მდიდარი, ცნობილი ადამიანი; მსხვილი სამრეწველო და ფინანსური კაპიტალის წარმომადგენელი.

მაკლერი: გარიგებაში მონაწილე შუამავალი პირი.

მაკრო: რთული სიტყვების პირველი შემადგენელი ნაწილი; ნიშნავს დიდს, მსხვილს, აგრეგირებულს, გამსხვილებულს, ღიდი ზომისას.

მაკროეკონომიკა: ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების, მათ შორის, ინფლაციის, უმუშევრობისა და ეკონომიკური ზრდის შესწავლა მთელი ეროვნული მეურნეობის მასშტაბით.

მანკო: დანაკლისი. ეკონომიკაში გაერცელებულია საქონლის ან საღაროს დანაკლისის აღსანიშნავად.

მარკეტინგი: ორგანიზაციის, დაწესებულების, კომპანიის ყველა სახის საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც, ფირმის ინტერესების გათვალისწინებით, მომხმარებლის (ბაზრის) მოთხოვნილებას და ამ მოთხოვნილებაზე ზემოქმედებას უკავშირდება.

მარკეტინგული გეგმა: მარკეტინგული სტრატეგიისა და დროში განსაზღვრული კონკრეტული მოქმედებების აღწერა წერილობითი ფორმით, რომელთა განხორციელებითაც ხდება აღნიშნული სტრატეგიის მიღწევა.

მარკეტინგული ინფორმაციული სისტემა: მონაცემთა პერიოდულად მიღებისა და ანალიზის ორგანიზებული სისტემა, რომლის დანიშნულებაც მარკეტინგულ მენეჯერს მიაწოდოს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაცია.

მარკეტინგული მიქსი: კონტროლირებადი ცვლადები, რომელთაც ორგანიზაცია ან კომპანია კრებს ერთად, რათა დააკმაყოფილოს მიზნობრივი ბაზარი. კერძოდ ეს ცვლადებია: ფასი, პროდუქცია, ადგილი (სად და როგორ სალდება) და რეკლამირება (სტიმულირება).

მარკეტინგული სტრატეგია: ჩამოყალიბებული მიზნობრივი ბაზარი და მასთან დაკავშირებული მარკეტინგული მიქსი.

მარკო: ფულის მონეტის ღირებულება არა ნომინალის მიხედვით, არამედ მისი წონის შესაბამისად.

მარტა: 1) ვალუტის კურსის რყევის ზედა და ქვედა ზღვრებს შორის ისეთი განსხვავება, რომელზეც ამ ქვეყნის ცენტრალური ბანკი არ არის ვალდებული რეაგირება მოახდინოს. 2) საბანკო, საბირჟო, დაზღვევის პრაქტიკაში ფასიანი ქაღალდების, საქონლის ფასებსა და სხვა ანალოგიური, ერთგვაროვანი მაჩვენებლების საპროცენტო განაკვეთებს შორის განსხვავება.

მედიო: საბირჟო გარიგების შესრულების ვადა, რომელსაც აძლევენ თვის შუა პერიოდში. თვის ბოლოსათვის მას ულტიმო ეწოდება.

მეთოდოლოგია: მიდგომა, რომლითაც გსურთ მიადწიოთ მიზნებს.

მეთორმეტედი: ესაა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსების მეთოდი იმ შემთხვევაში, როდესაც ახალ საბიუჯეტო წელს არაა იგი დამტკიცებული; მაშინ ხარჯები, რომელიც ფინანსირდება ბიუჯეტიდან მიმდინარე თვეს, არ უნდა აღემატებოდეს წინა წლის მოცულობის ერთ მეთორმეტედს.

მენეჯმენტი: მართვის ხელმძღვანელობის, ორგანიზაციის ხელოვნება; მართვის თანამედროვე პრინციპების, მეთოდების, საშუალებებისა და ფორმების ერთობლიობა.

მეორე ეტაპის დაფინანსება: უკვე შექმნილი ახალი კომპანიის დამატებითი დაფინანსება; დამფუძნებელთა ძირითადი კაპიტალის მეორე ნაწილის შენატანი.

მერყევი ბიუჯეტი: ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს რამდენიმე წელს (ჩვეულებრივ ხუთს), დამუშავებულს მერყევი პრინციპით, ყოველწლიურად ერთი წლით გაგრძელების გზით.

მესაკუთრის ქონება: მესაკუთრის ქონება (მესაკუთრის კაპიტალი, აქციონერთა კაპიტალი) არის მესაკუთრეთა მიერ საკმეში ჩადებული თანხა, რომელსაც ემატება გაუნაწილებელი მოგება და აკლდება მიღებული ზარალი.

მეტა: ერთობლივი რისკითა და ერთობლივი ანგარიშით დადებული გარიგება.

მზარდი ბიუჯეტი: იგი ეყრდნობა წინა წლის ბიუჯეტს, რომელსაც ინფლაციისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ემატება გარკვეული წლიური პროცენტი.

მთლიანი დანახარჯი: თანხა, რომელსაც ფირმა ხარჯავს წარმოებისათვის საჭირო მასალების შეძენაზე.

მთლიანი ეროვნული პროდუქტი: დროის მოცემულ პერიოდში ქვეყანაში მისი მოქალაქეების მიერ წარმოებული ყველა საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება.

მთლიანი საწარმოო ხარჯები: ცელადი და ფიქსირებული დანახარჯების ჯამი.

მთლიანი შემოსავალი (ბაზარზე): თანხა, რომელიც გადახდილია საქონლის მყიდველების, ხოლო მიღებულია საქონლის გამყიდველების მიერ და გამოითვლება, როგორც საქონლის ფასისა და გაყიდული საქონლის რაოდენობის ნამრავლი.

მთლიანი შემოსავალი: თანხა, რომელსაც ორგანიზაცია, კომპანია, დაწესებულება იღებს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან ან გაწეული მომსახურებიდან.

მთლიანი შიდა პროდუქტი: ყველა იმ საბოლოო საქონლისა თუ მომსახურების საბაზრო ღირებულება, რომელიც იწარმოება ქვეყნის შიგნით დროის მოცემულ პერიოდში.

მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი: ფასების საერთო დონის მაჩვენებელი, რომელიც გამოითვლება ნომინალური "მშპ"-სა და რეალური "მშპ"-ს შეფარდების 100-ზე გამრავლებით.

მიერთებული ბიუჯეტები: ესაა სპეციალური ფონდების ერთ-ერთი სახე, რომელიც ცენტრალურ ბიუჯეტში ჩაირთვება ბიუჯეტი-ბრუტოს პრინციპით.

მინიმაქსის კრიტერიუმი: დებულება, რომლის თანახმადაც მთავრობა მიზნად უნდა ისახავდეს საზოგადოების უღარიბესი ფენების კეთილდღეობის მაქსიმიზაციას.

მიზეზ-შედეგის სქემა: ამ სქემაზე თვალნათლივ ჩანს ყველა ის მიზეზი და კრიტერიუმი, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია საბოლოო შედეგის მისაღებად.

მიზნობრივი ობლიგაციები: ფასიანი ქაღალდები, ობლიგაციები, რომლის რეალიზაციით მიღებული სახსრები იხარჯება წინასწარ გაცხადებული მიზნისათვის.

მიზნობრივი სესხები: სახელმწიფო სესხი, საიდანაც მიღებული სახსრები გამოიყენება კონკრეტული სამეურნეო მიზნისათვის.

მიკროეკონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების სფერო, რომელიც იკვლევს ეკონომიკური სუბიექტების, ძირითადად საწარმოებისა და მცირე ფირმების სამეურნეო საქმიანობას.

მიმდინარე დანახარჯები: დანახარჯები, რომლებიც ემატება გასაყიდი საქონლის ან მომსახურების ღირებულებას.

მიმდინარე ემისია: ბაზარზე გამოშვებული ხელისუფლების ფასიანი ქაღალდების რიგით ბოლო ემისია.

მიმდინარე მარაგი: მიმდინარე მარაგი წარმოადგენს წარმოებისათვის საჭირო მატერიალური რესურსების იმ მარაგს, რომელიც საჭიროა ყოველდღიური საწარმოო პროცესის უზრუნველსაყოფად.

მიმდინარე საგარეო სახელმწიფო ვალი: ქვეყნის საგარეო ვალი, რომლის გადახდის ვადა დგება მიმდინარე საბიუჯეტო წელს.

მიმდინარე საფინანსო ვალდებულებები: ვალდებულებები კრედიტორებთან, რომელიც გასტუმრებულ უნდა იქნას მიმდინარე საფინანსო წელს, ან უახლოეს 12 თვის განმავლობაში.

მიმდინარე ხარჯები: თანხები, რომლებიც ფარავს პროგრამის, პროექტის ან ორგანიზაციის ყოველდღიურ ხარჯებს.

მინიმალური სადაზღვევო მარაგი: რესურსების მინიმალური სადაზღვევო მარაგი წარმოადგენს იმ ხელუხლებელ მარაგს, რომელიც გამოიყენება განსაკუთრებული მდგომარეობის დროს, მოწოდების შეწყვეტის შემთხვევაში.

მიუტიუელიზმი: სესხება.

მიწოდება: საქონლისა და მომსახურების მოცულობა, რომლის განსაზღვრული ფასით გაყიდვისათვის მზად არიან მწარმოებლები.

მიწოდების ელასტიურობა ფასის მიხედვით: სიდიდე, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენს ფასის მცირედი ცვლილება მიწოდების ცვლილებაზე; გამოითვლება მიწოდების პროცენტული ცვლილების შეფარდებით ფასის პროცენტულ ცვლილებასთან.

მიწოდების მრუდი: გრაფიკი, რომელიც ასახავს დამოკიდებულებას საქონლის ფასსა და მიწოდების რაოდენობას შორის.

მოგება: მთლიანი შემოსავლისა და მთლიანი დანახარჯების სხვაობა; მოგება შეიძლება იყოს:

– გაუნაწილებელი

1. აქციონერული საზოგადოების, კომპანიის მიერ მიღებული მოგება, რომელიც რჩება დივიდენდისა და გადასახადის გადახდის შემდეგ და რომელიც გამოიყენება რენოვაციის (განახლების) მიზნებისათვის, განვითარების სხვა საჭიროებისათვის; 2. ფირმის ხელმძღვანელის განკარგულებაში მყოფი წმინდა მოგება, რომელიც სპეციალური მიზნისათვისაა განკუთვნილი

- **დამატებითი**
მოგება, რომელიც მიიღება რეალური ფასის დაწევის შედეგად
- **დამფუძნებელთა**
შემოსავალი, რომელსაც იღებს დამფუძნებელი სააქციო საზოგადოება როგორც სხვაობას ამ აქციების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და დაბანდებულ კაპიტალს შორის
- **საბალანსო**
საწარმოს საერთო მოგება, მიღებული განსაზღვრულ პერიოდში საწარმოს ყველა წარმოებრივი და არაწარმოებრივი საქმიანობიდან, რომელიც დაფიქსირებულია ბუღალტრულ ბალანსში
- **საბაზისო (საბაზო)**
მიმდინარე წლის მოსალოდნელი მოგება
- **საბირჟო**
მოგება, მიღებული ფასიანი ქაღალდების და საქონლის გაყიდვიდან სასაქონლო და საფონდო ბირჟებზე
- **საემისიო**
ბანკის ან სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულების მოგება მიღებული ფასიანი ქაღალდების გავრცელებიდან
- **საერთო**
სხვაობა საერთო შემოსავლებსა და საერთო გასავლებს შორის
- **წმინდა**
მოგება, რომელიც რჩება ორგანიზაციას, კომპანიას გადასახადების, ანარიცხებისა და სხვა აუცილებელი გადასახდელების გადახდის შემდეგ.

მოგების მარჯა: შეფარდებითი მოგება, გამოთვლილი პროცენტობით რეალიზებულ პროდუქციასთან ან კაპიტალთან.

მოგებისა და ზარალის გაანგარიშების უწყისი (საფინანსო დეკლარაცია): ბიზნესის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი, რომელიც გვიჩვენებს საწარმოს შემოსავალსა და გასავალს დროის მოცემული პერიოდისათვის.

საფინანსო დეკლარაცია განკუთვნილია საგადასახადო ორგანოებში წარსადგენად.

მოგების ნორმა: წლიური მოგების შეფარდება მის მისაღებად საჭირო აუანსირებულ კაპიტალთან ან დანახარჯებთან.

მოთხოვნა-მიწოდების კანონი: დებულება, რომლის მიხედვით საქონლის ფასი იცვლება მანამ, სანამ ამ საქონლის მიწოდება და მოთხოვნა არ გაწონასწორდება.

მომგებიანი ობლიგაცია: რომელიც მის ხელშეკრის პაირდება მოგებას.

მომწოდებელი: ორგანიზაციები, რომლებისგანაც კომპანია ყიდულობს და ამით საკუთარ თავს უზრუნველყოფს ძირითადი და დამატებითი მასალებით, ნახევარფაბრიკატებით, ენერგეტიკული საშუალებებით, დანადგარ-მოწყობილობებით და წარმოების სხვა საშუალებებით.

მონეტა: ლითონის ფულის ნიშანი, სხვადასხვა ლითონისაგან მოჭრილი ფული, რომელსაც აქვს განსაზღვრული ფორმა, წონა, სინჯი და ღირებულება.

მონეტარიზმი: ფულის მიმოქცევის რაოდენობრივი თეორია, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავენ ბრუნვაში მყოფი ფულის რაოდენობის გავლენას ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. იგი განამტკიცებს მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობის ზრდისა და ფასების ღონის ღინამიკაში არსებულ პროპორციულობას.

მონეტარული ნეიტრალიტეტი: დებულება, რომლის თანახმად, ფულის მიწოდების ცვლილება გავლენას არ ახდენს ეკონომიკის რეალურ მაჩვენებლებზე.

მონეტარული პოლიტიკა: ფულის მიწოდების განსაზღვრა ცენტრალური ბანკის მიერ.

მონეტური პარიტეტი: ორი ქვეყნის ფულადი ერთეულების ოქროსა და ვერცხლის შემცველობის თანაფარდობა, რომელიც შესაძლებელს ხდის მათი ურთიერთგაცვლითი კურსის დადგენას.

მონოპოლია: ბაზრის დიდი ნაწილის ფლობა ან აბსოლუტური ბატონობა.

მოსაკრებელი: გადასახდელი, რომელიც ამოიღება საეკონომიკურ წესით კომპანიებიდან, ორგანიზაციებიდან და მოქალაქეებიდან სახელმწიფო დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურებისათვის.

მრავალჯერადი საგადასახადო დაბეგვრა: გადასახადით დასაბეგრი ერთი და იგივე ობიექტის ერთი და იგივე მიზეზით სხვადასხვა გადასახადით დაბეგვრა.

მსოფლიო ფასი: საქონლის ფასი, რომელიც დომინირებს მსოფლიო ბაზარზე.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: თეორია, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი ვალუტის ერთი ერთეულით უნდა შეგვეძლოს საქონლის ერთი და იმავე რაოდენობის შეძენა ყველა ქვეყანაში.

"მსხვერპლის" ნორმა: რეალური "მშპ"-ს წლიური დანაკარგის პროცენტული მაჩვენებელი ინფლაციის 1%-ით შემცირებისას.

მუდმივი (ფიქსირებული) გადასახადები: გადასახადები, რომლებიც უცვლელი რჩება წარმოებული პროდუქციის რაოდენობის მიუხედავად.

მუდმივი დაზღვევა: რომელიც უზრუნველყოფს დაზღვეულს მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

მუდმივი დანახარჯები: დანახარჯები, რომლებიც არ იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებისას.

"მუდმივი" უვადო ობლიგაცია: რომელსაც დაფარვის ფიქსირებული ვადა არა აქვს.

მუნიციპალიტეტი: ქალაქის, სოფლის ან დასახლებული პუნქტის ადგილობრივი არჩევითი თვითმმართველობითი ორგანო.

მუნიციპალური ობლიგაცია: ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მიერ (შტატი, ოლქი, მხარე, რეგიონი, ქალაქი) გამოშვებული საჯარო ვადიანი ვალდებულება.

მფარველობითი ბაჟი: მაღალი საბაჟო გადასახადები შემოტანილ საქონელზე სამამულო საქონლის მფარველობის მიზნით.

მცირე ბიზნესი: ორგანიზაციების, ფირმების, კომპანიების მცირე ბიზნესისათვის მიკუთვნება სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვა მაჩვენებლით ხდება: მომუშავეთა რაოდენობით, წლიური ბრუნვის სიდიდით, აქტივების მოცულობით და სხვა პარამეტრებით.

მცოცავი ინფლაცია: ინფლაცია, რომელიც ვითარდება შესაბამისად ნული ტემპით.

მცოცავი (მცურავი) სავალუტო კურსი: ვალუტის კურსის თავისუფლად
მერყევი რეჟიმი, რომელიც ემყარება სავალუტო რეგულირების საბაზრო
მექანიზმის გამოყენებას.

მწარმოებლის დანაზოგი: გამყიდველისათვის საქონელში გადახდილი
ღირებულებისა და გამყიდველის დანახარჯების სხვაობა.

“ნაოჭი”: 1) ფინანსური ინოვაცია (სიახლე), რომელიც საინტერესოა ინვესტორებისათვის და იპყრობს მათ ყურადღებას. 2) ფინანსურ ბაზარზე არაჩვეულებრივი მოვლენა.

ნარჩენი ღირებულება: ამორტიზებული აქტივის ღირებულება იმ თანხის გამოკლებით, რომელიც რჩება ამ საშუალებების შესაძლო ჩამოწერის შემდეგ; მას სალიკვიდაციო ღირებულებასაც უწოდებენ.

ნატურალური გადასახადი: გადასახადი, რომელიც ამოიღება ნატურალური, სასაქონლო ფორმით.

ნატურალური ტრანსფერტები: სახელმწიფოს დახმარება მოსახლეობისათვის ნატურალური პროდუქტის ან მომსახურების სახით.

ნაღდი ფული: 1) საზოგადოების ხელთ არსებული ბანკნოტები და მონეტები. 2) დასახარჯად გათვალისწინებული ფინანსური საშუალებები.

ნაღდი ფულის ნაკადი: ნაღდი ფულის ნაკადი ასახავს ბიზნესის განხორციელებისას წარმოქმნილ ნაღდი ფულის რეალურ ნაკადს.

ნაღდი შემოსავალი: პირადი შემოსავლის ნაწილი, რომელიც რჩება ინდივიდუალური გადასახადების გამოკლების შემდეგ.

ნაციონალიზაცია: კერძო საკუთრებიდან სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლა.

ნაციონალური ვალუტა: ქვეყნის ფულადი ერთეული.

ნაწილობრივი რეზერვების საბანკო სისტემა: საბანკო სისტემა, რომელშიც ბანკები საკრედიტო რესურსის სახით ინახავენ დეპოზიტთა მხოლოდ ნაწილს.

ნაწილობრივ კონვერტირებადი ვალუტა: ქვეყნის ნაციონალური ვალუტა, რომლის გადაცვლა სხვა ქვეყნის ვალუტაზე შეზღუდულია; იგი იცვლება მხოლოდ ზოგიერთ უცხოურ ვალუტაზე.

ნებაყოფლობითი დაზღვევა: დამზღვევსა და დაზღვეულს შორის ნებაყოფლობით დადებული ხელშეკრულება.

ნეგატიური სამშემოსავლო გადასახადი: სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის გადახდისუუნარო ფენებისათვის ბიუჯეტიდან გადახდილი სუბსიდიები.

ნეტო (სუფთა): 1) ის რაც მთლიანი რაოდენობიდან რჩება გარკვეული გამოქვითვების შემდეგ. 2) წმინდა შემოსავალი ხარჯების გამოკლებით.

ნეტო ბიუჯეტი: ბიუჯეტის შედგენა ხარჯების საღლოს მეთოდით (საღლო შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი).

ნეტო შემოსავალი: შემოსავალი რომელიც რჩება ყველა გამოქვითვის შემდეგ.

ნოვაცია: 1) განახლება, შეცვლა. 2) ორ მხარეს შორის ნაქისრ ვალდებულებათა შეცვლა.

ნომინალი: ფასიან ქაღალდებზე, ფულზე აღნიშნული ნომინალური ღირებულება; დადგენილი, დაფიქსირებული ფასი.

ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი: საქონლის წარმოებისა და მომსახურების მოცულობა, გამოხატული მიმდინარე ფასებში.

ნომინალური სავალუტო კურსი: სავალუტო კურსი, რომლითაც პიროვნებას შეუძლია ერთი ქვეყნის ვალუტით შეიძინოს მეორე ქვეყნის ვალუტა.

ნომინალური ცვლადები: ცვლადები, რომლებიც გამოიხატება ფულად ერთეულებში.

ნომინალური ღირებულება: ღირებულება, რომელიც ღვინდება ფასიანი ქაღალდებისათვის მათი ემისიის დროს.

ნონტიფიკაცია: თამასუქის ამლების მიერ თამასუქის გამცემისათვის შეტყობინება თამასუქის გაპროტესტების თაობაზე.

ნორმა: დაკანონებული წესი, ნიმუში, ეტალონი, საზომი, ადამიანთა ყოფაქცევის გარკვეული წესი.

ნორმატივი: 1) მოწესრიგება. 2) პროდუქციის ერთეულზე ნედლეულის, მასალების, ენერგიის და სხვა სახის რესურსების დანახარჯების ნორმა, რომელიც წინასწარ არის დადგენილი. 3) ნორმა საფუძვლად ედება ნორმატივს ე.ი. ნორმატივი არის იმ რესურსების ჯამი, რომელიც იანგარიშება ნორმის გამრავლებით გამოსაშვები პროდუქციის რაოდენობაზე და რომელიც აუცილებლად უნდა გააჩნდეს წარმოებას.

ნოსტრო (ჩვენი ანგარიში): ბანკის საკორესპონდენტო ანგარიში ე.ი. მოცემული საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციის ანგარიში კორესპონდენტი ბანკისადმი.

ნოუ-ჰაუ: 1) ორგანიზაციის, კომპანიის, დაწესებულების საკუთრებაში მყოფი ტექნოლოგიური, კელევიითი, საკონსტრუქტორო ან მეცნიერული ცოდნა. 2) ორგანიზაციის, კომპანიის, დაწესებულების ძირითადი საქმიანი უნარშესაძლებლობები.

ნუგეორიში: ახლად გამდიდრებული; სპეკულაციის გზით გამდიდრებული ადამიანი.

ნულიფიკაცია: 1) გაუქმება, მოსპობა, ნულამდე დაყვანა. 2) სახელმწიფოს მიერ გაუფასურებული ეროვნული ფულის ძალადაქარგულად გამოცხადება.

ობლიგაცია: ვალდებულების სერთიფიკატი; გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც მოაქვთ შემოსავალი პროცენტის ან მოგების სახით. **ობლიგაციის სახეები:** აქტიური, გარანტირებული, გრძელვადიანი, დაბრუნებადი, დისკონტური, ვადამდე გამოსყიდვითი, იპოთეკური, კონვერტირებადი, მომგებიანი, “მუდმივი”, მუნიციპალური, პროცენტისანი, სახელობითი, სახელმწიფო, “სანაგვე”, სერიული, “უმცროსი”, უსაფრთხო, უპროცენტო, უზრუნველყოფილი, ჩვეულებრივი, წარმდგენზე.

ობლიგაცია წარმომდგენზე: ობლიგაცია, რომელთა წარმომდგენიც მათ მფლობელად მიიჩნევა.

ობლიგაციის გადახდა: სესხად აღებული სახსრების უკან დაბრუნება.

ობლიგაციის დისკონტი: სხვაობა ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებასა და მის რეალურ ფასს შორის.

ობლიგაციური დივიდენდი: დივიდენდის იშვიათი ფორმა, როდესაც დივიდენდს გასცემენ არა ნაღდი ფულის ან დამატებითი აქციების სახით, არამედ ობლიგაციების ფორმით.

ობლიგო: 1) ვალდებულება, ვალი. თამასუქების მიხედვით ორგანიზაციის, კომპანიის საერთო დაეალიანების თანხა. 2) წიგნი, რომელშიც ბანკებში აღირიცხება თამასუქების მიხედვით აღრიცხული ცალკეულ პირთა დაეალიანება.

ოვერდრაფტი: ბანკისაგან კლიენტზე მოკლევადიანი კრედიტის გაცემის განსაკუთრებული ფორმა, როცა გადასახდელი თანხის სიდიდე აჭარბებს კლიენტის ანგარიშზე არსებულ სახსრებს.

ოლიგარქია: უმცირესობათა ხელისუფლება; ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფის პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობა ან თვით ასეთი ჯგუფი (მაგ. ფინანსური ოლიგარქია - ფინანსური მონოპოლია).

ონკოლი: მევალის უფლება თანდათანობით ისარგებლოს მასზედ გაცემული კრედიტით, რომელიც უზრუნველყოფილია საქონლის დაგირაევებით, თამასუქით, ფასიანი ქაღალდებით.

ონკოლური კრედიტი: მოკლევადიანი კომერციული კრედიტი, რომელიც მევალემ უნდა დაფაროს კრედიტორის პირველივე მოთხოვნისას.

ოპერაციები ღია ბაზარზე: ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ სახელმწიფო ობლიგაციების ყიდვა ან გაყიდვა ფასების დონის ან საპროცენტო განაკვეთის რეგულირების მიზნით.

ოპციონი: 1) არჩევა, სურვილი. შესრულება. 2) არჩევის უფლება, რომელსაც იღებენ ფულის გადახდისათვის.

ორდერი: წერილობითი განკარგულება, ბრძანება ან მითითება; დოკუმენტი, საბუთი (მაგ. საკასო ორდერი - საგადამხდლო ბრძანება).

ორმაგი დაზღვევა: ერთი და იგივე ობიექტის დაზღვევა ერთი და იგივე შემთხვევისაგან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიებში.

ოფერტი: ფორმალურად შეთავაზებული გარიგება, რომელიც ყველა არსებით პირობას შეიცავს.

ოფიციალური სავალუტო კურსი: სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად დადგენილი ვალუტის კურსი.

ოფსაიდი: თამაშგარე მდგომარეობა (გამოიყენება საბირჟო ტერმინოლოგიაში).

ოფსეტური გაერთიანება: საქონლის ან მომსახურების გაცვლა; გაცვლაში მიღებული შედეგათებისთვის მყიდველი ეწევა გარკვეულ კაპიტალდაბანდებას.

ოფშორი: 1) ფინანსური ცენტრები, სადაც ხდება უცხოური კაპიტალის მოზიდვა სპეციალურად საგადასახადო და სხვა შედეგათების დაწესების გზით იმ უცხოური კომპანიებისათვის, რომლებიც რეგისტრირებული არიან ოფშორულ ცენტრში. 2) მსოფლიო სატრანსპორტო-საკრედიტო ცენტრების მიერ განხორციელებული ოპერაციების დახასიათება (შესატყვისია ევრობაზრის, ევროვალუტის და სხვა).

ოფშორული ბანკი: ბანკი, რომელიც რეგისტრირებულია ოფშორულ ზონაში.

ოფციონი: 1) ამორჩევა, შერჩევა. 2) გარიგება პრემიით; ბირჟაზე შეეხება პრივილეგიას, რომელსაც იხდიან პრემიის სახით გარკვეულ ვადაში და განსაზღვრული ფასით საქონლის წინასწარი მოწოდების ან შესყიდვისთვის.

“ოქროს” ობლიგაცია: მფლობელს აძლევს ერთდროულად მოგებასაც და პროცენტსაც.

პაი: წილი, შენატანი, რაიმე საერთო საქმის ნაწილი.

პაკაუზი: საბაჟოებთან, რკინიგზის სადგურებთან ან - ნავსადგურებთან არსებული დახურული საწყობები; სხვადასხვა ტვირთის დროებითი შესანახი სათავსები.

პარალელური ვალუტა: “მეორე” ფული, რომელიც ბრუნავს ქვეყანაში (თუ ქვეყანაში ბრუნავს ოქროს და ვერცხლის ფული, ვერცხლის ფული ითვლება მეორად ფულად).

პარიტეტი: თანაფარდობა, ექვივალენტობა სხვადასხვა ქვეყნის ფულად ერთეულებს შორის, რაც დადგენილია ან ოქროს შემცველობით, ან და მსყიდველობითი უნარით.

პასიური საგადამხდელო ბალანსი: ქვეყნის საგარეო საგადამხდელო ბალანსი, რომელშიც გადახდები აღემატება შემოსავლებს.

პასიური ობლიგაცია: ობლიგაციები, რომლებსაც საპროცენტო შემოსავლები არ მოაქვთ. ხშირად მათ ორგანიზაციის, კომპანიის რეორგანიზაციის დაწყების წინ უშვებენ.

პატენტი: უფლება, რომელიც ეძლევა ახალი პროდუქციის ან ტექნოლოგიური პროცესების გამოგონებებს; ადასტურებს მის ავტორობას და აძლევს მას ექსკლუზიურ (მონოპოლიურ) უფლებას ამ სიახლეთა წარმოებასა და გამოყენებაზე გარკვეული ვადის განმავლობაში.

პენია: დასჯა, ჯარიმა, რომელიც განისაზღვრება რაიმე ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. ჯარიმა დაირიცხება პროცენტულად გაუნაღდებელი ვალდებულების თანხის მიმართ ანდა ყოველი გადახდის ვადის გადაცილებისათვის. პირგასამტეხლო სამართლის კოდექსით მიჩნეულია დასჯის ერთ-ერთ სახედ.

პენსია: მოქალაქეთა მატერიალური უზრუნველყოფის ფორმა. ფულადი თანხა, რომელსაც მთავრობა დამქირავებელი ან სადაზღვეო კომპანია უხდის მოქალაქეებს მოხუცებულობისათვის, ერთ დაწესებულებაში ხანგრძლივი მუშაობისათვის, ინვალიდობისა და სხვა გარემოებათა გამო. სადაზღვეო (საპენსიო) ფონდები, როგორც წესი, თვით მოქალაქეთა და მათ დამქირავებელთა შენატანებით და სახელმწიფო ბიუჯეტით იქმნება.

პიგუს გადასახადი: გადასახადი, რომელიც დაწესებულია გარეგანი უარყოფითი ეფექტების კორექტირებისათვის.

პირადი გადასახადი: გადასახადი, რომლითაც იბეგრება ფიზიკური პირის პირადი შემოსავალი (ხელფასი, დივიდენდი).

პირდაპირი გადასახადი: 1) გადასახადი, რომელსაც ამოიღებს სახელმწიფო უშუალოდ გადასახადის გადამხდელის შემოსავლიდან ან ქონებიდან. 2) გადასახადი, რომლის დაბეგერის ობიექტი ხილულია.

პირდაპირი დანახარჯები: პირდაპირ დანახარჯებს მიეკუთვნება ყველა ის დანახარჯი, რომელიც პირდაპირაა ჩართული პროდუქციის წარმოებაში.

პირდაპირი დაფინანსება: კაპიტალის მობილიზება სესხის განთავსების გარეშე (მაგ. სააქციო კაპიტალის გაყიდვის გზით).

პირდაპირი დახმარება: გრანტი, რომელიც გულისხმობს არა ფულის, არამედ საქონლის, მასალისა და მომსახურების მიწოდებას.

პირდაპირი ინვესტირება: 1) კაპიტალის ინვესტირება უძრავ ქონებაში, მრეწველობისა და მომსახურების სფეროს კომპანიებსა ან ფასიან ქალაქებში. 2) კაპიტალის დაბანდება საზღვარგარეთ საკუთარი საწარმოს ან ორგანიზაციის, ფირმის გახსნის მეშვეობით.

პირდაპირი საბანკო დაკრედიტება: ბანკის კაპიტალის პირდაპირი დაბანდება წარმოებაში.

პირველადი საგადასახადო შეღავათი: გადასახადის გადახდისაგან ხრული ან ნაწილობრივი განთავისუფლება, რომელიც მიეცემა გადამხდელს საქმიანობის დაწყების პირველ პერიოდში.

პოდიუმი: ბირჟის საოპერაციო დარბაზში ამადლებული ადგილი, ბაქანი, სადაც ვაჭრობის წამყვანი ღვას.

პოლისი: მოწმობა, რომელსაც აძლევს სადაზღვევო კომპანია დაზღვეულ პირს ან კომპანიას, რომელიც ადასტურებს სადაზღვევო ხელშეკრულებას.

პოლიტიკა “იაფი” ფულის: ხელისუფლების და ცენტრალური ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკა ბანკის კრედიტის გაფართოებისათვის საკრედიტო პროცენტის განაკვეთის შემცირების საშუალებით.

პოლიტიკა “ძვირი” ფულის: სახელმწიფოს და ცენტრალური ბანკის პოლიტიკა მიმართული ქვეყანაში ფულის მასის მოცულობის შემცირებისათვის. გამოიყენება ინფლაციური პრობლემების მოსაწესრიგებლად.

პორტფელი: იმ ფინანსური ინსტრუმენტების ნაკრები, რომლებსაც ერთი ან რამდენიმე მიზნის მიღწევის ვარაუდით ირჩევენ.

პორტფელური ინვესტიცია: ინვესტორი არის მოცემული კომპანიის მიერ გამოშვებული აქციების მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტის მფლობელი.

პორტო: საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯები, რომლებიც კლიენტმა უნდა აანაზღაუროს.

პორტო-ფრანკო: თავისუფალი ნავსადგური; ნავსადგური, საიდანაც ნებადართულია ბაჟის გარეშე საქონლის შემოტანა და გატანა.

პოსესია: მიწის არენდით მფლობელობა.

პრევენტიული: გამაფრთხილებელი, დამცემი. ტერმინი ხშირად იხმარება დაზღვევაში.

პრეზენტაცია: საბანკო პრაქტიკაში თამასუქის წარდგენა იმ პირისათვის, რომელიც ეალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორებანი.

პრემია: ფულადი ან ნივთიერი ჯილდო.

პრეფერენციალური აქცია: აქცია, რომელთა მფლობელი სარგებლობს სხვადასხვაგვარი პრეფერენციებით, შეღავათებით.

პრეფერენციალური ბაჟი: როდესაც სახელმწიფოები თანხმდებიან ცალკეული სახის საქონლის შემოტანისას განსაკუთრებული კეთილსასურველი რეჟიმის შემოღებაზე - ბაჟის განაკვეთის შემცირებაზე ან საერთოდ გაუქმების შესახებ.

პრივატი: კერძო. პრივატიზება თანამედროვე გაგებით სახელმწიფო (ან სხვა) საკუთრების კერძო საკუთრებად ტრანსფორმაციაა (გაყიდვით, გადაცემით, გამოსყიდვით და სხვა).

პრივილეგირებული აქცია: ეს არის აქცია, გარანტირებული (წინასწარ დათქმული) დივიდენდის მიღების უფლებით; პრივილეგირებული აქცის მფლობელს დაკარგული აქვს ხმის უფლება.

პრივილეგირებული ობლიგაცია: კონვერტირებადი ობლიგაცია, რომელსაც თან ურთავენ გარანტიებს.

პროგრესია: დაბეგვრის წესი, როდესაც შემოსავლის ზრდასთან ერთად იზრდება გადასახადის განაკვეთი.

პროგრესული გადასახადი: გადასახადი, რომლის დროსაც მაღალშემოსავლიანი გადამხდელები იბეგრებიან უფრო მაღალი განაკვეთით, ვიდრე დაბალშემოსავლიანი გადამხდელები.

პროდუქტი: ადამიანის შრომით მიღებული საგანი, საქონელი, ნივთი.

პროლონგაცია: რაიმე ხელშეკრულების, შეთანხმების ან თამასუქის მოქმედების ვადის გაგრძელება.

პრომისი: დაპირება. ფასიანი ქაღალდების ოპერაციების (ყიდვა, გაყიდვა, გადაცემა და სხვა) დროს განსაზღვრული პირობა, რომელიც მფლობელს გარკვეულ საწინდარს აძლევს.

პროპორციული გადასახადი: გადასახადი, რომლის დროსაც მაღალშემოსავლიანი და დაბალშემოსავლიანი გადამხდელები იბეგრებიან ერთი და იმავე განაკვეთით.

პროტექციონიზმი: სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის მიზანია უცხოური კონკურენციისგან ეროვნული ეკონომიკის დაცვა შემოტანილ საქონელზე მაღალი საბაჟო გადასახადების, ქვოტების და სხვა საერთაშორისო ვაჭრობის შემზღუდავი ზომების დაწესების გზით.

პროფიტი: მოგება, გამორჩენა.

პროცენტიანი სესხი: სესხი, რომლის დროსაც შემოსავალი გაიცემა მტკიცედ განსაზღვრული პროცენტის სახით.

პუნქტი: ბირჟაზე ფასის მინიმალური მერყეობის ცვალებადობის საზომი ერთეული.

პუტი: ოპციონი ქონების, ფასიანი ქაღალდების გაყიდვაზე.



ჟირატი: პირი, რომელზედაც გადაიცემა თამასუქი.

ჟირირება: თამასუქის გადაცემა სხვა პირზე, გადსაცემა წარწერის მეშვეობით.

ჟირო: წარწერა თამასუქზე, საბანკო ქვითარზე ან ჩეკზე სხვა პირისათვის მისი გადაცემის თაობაზე. ბანკის მიმართ კლიენტის წერილობითი განკარგულება საკუთარი მიმდინარე ანგარიშიდან მესამე პირზე ან დაწესებულების ანგარიშზე გარკვეული თანხის გადარიცხვის თაობაზე.

ჟირო ბანკი: ისეთი ბანკი, რომელიც საანგარიშსწორებო ოპერაციებს იმ კლიენტებს შორის აწარმოებს, რომლებსაც აღნიშნულ ბანკში გახსნილი აქვთ მიმდინარე ანგარიშები (იხ. "Giro Bank").



რაიტის: პრივილეგირებული აქცია ან ობლიგაცია რომელსაც სთავაზობენ აქციონერებს ან ხელმომწერებს საბაზრო ფასზე დაბალ ფასში.

რამბურსირება: დაბრუნება, ვალის გადახდა. თამასუქის მფლობელის სასარგებლოდ ვალის გადახდა, მესამე პირის მეშვეობით ვალის გადახდა.

რანტიე: პირი, რომელიც გასესხებული კაპიტალის სარგებლით (პროცენტით) ან ფასიანი ქაღალდების (აქციების) დივიდენდებიდან მიღებული შემოსავლით ცხოვრობს.

რანჟირება: დროის კონკრეტული პერიოდის განმავლობაში აქციების ფასების ცვლილებათა შეფასება ყველა სხვა აქციის მიმართ.

რაოდენობრივი განტოლება: განტოლება, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ფულის რაოდენობას, ფულის ბრუნვის სიჩქარეს და ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას.

რეალური გადასახადები: პირდაპირი გადასახადი, რომლის დროსაც იბეგრება გადახდელის რეალური ქონება (მიწა, სახლი, ფაბრიკა, ფასიანი ქაღალდები და ა.შ.).

რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი: საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობა, გამოხატული მუდმივ ფასებში.

რეალური საბირჟო გარიგება: ბირჟაზე მომხდარი გარიგება საქონლის ფიდვა-გაყიდვის დროს, ან მისი მიღება საწყობიდან.

რეალური სავალუტო კურსი: კურსი, რომლითაც პიროვნებას შეუძლია შეიძინოს ერთი ქვეყნის საქონელი და მომსახურება მეორე ქვეყნის საქონლითა და მომსახურებით.

რეალური შემოსავალი: რეალური შემოსავალი, გამოთვლილი საქონელზე და მომსახურებაზე რეალური ფასებისა და გადასახადების გათვალისწინებით.

რეგალია: მომსახურების სფეროს სახელმწიფო საწარმოებიდან მიღებული სახელმწიფო შემოსავალი (მაგ. ფოსტა, ტელეგრაფი).

რეგალია ფულადი: ფულის გამოშვების სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლება.

რეგრესული გადასახადი: გადასახადი, რომლის დროსაც მაღალშემოსავლიანი გადამხდელი იბეგრება უფრო დაბალი განაკვეთით, ვიდრე დაბალშემოსავლიანი.

რეგრესული სარჩელი დაზღვევაში: ზარალის შემთხვევაში დაზღვევის ორგანოს მოთხოვნის უფლება პასუხისმგებელი პირისადმი.

რედუცირება: მონეტის ღირებულების შემცირება მასში კეთილშობილი ლითონის შემცირების გზით.

რეესტრი: ღოკუმენტების გასატარებელი სარეგისტრაციო წიგნი.

რეველაცია: 1) ეროვნული ვალუტის ერთეულში ოქროს შემცველობის ოფიციალური ამაღლება. სავალუტო კურსის მერყეობის პირობებში მთავრობას არ ძალუძს საკუთარი სურვილით შეცვალოს საკურსო შეფარდებანი, ამიტომ მიმართავს ვალუტის და ფულის ბაზრებზე ოპერაციებს. ფაქტობრივად რეველაცია გამოყენებულია, როგორც ფულად-საკრედიტო სისტემის პოლიტიკის ინსტრუმენტი. 2) ეროვნული ვალუტის კურსის მომატება სხვა ვალუტებთან მიმართებაში.

რევერსი: უკანა, შებრუნებული (მაგ. სავაჭრო სამართალში რევერსი ნიშნავს ყოველგვარ ვალდებულებას, რომელსაც თან ახლავს ფასეულობის დროებითი გასხვისება (როგორც ბე), ან კიდევ ხელწერილი იმის თაობაზე, რომ გირაოდ გაცემული თამასუქი თავის დროზე იქნება გამოსყიდული და სხვა).

რევერსი: ადრე მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა, საფინანსო ღოკუმენტის გაუქმება.

რეზერვი: დეპოზიტები, რომლებსაც ბანკი სესხად არ გასცემს.

რეზერვის ნორმა: დეპოზიტების ნაწილი, რომელსაც ბანკი ინახავს რეზერვის სახით.

რეზიდენტი: იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც რეგისტრირებულია მუდმივად ან ძირითადად ცხოვრობს მოცემულ ქვეყანაში.

რემპორტი: ადრე საზღვარგარეთ გატანილი საქონლის ქვეყანაში უკან შემოტანა.

რენესტიცია: 1) დივიდენდების, პროცენტების სახით ან აქციათა გაყიდვით მიღებულ შემოსულობათა გამოყენება სხვა ფასიანი ქაღალდების შესაძენად. 2) ინვესტიციებიდან შემოსავლის სახით მიღებული სახსრები და მიმართული წარმოების გაფართოებისათვის.

რეიტინგი: კრედიტის ამღების გადახდისუნარიანობის, მის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საიმედოობის შემოწმება.

რეკამბიო: ბანკის მიერ კლიენტისთვის გახსნილი ანგარიში იმ ხარჯების ასანაზღაურებლად, რომელიც დაკავშირებულია ინკასოზე თამასუქის წარმოდგენის პროტესტთან.

რეკვიზიტი: 1) ყველა ფორმალური ელემენტის ერთობლიობა. 2) დოკუმენტი, რომელიც მთელ დოკუმენტაციას აკლავს და ამიტომ გარიგებას იურიდიული საფუძველი არა აქვს.

რეკვიზიცია: კერძო ან იურიდიულ პირთა ქონების იძულებით გაყიდვა ან ღრობით გასხვისება.

რეკლამაცია: საჩივარი, საყვედური, პრეტენზია, პროტესტი უხარისხო პროდუქციის მიწოდებისათვის, წონაში მოტყუებისთვის და სხვა.

რეკრედიტივი: წერილი აკრედიტივის გაუქმების თაობაზე.

რელატიური: შეფარდებითი.

რელდოვერული კრედიტი: საშუალო ან გრძელვადიანი კრედიტი, რომელიც მცოცავი განაკვეთით გაიცემა და დროის ყოველ ტოლ მონაკვეთში (3-6 თვე) ფიქსირდება. განსაზღვრული საბაზრო განაკვეთის ზევით მარჯა უცვლელი რჩება კრედიტის მთელი ვადის განმავლობაში. ფაქტობრივად განახლებადი კრედიტია, რომელიც გაიცემა დავალიანებისა და მისი დაფარვის ვადების ლიმიტის ფარგლებში ავტომატურად, ე.ი. საკრედიტო მხარეების დამატებითი შეთანხმების გარეშე.

რემისა (ფულის გადაგზავნა): საგადამხდელო დოკუმენტი (ჩეკი, გადასატანი თამასუქი) საერთაშორისო ანგარიშსწორებისათვის უცხოურ ვალუტაში, რომელსაც შეიძენს მევალე თავისი ქვეყნის ვალუტაში და გადაუგზავნის უცხოელ კრედიტორს დავალიანების დასაფარავად.

რემიტენტი: პირი, რომლის სახელზეც თამასუქის პირველმფლობელს გადაჰყავს თავისი თამასუქი გადასაგზავნი თამასუქის გამოწერით.

რემონტი: შეკეთება. ძირითადი ფონდების გაცვეთილი ნაწილის აღდგენა.

რენტა: 1) კაპიტალიდან, ქონებიდან, მიწიდან ყოველგვარი რეგულარული შემოსავალი, რომელიც არ გულისხმობს სამეწარმეო საქმიანობას. 2) ფულადი თანხა, რომელიც ეძლევა დაზღვეულ პირს სადაზღვევო პოლისით სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ.

რენტაბელობა: ეფექტიანობა, მომგებიანობა, შემოსავლიანობა; იანგარიშება მოგების გაყოფით დანახარჯებზე (ძირითად და საბრუნავ ფონდებზე).

რენტინგი: ტექნოლოგიური მოწყობილობების მოკლევადიანი არენდით აღება, მათი საბოლოოდ გამოსყიდვის უფლების გარეშე.

რეორგანიზაცია: გადაკეთება, გადაწყობა, გარდაქმნა.

რეპორტი: 1) სპეკულანტის მიერ საბირჟო გარიგების ჩაშლა (გადავადება). 2) საბუღალტრო დოკუმენტებში ჯამის, თანხის მეორე გვერდზე გადატანა.

რეპრივატიზაცია: კერძო პირისათვის სახელმწიფო საკუთრების დაბრუნება.

რეპროდუქცია: კელავწარმოება, აღწარმოება.

რესკრიპცია: სახაზინო ობლიგაციები და თამასუქები 4 წლის ვადით.

რესურსი: მარაგი, წარმოების საშუალებანი, ფულადი რესურსები, ტექნოლოგიური დანადგარები, ინფორმაციული რესურსები, შემოსავლის წყაროები და სხვა.

რესტრიქცია: 1) შეზღუდვა. 2) საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის, ექსპორტის შეზღუდვა, რომელსაც მსხვილი მონოპოლიური სტრუქტურები მოგების გადიდების მიზნით ახორციელებენ.

რეტრატა: 1) შექცევადი, გადასაყვანი თამასუქი. 2) მოთხოვნა თამასუქის თანხის დაბრუნებაზე და პროცენტის გადახდაზე.

რეფერენცია: ორგანიზაციის, კომპანიის, დაწესებულების გადახდისუნარიანობის დადასტურება.

რეფინანსირება: 1) ძველი ობლიგაციების შეცვლა ახლად გამოშვებული ობლიგაციებით, ძველი ობლიგაციების დაფარვის ვადის დადგომამდე ან მისი დადგომისას. 2) მოკლევადიანი ვალდებულებების შეცვლა გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდებით.

რეფორმა: გარდაქმნა, შეცვლა, გადახალისება. ეკონომიკური რეფორმა გულისხმობს სამეურნეო მექანიზმში არსებითი, სისტემური ხასიათის ცვლილებათა შეტანას.

რეცესია: უმუშევრობის ზრდისა და შემოსავლების შემცირების პროცესი; სახელმწიფოს მთლიანი ეროვნული პროდუქტის შემცირების პერიოდი.

რეციპიენტი: გადასახდელის ან სუბსიდიის მიმღები. პირი (ან პიროვნებათა ჯგუფი), ვისთვისაც განკუთვნილია ესა თუ ის ინფორმაცია.

რეწვის გადასახადი: პირდაპირი რეალური გადასახადი მრეწველობაზე, ვაჭრობაზე, კუსტარულ წარმოებაზე.

რთული პროგრესული განაკვეთი: რომლის დროსაც სხვადასხვა განაკვეთი გამოიყენება საგანაკვეთო შკალით დადგენილ სხვადასხვა შემოსავლებზე.

რთული პროცენტი: საპროცენტო შემოსავალი, რომელიც იანგარიშება ყოველი მომდევნო წლის მიხედვით, ძირითად ანაბარს მიმატებული დაგროვებული პროცენტების ჯამი; პროცენტის დარიცხვა აბონენტზე; იგი იანგარიშება ისე, რომ პროცენტი ერიცხება არა მარტო ძირითად თანხას, არამედ იმ პროცენტსაც, რომელიც დარიცხულია ამ თანხაზე წინა პერიოდში.

რიკარდოს ექვივალენტურობა: დებულება, რომლის თანახმადაც, დაბეგვრა და სახელმწიფოს მიერ შიდა სესხების აღება ეკონომიკაზე იდენტურ გავლენას ახდენს.

რიმესა: ყოველგვარი თამასუქი, რომლითაც შეიძლება ფულის მიღება.

როიალტი: საავტორო უფლებიდან და ლიცენზიებიდან შემოსავლები. დგინდება ფიქსირებული განაკვეთების სახით (პროცენტობით) ფაქტობრივი ეკონომიკური შედეგების საფუძველზე, რომლებიც მიიღება ლიცენზიის ან საავტორო უფლების გამოყენებით; გაიანგარიშება ლიცენზიის ან საავტორო უფლების მყიდველის მიერ დროის გარკვეული მონაკვეთის მიხედვით, შეთანხმების გზით.

როლ-ოვერნული კრედიტი: საშუალო და გრძელვადიანი საერთაშორისო ფინანსური კრედიტი მცურავი საპროცენტო განაკვეთით.

სააქციო კაპიტალი: გარკვეული რაოდენობის აქციები, რომელთა გაყიდვა შეუძლია კორპორაციას, როგორც საკუთარი საწესდებო კაპიტალისა; კომპანიის მიერ ყველა გამოშვებული აქციის მთლიანი ნომინალური ღირებულება.

სააქციო საზოგადოება: ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს რამდენიმე პირის კერძო საკუთრებას, რომლებიც ამ ორგანიზაციის აქციების მფლობელები არიან. არსებობს ორი სახის სააქციო საზოგადოება: ღია, რომელთა აქციები თავისუფალ ყიდვა-გაყიდვაშია და დახურული - ასეთი ორგანიზაციის აქციები ვერცელდება შეზღუდული წრის პირთა შორის.

საბანკო დეპოზიტი: ანაბრები, ბანკში ანაბრების სახით შეტანილი ფულადი სახსრები, რომელზედაც ბანკი იხდის პროცენტს.

საბაზრო ინფრასტრუქტურა: სახელმწიფო და კომერციული ორგანიზაციების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ბაზრების ნორმალურ ფუნქციონირებას.

საბაზრო ნიშა: მყიდველების ჯგუფი, რომლებისთვისაც შეთავაზებული საქონელი ყველაზე მეტადაა საინტერესო.

საბაზრო სივრცე: ნებისმიერი სივრცე, სადაც ყიდულობენ და ყიდიან საქონელს.

საბაზრო სტრატეგია: ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია გასაღების ორგანიზაციის სტიმულირებისა და გაფართოებისაკენ.

საბაზრო სქემა: საბაზრო სქემა არის მარტივად გამოსაყენებელი სქემა, როდესაც რომელიმე კომპანიის პროდუქტისათვის ეაფასებთ მასზედ მოთხოვნილებას და საბაზრო წილს.

საბაზრო ფასი: ფასი, რომელიც დადგენილია ოპციონური გარიგების მომენტში.

საბაზრო შესაძლებლობა: ახალი ბიზნესისათვის შესაძლებლობა გავიდეს ბაზარზე ახალი ან უფრო სრულყოფილი საქონლით, ან მომსახურებით მომხმარებლის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

საბანკო გადარიცხვები: ბანკის მიერ განსაზღვრული თანხის გადარიცხვა გადამრიცხველის დაეალებით მისი ანგარიშიდან სხვა პირის ანგარიშზე.

საბანკო/დეპოზიტის წიგნი: გამოიყენება მაშინ, როდესაც გახსნილია საბანკო ანგარიში. მისი საშუალებით შესაძლებელია ორგანიზაციის მიერ მიღებული და გადახდილი გზავნილების/ანგარიშების მოძრაობის თვალყურისდევნება.

საბანკო სინდიკატი: ახლად გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ორგანიზაციისა და განთავსების მიზნით გაერთიანებული ბანკების ჯგუფი.

საბაჟო ბლოკადა (საბაჟო ბარიერი): ერთი ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნის ან ქვეყნების ეკონომიკური იზოლაცია მაღალი ბაჟის დადგენის საფუძველზე.

საბაჟო გადასახადი: არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც ამოიღება საბაჟო სამსახურების მეშვეობით, სახელმწიფო საბაჟო სივრციდან გადატანილ ან საბაჟო სივრცეში შემოტანილ საქონელსა და მომსახურეზე.

საბაჟო გადასახადის რეგულირება: ბაჟის დაწესება ქვეყნის მიერ არჩეული პრინციპის (სტრატეგიის) შესაბამისად (ზოგჯერ ექსპორტი მთლიანად თავისუფლდება გადასახადისაგან ან იბეგრება დაბალი განაკვეთით).

საბაჟო დეკლარაცია: დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მონაცემებს საზღვარზე გადასატანი ტვირთის შესახებ.

საბაჟო კავშირი: სახელმწიფოთა შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის თაობაზე და სხვა სახელმწიფოების მიერ შემოტანილ საქონელზე ერთიანი საბაჟო გადასახადების დაწესების მიზნით.

საბაჟო ომი: მსოფლიო ბაზარზე ქვეყნებს შორის კონკურენტული ომი, რომლის ძირითად იარაღს წარმოადგენს საბაჟო ტარიფების სიდიდის ახლად შემოღება ანდა შეცვლა.

საბაჟო საზღვარი: ტერიტორიული საზღვარი სადაც საქონლის შემოტანაზე ივსება საბაჟო დეკლარაცია და გადაიხდება ბაჟი.

საბაჟო ტარიფი: მოსაკრებელთა სისტემა (გადასახადები, გადასახდელები), რომელიც შემოღებულია საიმპორტო ოპერაციებზე და რომლიდანაც აიღება ბაჟი საბაჟო განაკვეთის მითითებით მოცემული საქონლის ერთეულზე.

საბირჟო ფონდი: ფულადი თანხა, რომელსაც იხდიან მყიდველები საბირჟო გარიგების შესრულების უფლებებისათვის.

საბიუჯეტო პროცესი: სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ კანონით რეგლამენტირებული საქმიანობა ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცების, აღსრულების, კონტროლისა და შეფასების შესახებ.

საბიუჯეტო სისტემა: ბიუჯეტების ერთიანობა, რომელიც ეფუძნება ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას, ეკონომიკურ ურთიერთობებსა და იურიდიულ ნორმებს.

საბიუჯეტო წელი: ბიუჯეტი დროის გარკვეული პერიოდისათვის.

საბიუჯეტო ციკლი: საბიუჯეტო პროცესის ხანგრძლივობა.

საბოლოო მომხმარებელი (სამომხმარებლო ბაზარი): ნებისმიერი მყიდველი (მყიდველთა ერთობლიობა), რომელიც ყიდულობს პროდუქტს ანდა მომსახურებას საბოლოო მომხმარებლისათვის.

საბოლოო პროდუქტი: პროდუქტი, რომელმაც გაიარა წარმოების ყველა ეტაპი, შუალედურ პროდუქტად არ გამოიყენება და მზად არის მოხმარებისთვის.

საბროკერო სესხი: ფასიანი ქაღალდის მფლობელისათვის მიცემული სესხი საფონდო ფასეულობათა საწინდრით.

საბრუნავი საშუალებები: საბრუნავი საშუალებები მოიცავენ ნაღდ ფულსა და იმ საწარმოო საშუალებებს (ნედლეულს, მასალებს, ნახევარფაბრიკატებს და ა.შ.), რომლებიც მოიხმარებიან საწარმოო ციკლის პერიოდში.

საგადამხდელო ბალანსი: 1) უცხოელი პარტნიორების მონაწილეობით გარიგებების კრებისით გამოხატულება. საგადამხდელო დოკუმენტი, რომელშიც დაფიქსირებულია ყველა საშუალება, რომელიც მიიღო ერთმა მხარემ სხვა ქვეყნიდან და ის თანხები, რომლებიც მან გადაიხადა. 2) ცხრილი, უწყისი, რომელიც ასახავს ფულადი სახსრების მოძრაობას გადასახდელების სახით ქვეყნიდან ქვეყანაში. 3) ერთი ქვეყნის რეზიდენტების ეკონომიკური ურთიერთობების (ოპერაციების) ამსახველი ანგარიში სხვა ქვეყნის რეზიდენტებთან გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

საგადასახადო აგენტი: პირი, რომელსაც ეკისრება გადასახადის გამოანგარიშების, გადამხდელთაგან მისი ამოღების და ბიუჯეტში გადარიცხვის მოვალეობა.

საგადასახადო არდადეგები: კანონით დადგენილი ვადა, რომლის დროსაც გადასახადის გადამხდელები თავისუფლდებიან ამა თუ იმ გადასახადის გადახდისაგან.

საგადასახადო განაკვეთი: გადასახადის სიდიდე დასაბეგრ ერთეულზე. ანსხევაებენ: პროპორციულ, პროგრესულ და რეგრესიულ განაკვეთებს.

საგადასახადო დეკლარაცია: ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულია გადასახადის გადამხდელის მიერ მის დაბეგვრის ყველა ობიექტზე, რომელზედაც ეკუთვნის გადასახადის გადახდა განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

საგადასახადო თანხმობა: პირობა, რომ მონაწილე მხარეები ვალდებული არიან გადაიხადონ თავისი ანგარიშიდან ყველა გადასახადი და გადასახდელი, რომელიც მათ ეკუთვნის თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩატარებული საქმიანობისათვის.

საგადასახადო იმუნიტეტი: ნაციონალური და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად ცალკეული ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის მინიჭებული უფლება გადასახადის გადახდიდან განთავისუფლების შესახებ.

საგადასახადო კანონმდებლობა: იურიდიული, სამართლებრივი ნორმების, გადასახადის, საგადასახადო განაკვეთების, გადასახადების ამოღების დადგენილი წესისა და საგადასახადო შეღავათების ერთობლიობა.

საგადასახადო კადასტრი: რეესტრი, რომელიც მოიცავს იმ მონაცემებს ობიექტების (მიწა, შენობა, სარეწი) შეფასებისა და საშუალო შემოსავლიანობის შესახებ, რომლებიც გამოიყენება შესაბამისი პირდაპირი რეალური გადასახადების გამოსაანგარიშებლად; ან იმ პირთა სია, რომლებიც სულაღობრივი გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარებიან.

საგადასახადო კრედიტი: 1) გადასახადის თანხის გადავადება საგადასახადო უწყების ნებართვით. 2) შეღავათი კუთვნილი გადასახადის ჩათვლის შესახებ.

საგადასახადო მოთხოვნა: საანგარიშსწორებო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სახსრების მიმღები მის მომსახურე ბანკში წარადგენს ინკასოზე მოთხოვნას გადამხდელზე, მისი კუთვნილი თანხის შესახებ.

საგადასახადო პერიოდი: დრო, რომლის განმავლობაშიც ხდება გადასახადით ან მისაგებლით დაბეგვრა.

საგადასახადო პოლიტიკა: სახელმწიფოს მიერ საგადასახადო სფეროში გატარებულ ღონისძიებათა სისტემა.

საგადასახადო “სამოთხე”: ქვეყანა, სადაც ირიცხება კაპიტალი, გადასახადის შემცირების ან თავიდან აცილების მიზნით.

საგადასახადო სვოპი: ზარალით გაყიდული ფასიანი ქაღალდის შეცვლა ანალოგიური, მაგრამ არაიდენტური ფასიანი ქაღალდით, როგორც საგადასახადო კანონმდებლობით აკრძალული ფიქტიური გაყიდვის გვერდის ავლის ხერხი.

საგადასახადო სისტემა: სახელმწიფოს მიერ გადასახადების ამოღების, მისი აგების ფორმებისა და მეთოდების, აგრეთვე საგადასახადო ორგანოების ერთობლიობა.

საგადასახადო სხვაობა: სხვაობის თანხა გადაუხდელი ან ზედმეტად გადახდილი გადასახადისა.

საგადასახადო სპრედი: ფიზიკური კონტრაქტების ყიდვა და გაყიდვა გადასახადების შემცირების მიზნით.

საგადასახადო ტარიფი: განაკვეთების სისტემატიზებული ჩამონათვალი, გამოხატული მყარი თანხით ან პროცენტობით.

საგადასახადო ტვირთი: მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში ყველა გადასახდელიდან შემოსავლების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან ან ეროვნულ შემოსავალთან.

საგადასახადო კვოტა: საგადასახადო განაკვეთი, რომელიც გამოიხატება პროცენტობით გადასახადის გადამხდელის შემოსავლის მიმართ.

საგადასახადო ქოლგა: გასული წლების ზარალის წინ გადმოწევა მიმდინარე და მომავალი შემოსავლების დასაცავად, შემცირებული გადასახადების საშუალებით, რომელიც გამოიწვია აღნიშნული შემოსავლების ზარალის ოდენობით შემცირებამ.

საგადასახადო შეღავათი: გადასახადის შემცირება ან მისგან საერთოდ განთავისუფლება, რომელიც ეძლევათ საგადასახადო კოდექსის (კანონმდებლობის) თანახმად განსაკუთრებულ შემთხვევებში.

საგადასახადო-საბიუჯეტო (ფისკალური) პოლიტიკა: სახელმწიფო ხელისუფლების პოლიტიკა გადასახადებთან, სახელმწიფო ხარჯებთან და დაელოიანებებთან დაკავშირებით, რომელიც მიმართულია ქვეყნის მაკროეკონომიკური მიზნების მისაღწევად.

საგადასახადო შემოსავალი: შემოსავალი, რომელიც შედგება: დამატებული ღირებულების გადასახადიდან, აქციზიდან, მოგების გადასახადიდან და სხვა გადასახადებიდან.

საგანგებო ბიუჯეტი: ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს მიღებული ბიუჯეტი.

საგზაო ბაჟი: საშინაო ბაჟის სახე, რომელიც ამოიღება გზებზე, წყალზე და ხიდებზე ტვირთის გადატანის, ტერიტორიაზე გავლის ან პირუტყვის გადაყვანის დროს.

საგზაო ბეგარა: მოსახლეობის დაეალდებულება ააშენოს, გაარემონტოს ან შეინახოს გზები. დღეისათვის იგი შეიცვალა საგზაო გადასახადითა და მოსაკრებლებით.

საგზაო მოსაკრებელი: განსაკუთრებული მოსაკრებელი ცალკეული გზატკეცილებით, ხიდებით ან გვირაბებით სარგებლობისათვის.

საგირავნო ფასიანი ქაღალდები: ფასიანი ქაღალდები, რომლებიც კრედიტის უზრუნველყოფის მიზნითაა დაგირავებული.

სადაზღვევო პოლისი: დამზღვევსა და დაზღვეულს შორის დადებული კონტრაქტი.

სადაზღვევო რეზერვი: სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ შექმნილი ფონდები, რომლებიც წარმოადგენენ სადაზღვევო შემთხვევის დროს გადახდის გარანტს.

საემისიო ბანკი: საემისიო ორგანო, რომელიც პასუხს აგებს ფულის ემისიაზე, როგორც წესი, ესაა ქვეყნის ცენტრალური ეროვნული ბანკი.

საემისიო სისტემა: მიმოქცევაში ფულადი სახსრების გამოშვების წესისა და საშუალებების, აგრეთვე, სახელმწიფო ფულადი სისტემის შემადგენელი ნაწილის - ზარაფხანის ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ემისიას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ): საერთაშორისო სავალუტო – საფინანსო ორგანიზაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული სააგენტოს სახით; შეიქმნა 1945 წელს.

საერთო დანაკარგი: მთლიანი დანახოვის შემცირება, რომელიც ბაზრის დამახინჯების, მაგალითად, გადასახადის ან მონოპოლიური ფასის, შედეგია.

საერთო მოგება: საერთო მოგება არის სხვაობა ამონაგებსა და საერთო საწარმოო ხარჯებს შორის.

საექსპორტო ბაჟი: ბაჟი, რომელიც გამოიყენება მსოფლიო ბაზარზე საქონლის ექსპორტისათვის.

საექსპორტო კრედიტი: კრედიტი, მიცემული მყიდველისათვის ან მისი ბანკისათვის გაყიდვის დაფინანსების მიზნით, როგორც საშუალება ექსპორტის წახალისებისა.

სავალდებულო დაზღვევა: დაზღვევის სახე, რომელიც ხორციელდება დაზღვევის სურვილის გარეშე და როდესაც სადაზღვევო ურთიერთობანი კანონის ძალას ღებულობს.

სავალუტო დეკლარაცია: საბაჟო განცხადების სახით წარდგენილი საბუთი, რომელშიც მოცემულია ცნობები გადასატანი ვალუტის შესახებ.

სავალუტო ინტენსიფიკაცია: 1) ზომები, რომლებსაც მიმართავს ცენტრალური ბანკი სავალუტო ბირჟაზე დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტის გამოტანით, რის შემდეგაც სხვა გამყიდველები იძულებული არიან დასწონ ფასები. 2) ინტენსიფიკაცია, რომელიც გამოწვეულია ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ზეგავლენით სხვა სახელმწიფოს ფინანსურ მდგომარეობაზე.

სავალუტო ოპციონი: კონტრაქტი ვალუტის ლოტის შეძენის ან გაყიდვის უფლებაზე შეთანხმებული ფასის მიხედვით.

სავაჭრო ბალანსი: ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებათა სხვაობა (იგივე წმინდა ექსპორტი).

სავაჭრო დეფიციტი: იმპორტის გადაჭარბება ექსპორტზე.

სავაჭრო პოლიტიკა: სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც პირდაპირ გაეყენას ახდენს იმპორტირებული ან ექსპორტირებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობაზე.

სავაჭრო უპირატესობა: ექსპორტის გადაჭარბება იმპორტზე.

საზოგადოებრივი დანაზოგი: საგადასახადო შემოსავალი, რომელიც სახელმწიფოს რჩება ხარჯების დაფარვის შემდეგ.

საიმედო ქალაქი: 1) საბაზრო ფასიანი ქალაქი, რომელიც შედის ფასიანი ქალაქების პაკეტში. 2) ქალაქი, რომელსაც ინახავს მეპატრონე, რადგან მას იმედი აქვს, რომ იგი მოუტანს მყარ და მაღალ შემოსავალს.

საიმპორტო ქვოტა: ქვეყნის გარეთ წარმოებული და ქვეყნის შიგნით გაყიდული საქონლის რაოდენობის ზედა ზღვარი.

საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი: ორგანიზაციის ან კომპანიის მოგების გადასახადზე შეღავათი, რომელიც მიეცემა მას ახალი საწარმოო საშუალებების შეძენის დროს.

საკრედიტო ბარათი: სახელობითი საგადამხდელო – საანგარიშსწორებო დოკუმენტი, პერსონიფიცირებული პლასტიკური ფირფიტა, რომელიც აძლევს უფლებას მის მფლობელს ავტომატურად მიიღოს კრედიტი გარკვეული ზღვრული მოცულობით.

საკრედიტო ნებართვა: სათავე ბანკის წერილობითი განკარგულება ფილიალებისადმი დამატებითი კრედიტის მიცემაზე.

საკრედიტო რისკი: მსესხებლის მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი, ანუ რისკი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადაუხდელობაზე.

საკრედიტო ხაზი: ბანკის იურიდიულად გაფორმებული ვალდებულება მიცემული კლიენტისათვის კრედიტების განსაზღვრულ დრომდე (ჩვეულებრივ ერთი წლის განმავლობაში) გაცემის შესახებ (ე.ი. საკრედიტო ხაზის გახსნა).

საკუთარი კაპიტალი: პიროვნების ან კომპანიის კაპიტალის საბოლოო ღირებულება ფულად გამოსახულებაში. საკუთარი კაპიტალი იანგარიშება პასივებსა და აქტივებს შორის სხვაობით.

საღლო: სხვაობა, შემოსავლისა და გასავლის ჯამს შორის.

საღლო საკრედიტო: 1) კრედიტის ჯამის გადამეტება დებეტთან. 2) საბირჟო ოპერაციებში – ბროკერის დავალიანება კლიენტის მიმართ.

სამისდღეშო დაზღვევა: სიცოცხლის დაზღვევის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც მიეცემა დაზღვეულს სიკვდილის შემთხვევაში.

სამისდღეშო (სამუდამო) სადაზღვევო რენტა: ის რეგულარული შემოსავალი, რომელიც ეძლევა დაზღვევს სიცოცხლის ბოლომდე.

სამომხმარებლო ბიუჯეტი: ხშირ შემთხვევაში ოჯახის შემოსავლებისა და გასავლის ცხრილი განსაზღვრული პერიოდისთვის.

სამომხმარებლო კალათა: აუცილებელი საქონლისა და მომსახურების სახეების ჩამონათვალი და ღირებულება, რომელიც აზასიათებს ადამიანის, ან ოჯახის თვიურ მოთხოვნათა გარკვეულ (სასიცოცხლო, საარსებო მინიმუმის) ღირესა და სტრუქტურას.

სამომხმარებლო კრედიტი: მიმდინარე მომენტში ნაღდი ფულის ან საქონლის მიღება მოსახლეობის მიერ სამომხმარებლო საჭიროების დასაკმაყოფილებლად, როდესაც მისი ღირებულების გადახდა გათვალისწინებულია მომავალ პერიოდში.

სამომხმარებლო ობლიგაცია: საფინანსო ინსტიტუტების მიერ პირდაპირ მოსახლეობაზე მიყიდული საინვესტიციო თამასუქი.

სამომხმარებლო პროდუქცია: საბოლოო მოხმარებისათვის განკუთვნილი პროდუქცია.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი): ტიპური მომხმარებლის მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების მთლიანი ღირებულების მაჩვენებელი.

სამოქალაქო ობლიგაცია: უსერტიფიკატო მუნიციპალური ობლიგაციების სახესხვაობა.

სამუშაო კაპიტალი: ნაღდი ფული, რომელიც საჭიროა ორგანიზაციის/კომპანიის ფუნქციონირებისათვის. იგი განსხვავდება ძირითადი კაპიტალისაგან, რომელიც უფრო სტაბილურია ფონდების გამოყენების მხრივ.

სამუშაოს აღწერილობა: ყველა თანამდებობრივი მიზნის, ფუნქციებისა და მათთან დაკავშირებული ვალდებულებებისა და უფლებების დეტალური აღწერა.

სანაცია: სახელმწიფოს მიერ მსხვილი ორგანიზაციებისათვის/კომპანიებისათვის დახმარება საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღებისა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით.

სანქცია: დაწესება, დაკანონება, ურღვევი დადგენილება. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში სანქციას ერთი სახელმწიფო მეორის მიმართ მიმართავს იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელმა დაარღვია საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება. სანქცია ესაა სასჯელი, რომელიც ჩვეულებრივ წესდება საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის.

საობლიგაციო სეოპი: ერთი გამოშვების ობლიგაციების გაყიდვა და იმავდროულად მეორის ყიდვა.

საპატენტო ბაჟი: გადასახდელი გამოგონების გამოყენების უფლებისათვის.

საპროცენტო განაკვეთი: პროცენტის სიდიდე სესხზე, კრედიტზე.

სარგებელი: გაცემული კრედიტისათვის მიღებული მოგება, ჩვეულებრივ პროცენტობით.

სარგებლიანობა: სარგებლის განაკვეთი; ესაა გადასახადი ნასესხი საშუალებების გამოყენებისთვის; განისაზღვრება პროცენტობით.

სარგებლიანობის მიხედვით დაბეგერის პრინციპი: ნორმა, რომლის თანახმად, გადასახადების გადახდა უნდა მოხდეს იმ სარგებელზე დაყრდნობით, რომელსაც ადამიანები მომსახურებიდან იღებენ.

სარგებლის ნომინალური განაკვეთი: სარგებლის განაკვეთი, რომელიც, ჩვეულებრივ, არ არის კორექტირებული ინფლაციის ღონის მიხედვით.

სარგებლის რეალური განაკვეთი: სარგებლის განაკვეთი, რომელიც კორექტირებულია ინფლაციის მიხედვით.

სარეზერვო ვალუტა: მსოფლიოში აღიარებული ვალუტა ეროვნულ ბანკებში, რომლითაც იქმნება ფულადი საშუალებების რეზერვები საერთაშორისო ანგარიშსწორებისთვის.

სარეზერვო მოთხოვნები: რეზერვების მინიმალური ღირებულება, რომელსაც აწესებს ცენტრალური/ეროვნული ბანკი დეპოზიტების სიდიდესთან მიმართებაში და რომლის შენახვაც ბანკს კანონით ევალება.

სარეკლამო ბიუჯეტი: ასიგნებათა ნუსხა; ხარჯები სარეკლამო საქმიანობისათვის.

სარენტო სესხი (ანუიტეტი): სესხის ისეთი სახე, როდესაც სახელმწიფო არ აღგენს დაფარვის ვალდებულებას, არ იღებს თავისთავზე სესხის უკან დაბრუნების პირობას, სამაგიეროდ, იძლევა გარანტიას, რომ ობლიგაციის ხელშეკრულების რეგულარულად მისცეს მტკიცე შემოსავალი რენტის სახით.

სარენტო შემოსავალი: გაქირავებული საკუთრებიდან მიღებული საიჯარო ქირა, რომელიც შეაქვს დამქირავებელს ან მოიჯარეს.

სასესხო კაპიტალის ბაზარი: ბაზარი, რომელზეც ისინი, ვისაც დაზოგვა სურს, ფინანსური რესურსების მიმოწოდებები არიან, ხოლო ისინი, ვისაც სესხება სურს, ამ რესურსების მომხმარებლები.

სასურსათო გადასახადი: ნატურალური გადასახადი, რომელიც ამოიღება სურსათიდან.

სატელიტი: თანამზრახველი, თანამგზავრი. ეკონომიკაში მცირე სიდიდის საწარმო, რომელიც დამოუკიდებლობის პირობებში ფუნქციონირებს მსხვილი სამეურნეო ობიექტის დაკვეთით, ან კოოპერირებული ურთიერთობით; იგი საწარმოო პროფილით მიჯაჭვულია დიდ საწარმოზე ან ორგანიზაციაზე/კომპანიაზე.

სატრანსპორტო მოსაკრებელი: გადასახდელი, რომელიც ამოიღება სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებისაგან, რომლებიც

სარგებლობენ სახელმწიფო გზატკეცილებით, არხებით, მდინარეებით და აეროპორტებით.

სატრასტო ოპერაციები (ნდობითი ოპერაციები): კლიენტებსა და ბანკს შორის შეთანხმება, რომლის მიხედვით უკანასკნელი კისრულობს ვალდებულებებს ქონების შენახვის თაობაზე.

სატრასტო მომსახურება (ნდობითი მომსახურება): საბანკო მომსახურების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გარკვეული სარგებლის პირობით გულისხმობს კერძო პირებისაგან და ორგანიზაციებისაგან სახსრების, უძრავი ქონების, საპენსიო ფონდების და სხვა სახის ფასეულობის მიღებას დასაცავად, შესანახად და სამართავად.

საფინანსო ბალანსი: საფინანსო დოკუმენტი, რომელიც წარმოგიდგენს ორგანიზაციის/კომპანიის აქტივებსა (შემოსავლებსა და შემოსულობებს) და პასივებს (გარე საფინანსო ვალდებულებებს და საფინანსო ვალდებულებებს შესაკუთრეთა მიმართ).

საფინანსო ეფექტიანობის მაჩვენებელი კოეფიციენტები: კოეფიციენტები (მაჩვენებლები), რომლებიც სხეადასხვა თვალსაზრისით ახასიათებენ ორგანიზაციის/კომპანიის მომგებიანობას, მის უნარს დააკმაყოფილოს საფინანსო ვალდებულებები, აქტივების გამოყენების ეფექტიანობას და ა.შ.

საფონდო ბირჟა: ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც იძლევა ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევისა და რეგულირების საშუალებას.

საქონლური ფული: საქონელი, რომელიც გამოიყენება როგორც გაცელის საშუალება.

სადერბო მოსაკრებელი (სადერბო ბაჟი დოკუმენტებზე): მოსაკრებელი ოფიციალური დოკუმენტების, პასპორტების გაცემის, ხელშეკრულებებისა და ქონების გადაცემაზე, აგრეთვე კონტრაქტების დადების დროს.

საწარმოო ფასების ინდექსი: ორგანიზაციების/კომპანიების მიერ საქონლისა და მომსახურების კალათის შეძენაზე გაწეული დანახარჯების მაჩვენებელი.

საწესდებო კაპიტალი, ფონდი: იურიდიული პირის მიერ საკმის დასაწყებად და გასამართად საკმარისი ფულადი და მატერიალური სახსრები.

საწყისი თანხა: დაფინანსება, რომელიც საფუძველს უყრის ახალ პროექტს ან ორგანიზაციას.

საშემოსავლო გადასახადი: კალენდარული წლის განმავლობაში ფიზიკური ან იურიდიული პირის შემოსავალზე დაკისრებული გადასახადი.

საშინაო ვალის მომსახურება: სახელმწიფოს, როგორც მევალის მიერ ფულადი გადასახდელების გადახდა სახელმწიფოს კრედიტორისადმი, მიღებული კრედიტის დასაფარავად და სესხის პროცენტის გასასტუმრებლად.

საჩეკო კლირინგი: ბანკებს შორის ფულადი ფონდების მოძრაობის სისტემა, რომლის დროსაც ერთი ბანკის მიერ გამოწერილი ჩეკი მიიღება მეორის მიერ.

სახაზინო ანგარიში: ხელისუფლების ძირითადი ანგარიში ფინანსური ოპერაციების გასატარებლად.

სახაზინო ბილეთები: 1) ხაზინის მიერ გამოშვებული ქაღალდის ფული, რომელიც არ ხურდავდება ოქროზე. 2) ხაზინის მოკლევადიანი ვალდებულება, რომელიც შედის მიმოქცევაში.

სახაზინო ემისია: ხაზინის ან სხვა სახელმწიფო საფინანსო ორგანოების მიერ მიმოქცევაში სახაზინო ბილეთების და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება.

სახაზინო ვალდებულება (თამასუქი): ფინანსთა სამინისტროს (ან ცენტრალური/ეროვნული ბანკის) მიერ გამოშვებული განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის მქონე მოკლევადიანი (ერთ წელზე ნაკლები) ფასიანი ქაღალდი, რომელიც წარმოადგენს მთავრობის მიერ ვალდებულებას, მფლობელისაგან სესხის აღების დამამტკიცებელ საბუთს.

სახელმწიფო ბიუჯეტი: სახელმწიფოს შემოსავლებისა და ხარჯების ნუსხა დროის გარკვეული მონაკვეთისათვის (ჩვეულებრივ, ერთი წლის განმავლობაში).

სახელმწიფო ვალი: სახელმწიფოს ვალდებულებათა მთლიანი ღირებულება, რომელშიც შედის დაუფარავი სესხები, ვალდებულებები, კრედიტები და მათზე გადახდილი პროცენტები. სახელმწიფო ვალი იყოფა საშინაო და საგარეო ვალად.

სახელმწიფო ობლიგაცია: სახელმწიფო სააგენტოს (ეროვნულის ან საზღვარგარეთულის) მიერ გამოშვებული ყოველგვარი ობლიგაცია.

სახელმწიფო სუბსიდია: დახმარება ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის, ადგილობრივი ბიუჯეტების

სახსრებიდან ან სპეციალური ფონდებიდან მიეცემა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ადგილობრივ ორგანოებსა და სხვა სახელმწიფოებს.

სახელმწიფო ფისკალური მონოპოლია: სახელმწიფოს სრული ან ნაწილობრივი მონოპოლია ზოგიერთი სახის პროდუქციის წარმოებაზე, რეალიზაციაზე ან ორივეზე ერთად.

სახელმწიფო შესყიდვები: ადგილობრივი და ქვეყნის მთავრობის მიერ საქონლისა და მომსახურების შეძენაზე გაწეული ხარჯები.

სახსრების მოპოვება: ორგანიზაციისათვის, პროექტისათვის, პროგრამისათვის ფულის შოვნა ან ამის თაობაზე თხოვნით მიმართვა.

სეგმენტი: საერთოდ მონაკვეთს ნიშნავს. ეკონომიკაში სეგმენტად ბაზრის გარკვეული ნაწილი, სფერო იგულისხმება.

სეგმენტაცია: აგრეგირების პროცესი (დონეებად დაყოფა), რომელიც აჯგუფებს მსგავსი მოთხოვნილების მოხმარებებს ბაზრის სეგმენტებად.

სეკვესტრი: 1) დარჩენილი საფინანსო წლის მანძილზე საბიუჯეტო ხარჯებისა და შემოსავლების პროპორციული შემცირება ყველა მუხლის მიხედვით. 2) სასამართლოს გადაწყვეტილებით ორგანიზაციის ქონების კონფისკაცია.

სენიორაჟი: შემოსავალი ფულის ემისიიდან.

სერტიფიკატი: წერილობითი ფინანსური მოწმობა; სახელმწიფო სესხის განსაკუთრებული სახეობის ბილეთების სახელწოდება.

სესხი: საქმიანი გარიგება, როდესაც ერთი მხარე აწვდის ფულს ან სხვა საქონელს მეორე მხარეს იმ პირობით, რომ მას იგი დაუბრუნდება და დაემატება გასამრჯელო სარგებლის სახით. სესხის სახეებია: არაობლივბაზის, არამომგებიანი, უპროცენტო, უვადო, საშინაო, საგარეო, მომგებიანი, გარანტირებული, სახელმწიფო, ოქროს, კომპენსაციური, საერთაშორისო, ოპციონერული, ღია, პროცენტიანი, სარენტო, “შეჭრილი”, სუბორდინაციული, მიზნობრივი.

სესხის გარანტირება: იურიდიული ან ფიზიკური პირის ვალდებულება გადაიხადოს მოვალის მაგივრად სესხის თანხა და სარგებელი მთლიანად ან ნაწილი მოვალის გადახდისუუნარობის შემთხვევაში.

სესხის დაფარვის განვადება: სესხის დაბრუნების თავდაპირველად დადგენილი ვადის გაგრძელება მოტივირებული შუამდგომლობის წარმოდგენის საფუძველზე.

სექტორი: ეკონომიკის ნაწილი, რომელიც გამოყოფილია სხვა ღარგებისაგან სპეციფიური თავისებურებების ან საკუთრების ფორმით.

სეიფტი: საერთაშორისო ანგარიშსწორების პროცესის დაჩქარება სხვადასხვა საინფორმაციო/საკომუნიკაციო საშუალებებისა და სისტემების გამოყენებით.

სვოპი (გაცვლა): სასაქონლო ფინანსური გაცვლითი ოპერაცია. საქონლის, ვალების, ვალუტის, ფასიანი ქაღალდების გაცვლა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ზორციელდება ცენტრალურ ბანკებს შორის.

სვოპინგი: თითქმის ერთდროული გაყიდვა და ყიდვა ფასიანი ქაღალდებისა, იმ გადასახადებიდან "გაქცევის" თვალსაზრისით, რომელიც შეეწერებათ ფასიანი ქაღალდების ხანგრძლივი ფლობის დროს.

სვოპ-კურსი: ბანკების მიერ უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ფასები, იმ პირობით, რომ მასზედ ანგარიშსწორება მოხდება სხვადასხვა ვალებში.

სიმბოლური ფული: გადახდის საშუალება, რომლის დროსაც მისი გამოყენების ალტერნატიული ფეექტი ვერ აღწევს ფულის ხარისხს (მაგ. ხურდა მონეტა).

სინდიკატი: მონოპოლიური გაერთიანება, რომელიც მთელ კომერციულ საქმიანობას (ფასების დადგენა, პროდუქციის გასაღება და სხვა) ანზორციელებს, თუმცა მისი წევრები ინარჩუნებენ საწარმოო-იურიდიულ თავისთავადობას.

სიღარიბის ზღვარი: შემოსავლის აბსოლუტური დონე, რომელიც მთავრობის მიერ გარკვეული ზომის ოჯახისათვისაა დაწესებული და რომლის მიღმაც ოჯახი ღარიბად ითვლება.

სიღარიბის დონე: სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული წილი.

სიცოცხლის დაზღვევა: მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახის ფინანსურ დაცვას ოჯახის წევრების ნაადრევი სიკვდილის შემთხვევაში.

სკეიტი: დილერის უარი აქციის კოტირებაზე, რომელიც წინასწარ გამოქვეყნდა მის მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.

სოლო-თამასუქი: თამასუქი ერთი პირის ხელმოწერით (იმ პიროვნების, რომელიც ვალდებულია გაანადღოს იგი).

სოციალური გადასახადი: საქართველოს მაგალითზე - სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდების ფორმირებისათვის აუცილებელი შენატანი, რომელსაც გადასახადის გადამხდელები იხდიან დადგენილი განაკვეთების შესაბამისად შრომის ანაზღაურებისათვის განკუთვნილი ფონდიდან.

სოციალური დაზღვევა: სახელმწიფოს მიერ დადგენილი, გარანტირებული და კონტროლირებადი სისტემა უზრუნველყოფისა, რომელიც იქმნება მომუშავეთა შენატანებით და გამოიყენება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად.

სოციალური უზრუნველყოფა: შრომისუნარო პირთათვის სახელმწიფოს მიერ გატარებული შემოსაქვლების პროგრამა; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფონდიდან - საიდანაც გაიცემა პენსიები და დახმარებები. დახმარების ზომებს და მათი გაცემის პირობებს ადგენს კანონი.

სპეციალიზებული აქციები: გარკვეული დარგის ან ჯგუფის ფასიანი ქაღალდები.

სპეკულაცია: მოგების მიზნით საქონლის უკანონო შესყიდვა და უფრო ძვირად გაყიდვა.

სპოტური: ნაღდი სავალუტო ოპერაციები ან სხვა გარიგებების სწრაფი, დაუყოვნებლივ ანგარიშსწორება.

სპეციალური საკრედიტო ინსტიტუტები: ბანკები და არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებანი, რომლებიც სპეციალიზებულია დაკრედიტების განსაზღვრულ სფეროში.

სპონსორი: 1) ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აფინანსებს ეკონომიკურ, სასწავლო, კულტურულ, სპორტულ ან სხვა სახის პროექტებს და ახდენს დაუყოვნებლივ ანგარიშსწორებას. 2) ბროკერი, ან კომერციული ბანკი, რომელიც ეხმარება კომპანიას ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიწოდების ორგანიზებაში.

სტაგნაცია: ეკონომიკაში გამოიყენება უძრაობის აღსანიშნავად; ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებით, მცირე ბრუნვა და არააქტიური ვაჭრობის პერიოდი.

სტორნი: ანგარიშის გადაყვანა. საბუღალტრო დავთარში ჩანაწერი, რომელიც ასწორებს აღრე შეცდომით აღნიშნულ ჩანაწერს.

სტრატეგია: მიზნის მიღწევის საერთო, ყოვლისმომცველი გეგმა.

სტრატეგიული დაგეგმვა: მეთოდური პროცესი, რომლის მეშვეობითაც მაღალი დონის მენეჯერები განსაზღვრავენ ორგანიზაციის მიზნებს, მიზნების მიღწევის უზრუნველყოფელ სტრატეგიებს და სტრატეგიების წარმატებით განხორციელებისათვის საჭირო, იერარქიის მაღალ დონეზე ჩასატარებელ მოკლევადიან საქმიანობებს, კონკრეტულ მოქმედებებს.

სუბარენდა: ქვეარენდა. ძირითადი დამქირავებლის მიერ არენდით აღებული ქონების მესამე პირზე გადაცემა.

სუბენცია: სახელმწიფოს მიერ ფინანსური დახმარების გაწევის ფორმა ცალკეული დარგების, ორგანიზაციებისადმი, კომპანიებისადმი, საწარმოებისადმი გარკვეული მიზნების მისაღწევად (სუბსიდიისაგან განსხვავებით აუთენსიკაციის შემთხვევაში ეს თანხები უკან ბრუნდება).

სუბსიდია: ფინანსური დახმარება, რომელიც გაიცემა ბიუჯეტიდან გარკვეული მიზნისათვის.

სულადობრივი გადასახადი: გადასახადი ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც ამოიღება განსაზღვრული ნიშნის მიხედვით.

“სწრაფი” ფული: გაუთვალისწინებელი შემოსავალი.

სხვადასხვა საბანკო დარიცხვები: ბანკის დარიცხვები კლიენტის ისეთი მომსახურებისათვის, როგორიცაა თამასუქების დაფარვა და ინკასაცია, ანგარიშსწორების მოხდენა, ჩეკების წარდგენა და ა.შ.



ტაბულა - გასაცვლელი კურსის: ტაბულა, უწყისი, რომელიც შეიცავს კომერციული ბანკის მიერ კონვერტირებადი ვალუტის გასაცვლელი კურსის მონაცემებს იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის.

ტაბულა - ვალუტის გაცვლის: ოფიციალური ტაბულა, რომლითაც ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ დგინდება ერთი ვალუტის ერთეულის შესაბამისობა მეორე ვალუტის ერთეულზე.

ტაბინგის: აქციების ყიდვასა და გაყიდვისათვის შედარებით ხელსაყრელი მომენტი.

ტანტიემი: დამატებითი ანაზღაურების სახე, მოგების გარკვეული პროცენტი, რომელიც გაიცემა ბანკების, სააქციო საზოგადოებისა და სადაზღვეო კომპანიების წმინდა მოგებიდან, ძირითადად ხელმძღვანელ და მაღალ თანამდებობის მუშაკებზე.

ტარიფი: სხვადასხვაგვარი მომსახურებისათვის ანაზღაურების განაკვეთი.

ტაქსა: სახელმწიფო ან თვითმმართველობითი ორგანოების მიერ საქონლისთვის, შრომის ანაზღაურების ან მომსახურებისთვის განსაზღვრული შეფასება, ნიხრი.

ტეზავრაცია: 1) მოსახლეობის მიერ ფულის დაგროვება მისი მიმოქცევიდან ამოღების გზით. 2) კერძო პირების მიერ სიმდიდრის სახით ოქროს დაგროვება. 3) ქვეყნის ოქროს მარაგის შექმნა.

ტენდერი: წერილობითი წინადადება, განაცხადი; განაცხადი ფასიანი ქაღალდების ხელმოწერაზე, ვაჭრობაზე.

ტექნიკური კრედიტი: სახელმწიფოთაშორისი კრედიტი. გაცემული განსაზღვრული საქონლის ან მომსახურების შესაძენად.

ტრანზიტი: გავლა, ტვირთის ან მგზავრთა გადაზიდვა ერთი ქვეყნიდან მეორეში, მესამე ტერიტორიის გავლით.

ტრანსაქცია: გარიგება, შეთანხმება, რომელიც ურთიერთდამოკიდებულების ხმოვანებას.

ტრანსაქციური ხარჯები: შეთანხმების დადებისა და მისი განხორციელების პროცესში წარმოქმნილი დანახარჯები, გაწეული მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეთა მიერ.

ტრანსეროვნული მონოპოლიები: ერთპიროვნული და სააქციო საწარმოთა მსხვილი გაერთიანებები, რომლებიც მსოფლიო მეურნეობის ერთ ან რამდენიმე დარგს აკონტროლებენ.

ტრანსფერტი: ცალკეული ადმინისტრაციული ტერიტორიისათვის, ორგანიზაციისათვის, ოჯახისათვის ფულის გადაცემა სუბსიდიების (გრანტების) ფორმით.

ტრანშა (სერია): საობლიგაციო სესხის ნაწილი, რომლის გადახდაც ხდება ცალ-ცალკე.

ტრანშა (ტრანში): ნაწილი ან ნაწილობრივი გადასახადი ფულის მსხვილი თანხიდან (მაგ. საერთაშორისო სავალუტო ფონდში სესხის პირველი 25% იწოდება სარეზერვო ტრანშად).

ტრასანტი: გადასაყვანი თამასუქის წარმომდგენი პიროვნება, ე.ი. პირი, რომელმაც გასცა განკარგულება, თამასუქის წარმომდგენის სასარგებლოდ გადაიხადონ გარკვეული თანხა; ხოლო იმ პირს, რომელმაც თანხა უნდა გადაიხადოს თამასუქის წარმომდგენის სასარგებლოდ, "ტრატსი" ეწოდება.

ტრასტი: 1) ნღობა. აქციების მფლობელები თავიანთ აქციებს გადასცემენ ნღობით აღჭურვილ პირთა საბჭოს, რომელიც შემდეგ უშვებს სერტიფიკატებსა და დივიდენდებს. 2) პირი, რომელმაც უნდა დაიცვას და მართოს საკუთრება; სატრასტო კომპანია ითვლება ცალკე გადასახადის გადამხდელად და ექვემდებარება დაბეგვრას იმ განაკვეთით, რომელიც გამოიყენება ფიზიკური პირის მიმართ.

ტრატა: გადასაყვანი თამასუქი, საგარეო ვაჭრობაში ანგარიშსწორების ძირითადი დოკუმენტი.

ტრეიდერი: საბროკერო ფირმის მუშაკი, რომელიც ბირჟის დარბაზში საქმიანობს და უშუალოდ კლიენტის დავალებას ასრულებს, მონაწილეობს ყიდვა-გაყიდვის პროცესში.

ტრენდი: ეკონომიკური მაჩვენებლების ცვალებადობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში

ტრესტი: სამეურნეო (საწარმოო) რგოლების გაერთიანება პორიზონტალური ან ვერტიკალური ინტეგრაციით, მეტწილად დარგობრივი ხასიათისა. ტრესტში გაერთიანებული რგოლები მთლიანად კარგავენ სამეურნეო-კომერციულ და იურიდიულ დამოუკიდებლობას. ტრესტი იქმნება წარმოებისა და კაპიტალის მაღალი კონცენტრაციის მიზნით.

"ტერმინალური" ობლიგაცია: სარკინიგზო და მარცვლეულის ტერმინალების კომპანიის უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ობლიგაცია.

ტეზავრაცია (ოქროს დაგროვება): გაუფასურებისაგან დაცვის მიზნით ადამიანები თავიანთ სახსრებს ოქროს ზოდებად აქცევენ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინახავენ მათ.

უბრალო ობლიგაცია: ყოველგვარი, არაუზრუნველყოფილი საეალო ვალდებულება.

უზრუნველყოფილი ობლიგაცია: ძირითადი საშუალებებით (შენობა-ნაგებობები ან მოწყობილობა) უზრუნველყოფილი ობლიგაცია.

უზრუნველყოფა კრედიტის: პირობების, ვალდებულებების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს კრედიტორის საფუძველს, რომ მას ვალი დაუბრუნდება.

ულტიმო: საეაჱრო და საბაჱო ტერმინოლოგიით უკანასკნელი, ბოლო დღე. საბირჱო ვაჱრობის პრაქტიკაში გულისხმობს ადრე დადებული გარიგების ვადის ბოლო, უკანასკნელ დღეს.

უმუშევრობის დაზღვევა: სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ნაწილობრივ ავსებს ადამიანების შემოსაელებს, როდესაც ისინი უმუშევრად რჩებიან.

უნადლო ანგარიშსწორება: ანგარიშსწორება, რომელიც ზორციელებდა ნადლი ფულის მონაწილეობის გარეშე, გადარიცხვით ან ურთიერთმოთხოვნის დაფარვით.

უნივერსალური აქციზი: დაბეგერის მიხედვით აქციზი იყოფა ორ სახედ - ინდივიდუალურ და უნივერსალურ აქციზებად. ინდივიდუალური წესით იბეგრება ცალკეული სახის საქონელი, უნივერსალური წესით კი - საქონლის ბრუნვის ღირებულება (ბრუნვიდან გადასახადი).

უნივერსალური ბანკი: საკრედიტო დაწესებულება, რომელიც ასრულებს საბანკო ოპერაციების ძირითად სახეებს - საკრედიტოს, დეპოზიტურს, საფონდოს, საანგარიშსწორეოს.

უსაფუძვლო სესხები (დაუსაბუთებელი, ჩაუდებელი): მოკლევადიანი სესხები, რომელიც გამოშვებულია რამდენიმე კვირიდან ერთი წლის ვადით; გაერცელებულია ძირითადად ცენტრალური ან კომერციული ბანკების მიერ სახაზინო თამასუქების ან სხვა ვალდებულებების ფორმით.

უცხოელი არარეზიდენტი: სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომი, რომელიც დროებით ცხოვრობს მოცემულ ქვეყანაში.

უცხოელი რეზიდენტი: პირი, რომელსაც არა აქვს მოცემული ქვეყნის მოქალაქეობა, მაგრამ მუდმივად იყოფება მის ტერიტორიაზე.

უცხოური საგადასახადო კრედიტი: ორმაგი გადასახადით დაბეგერის აკრძალვა ქვეყანაში, სადაც არ იქნა ამოღებული საშემოსავლო გადასახადი იმ შემოსავლებიდან, რომელიც მიღებულია საზღვარგარეთული წყაროებიდან, თუ ასეთი გადასახადი უკვე გადახდილია ქვეყანაში, სადაც იგი იქნა მიღებული.

ფარული გარიგება: შეთანხმება ბაზარზე მოქმედ კომპანიებს შორის პროდუქციის რაოდენობისა და ფასების შესახებ.

ფასების ინდექსი: მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს სხვადასხვა პერიოდში საქონელსა და მომსახურებაზე ფასების თანაფარდობას.

ფასების მასშტაბი: 1) ოქროს ან ვერცხლის წონითი რაოდენობა, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში მიღებულია ფულის ერთეულად ან მის ჯერად ნაწილად. 2) არის გაზომვის საშუალება და ხერხი საქონლის ღირებულების გამოხატვისა ფულად ერთეულში.

ფასი: საქონლის ღირებულების ფულადი გამოხატულება.

ფასიანი ქაღალდი: მატერიალურ ფასეულობებზე საკუთრების უფლების გამომხატველი დოკუმენტი.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი: აქციებისა და ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვის ადგილები ორგანიზებულ ბირჟაზე და არაორგანიზებულ ბაზარზე.

ფასიანი ქაღალდების მეორადი განაწილება: მისი პირველი ხელშეკრების მიერ ფასიანი ქაღალდებით ეაჭრობა.

ფასიანი ქაღალდების პაკეტი: ფასიანი ქაღალდების პარტია მსხვილ თანხაზე.

ფასიანი ქაღალდების პორთფელი: ფასიანი ქაღალდების ერთობლიობა, რომელსაც ფლობს ინვესტორი, პირი, ორგანიზაცია.

ფასიანი ქაღალდების საბაზრო ბიულეტენი: საინფორმაციო ბიულეტენი, გამოცემული კლიენტებისათვის, რომელიც მოიცავს იმ ფაქტორების ანალიზს, რომელსაც შეუძლია იმოქმედოს ფასებზე.

ფასიანი ქაღალდები წარმდგენზე: ფასიანი ქაღალდები, სადაც არაა ნაჩვენები მფლობელის სახელი. ასეთი ქაღალდების მფლობელად გამოდის მისი წარმომდგენი.

ფასის ზედა ზღვარი: კანონით დაწესებული ფასის მაქსიმუმი, რომლითაც საქონელი უნდა გაიყიდოს.

ფასისმიერი დისკრიმინაცია: სხვადასხვა მომხმარებლისათვის საქონლის სხვადასხვა ფასად მიყიდვის პრაქტიკა.

ფასის ქვედა ზღვარი: კანონით დაწესებული ფასის მინიმუმი, რომლითაც საქონელი უნდა გაიყიდოს.

ფაქტორინგი: კომპანიის საქმიანობის დაფინანსების მეთოდი მისი ვალების გაყიდვის გზით, ანუ გაუნაღლებელი ანგარიშების შესყიდვითა და მისი კლიენტებიდან ფულის მოგროვებით.

ფაქტურა: ანგარიში, რომელიც ეძლევა მყიდველს საქონლის რაოდენობრივი, ხარისხობრივი მაჩვენებლებითა და ფასებით.

ფედერალური ობლიგაცია: ცენტრალური ხელისუფლების თამასუქი.

ფილიპისის მრუდი: მრუდი, რომელიც ასახავს არჩეულ ინფლაციასა და უმუშევრობას შორის მოკლევადიან პერიოდში.

ფინანსები: ფართო გაგებით ფულად სახსრებს ნიშნავს; მაგალითად, სახელმწიფო ფინანსები მოიცავს ყველა სახის ფულადი სახსრების ერთობლიობას, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების განკარგულებაშია და ბიუჯეტის საშუალებით საერთო მოთხოვნილების შესაბამისად იხარჯება.

ფინანსური ანგარიშგება: დროის განსაზღვრულ მანძილზე საწარმოს, ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგება. კომპერციული საქმიანობის შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებას აგრეთვე უწოდებენ მოგებისა და ზარალის ანგარიშს.

ფინანსური ბაზრები: ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა მეშვეობითაც დაზოგვის მსურველებს შეუძლიათ პირდაპირ მიაწოდონ ფინანსური სახსრები სესხის მსურველებს.

ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია: ინვესტირებისათვის მსოფლიოს ფინანსური ბაზრების მისაწვდომობის გაფართოება.

ფინანსური ბლოკადა: ბლოკირებული ქვეყნისადმი ფინანსური ურთიერთობების შეწყვეტა ან შეზღუდვა.

ფინანსური გარანტია: მზღვეველის ვალდებულება, გადაიხადოს ფიქსირებული ან მომავალში დასადგენი თანხა.

ფინანსური დისციპლინა: ფინანსური ურთიერთობების ყველა მონაწილისათვის ფინანსური საქმიანობის, გადახდების, ანგარიშსწორების და სხვა საფინანსო ოპერაციების კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად განხორციელების ვალდებულება.

ფინანსური ინტეგრაცია: 1) საგადასახადო სისტემების, ბიუჯეტის კლასიფიცირების, საბიუჯეტო პროცესის, სახელმწიფო ხარჯების პარამონიზირებისა და უნიფიცირების პროცესი. 2) ცენტრალური ბანკების მხრიდან კომერციული ბანკების საქმიანობაზე კონტროლის სისტემა, რომელიც ტარდება სახელმწიფო პოლიტიკის უფრო მეტად კოორდინირების მიზნით.

ფინანსური ინსტრუმენტი: ფინანსური ბუნების საბაზრო პროდუქციის სხვადასხვა სახე: ფასიანი ქაღალდები, ფულადი ვალდებულებები, ვალუტა, ფიუნერსი, ოპციონი და ა.შ.

ფინანსური მექანიზმი: სამეურნეო მექანიზმის შემადგენელი ნაწილი, ფინანსური სტიმულების, ხერხების, ინსტრუმენტების ერთობლიობა, ეკონომიკური პროცესების და ურთიერთობების რეგულირების ფორმა და საშუალება (ფასები, გადასახადები, ბაჟები, სანქციები, ჯარიმები და ა.შ.).

ფინანსური პანიკა: სიტუაცია, რომლის დროსაც ადამიანთა დიდი ნაწილი ცდილობს ერთდროულად და სასწრაფოდ მიიღოს ფული, რომელიც დეპონირებულია საკრედიტო სისტემაში და რომელიც აკლია მოცემულ მომენტში.

ფინანსური პოლიტიკა: ესაა ნაწილი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა. მასში იგულისხმება სახელმწიფოს ფინანსების დარგში გატარებული მიზანდასახული ღონისძიებების ერთობლიობა.

ფინანსური სისტემა: კანონების, წესებისა და ნორმების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს ფინანსურ საქმიანობას და სახელმწიფოს ფინანსურ ურთიერთობებს.

ფინანსური ინვესტიციები: აქციების და ობლიგაციების ყიდვის ნაცვლად საიმედო რეალური კაპიტალის შეძენა.

ფინანსური ინსტიტუტები: ორგანიზაციები, რომლებიც იღებენ ანაბრებს და მოზიდულ ფულს გასცემენ ვალად ან ახდენენ ამა თუ იმ ფორმით მის ინვესტირებას.

ფინანსური ინვესტიციები: აქციებში, ობლიგაციებში ან სხვა ფასიან ქაღალდებში ჩადებული ინვესტიციები.

ფინანსური ინფინირინგი: ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენება; ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისა და ოპერაციების სქემის დამუშავება, რომელიც გამოიყენება საფინანსო-საკრედიტო ოპერაციების განხორციელებისათვის.

ფინანსური კომპრომისი: წერილობითი შეთანხმება გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის საგადასახადო ღირებულების შესახებ.

ფინანსური ლიზინგი: მოლაპარაკება, რომლის თანახმადაც ლიზინგის მიღები უხდის სალიზინგო კომპანიას შეთანხმების თანახმად ამორტიზაციის სრულ თანხას და იმ მოგების წილს რომელიც მიღებულია მანქანა-დანადგარების ან სხვა მოწყობილობების გამოყენებიდან.

ფინანსური ნეიტრალიტეტი: როდესაც ეკონომიკური გადაწყვეტილებები მიღებული უნდა იქნას მათი საგადასახადო შედეგებისაგან დამოუკიდებლად.

ფინანსური რეზერვები: საწარმოს, ორგანიზაციის, კომპანიის, ფირმის განკარგულებაში არსებული ფულადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება დროებითი ფინანსური გაჭირვების სალიკვიდაციოდ.

ფინანსური ფიუჩერსი: ხანგრძლივი, ვადიანი საბირჟო შეთანხმება, კონტრაქტი, რომელიც დაკავშირებულია ეალუტის ან ფასიანი ქაღალდების შესყიდვასთან და გაყიდვასთან.

ფინანსური შუამავლები: ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა მეშვეობითაც დაზოგვის მსურველებს შეუძლიათ არაპირდაპირ მიაწოდონ ფული სესხის მსურველებს.

ფინანსური წელი: პერიოდი ბიუჯეტის შედგენიდან მის აღსრულებამდე.

ფინანსური ხარჯები: 1) ხარჯები, გაწეული ფულადი ფონდების მოზიდვის ან გამოყენებისათვის. 2) ფულადი საშუალებების ხარჯები.

ფისკალური ბაჟი: 1) ბაჟით იბეგრება მოხმარების ისეთი საგნები, რომლებიც მოცემულ სახელმწიფოში არ იწარმოება. 2) ბაჟი, შემოდებული სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტში შემოსავლების გაზრდის მიზნით.

ფისკალური გადასახადი: გადასახადი, რომელიც შემოდებულია ბიუჯეტში შემოსავლების გაზრდის მიზნით.

ფისკალური პოლიტიკა: სახელმწიფოს მიერ გადასახადების აკრეფისა და მათგან მიღებული შემოსავლების ხარჯვის ღონისძიებათა ერთობლიობა.

ფიუჩერსი: ბირჟაზე გარიგების განსაკუთრებული წესი, როდესაც საეაჭროდ გამოაქვთ არა საქონელი ფიზიკურად, არამედ კონტრაქტი, ე.ი. შეთანხმება გარკვეული საქონლის სამომავლო დამზადებაზე.

ფიქსირებული გადასახადები: სარენტო გადასახადები, რომლებიც ორგანიზაციებს შეაქვთ ბიუჯეტში და რომელთა სიდიდე მათი საქმიანობის შედეგებზე არ არის დამოკიდებული.

ფიშერის ეფექტი: ინფლაციის დონის ცვლილების შედეგად სარგებლის ნომინალური განაკვეთის ექვივალენტური ცვლილება.

ფორვარდი: საეალუტო ან სხვა სახის გარიგებისას ისეთი ანგარიშსწორება, რომელიც გარიგებიდან ორი სამუშაო დღის მანძილზე სრულდება.

ფორვარდული ოპერაციები: ისეთი ოპერაციები, რომლებიც მათი დაჩქარების მიზნით ბირჟის გვერდით ავლით საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ტელექსი, კომპიუტერული ქსელები და სხვა) სრულდება.

ფორფეტირება: კომერციული კრედიტის საბანკო კრედიტად გარდაქმნა, რაც ძირითადად, ექსპორტ-იმპორტის პირობებში ხდება, როდესაც საჭიროა მთლიანი თანხის ამოღება, გამყიდველთა საბოლოო ანგარიშსწორება.

ფრანკო: გარიგების სახე, როდესაც საქონლის ფასში შედის სატრანსპორტო ხარჯებიც გარკვეულ ადგილამდე.

ფრანჩიზი: 1) შეღავათი. განსაზღვრული რაოდენობის გაგზავნილ საქონელზე ხელშეკრულებით დასაშვები ზღვარი, აღინიშნება პროცენტობით. 2) დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული ზარალის ნაწილი, რომელიც დაზღვეულს არ უნაზღაურდება.

ფრაზტი: ყოველი სახეობის ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვებზე საფასური (განსაკუთრებით საზღვაო ტრანსპორტზე); ხშირად თვით ტვირთსაც ფრაზტს უწოდებენ.

ფრონტინგი: სადაზღვევო პოლისის გაფორმება იმ კომპანიის მიერ, რომელიც გადასცემს რისკს სხვა დამზღვევს.

ფულადი დაგროვებანი: სახელმწიფოს, ორგანიზაციის, მოსახლეობის წმინდა შემოსავალი ფულად ფორმაში.

ფულადი მიმოქცევა: ფულის განუწყვეტელი ბრუნვა, მისი გამოყენება როგორც შრომის და მომსახურების, საქონლის შეძენის, ანგარიშსწორების და გადასახდელების განხორციელების, დახმარების გაცემისა და ვალუტის დაბრუნების საშუალებისა.

ფულადი მულტიპლიკატორი: ფულის მასის ზრდის კოეფიციენტი, რომელიც იქმნება საბანკო სისტემაში ფულის ერთი ერთეულის განთავსებით.

ფულადი (მონეტარული) პოლიტიკა: ეკონომიკურ აქტივობაზე ზემოქმედება ფულის მოცულობის, დაკრედიტებისა და საპროცენტო განაკეთების სტრუქტურის სათანადო მართვით.

ფულადი რეგალია: სახელმწიფოს განსაკუთრებული ჭეშმარიტება ფულის გამოშვების შესახებ.

ფულადი რენტა: მიწის რენტის მესამე სახე, რომლის დროსაც მიწაზე მიღებული შემოსავალი იბეგრება ფულით.

ფულადი სახსრების აკუმულაცია: პირის, ქვეყნის, ორგანიზაციის, კომპანიის მიერ ფულადი რესურსების დაგროვების მუდმივი პროცესი.

ფული: 1) განსაკუთრებული საქონელი, რომელსაც ადამიანები რეგულარულად იყენებენ სხვა ადამიანებისაგან საქონლისა და მომსახურების შესაძენად. 2) საყოველთაო ექვივალენტი ყველა საქონლისათვის.

ფულის ბაზარი: ფინანსური ბაზრის ის სეგმენტი, სადაც რესურსებს ყიდულობენ და ყიდიან მოკლე ვადით.

ფულის ბრუნვის სიჩქარე: ფულის ერთეულის ხელიდან ხელში გადასვლათა რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში, გაიანგარიშება მთლიანი ეროვნული პროდუქტის შეფარდებით ფულის მასაზე.

ფულის გაუფასურება: ფულის მსყიდველობითი უნარის დაქვეითება.

ფულის გაფუჭება: ხელისუფლების მიერ მონეტის წონის ან სინჯის შემცირება ნომინალური ღირებულების შეუცვლელად.

ფულის ემისია: მიმოქცევაში ქაღალდის ფულის გამოშვება.

ფულის მსყიდველობითი უნარი: ფულის ერთეულის უნარი, გაიცვალოს საქონლის გარკვეულ რაოდენობაზე.

ფულის რაოდენობრივი თეორია: თეორია, რომლის თანახმად, ფულის რაოდენობა განსაზღვრავს ფასების დონეს, ხოლო ფულის რაოდენობის ზრდის ტემპი - ინფლაციის დონეს.

ფულის რეფორმა: 1) სახელმწიფო ღონისძიებების სისტემა, რომელიც მიმართულია ფულადი სისტემის მოწესრიგებისა და განმტკიცებისაკენ. 2) ფულის ანულირება.

ფულის უზრუნველყოფა: ფულის მიმოქცევის სტაბილურობის შენარჩუნებისათვის მატერიალური პირობების შექმნა; ფულის გამაგრება მატერიალური, სასაქონლო რესურსებით, ოქროთი და სხვა ფასეულობებით.



"ქალაქის" მოგება: იმ აქციების ღირებულების გადიდება, რომლებიც ვერ გაიყიდა.

"ქეში": გადახდის კანონიერი საშუალება ნაღდი ფულის, ბანკნოტებისა და მონეტების სახით.

ქირაენობა: პირის (გამქირაებლის) მიერ სხვა პირისათვის (დამქირაებლისთვის) ქონების სარგებლობაში გარკვეული ვადით და სასყიდლით (ქირით) გადაცემა.

ქვოტა: წარმოების, გასაღების, შემოსავლის მოცულობაში, გარიგებებში, საერთაშორისო ურთიერთობებში და ა.შ. მონაწილეობის წილი.

ქონებრივი გადასახადი: გადასახადი ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებიდან.



ღია ანგარიში: ანგარიშსწორების განსაკუთრებული ფორმა, რომელიც საკრედიტო ურთიერთობას ეფუძნება. მყიდველს გახსნილი აქვს ანგარიში, რომლისგანაც ჩამოიწერება გაგზავნილი საქონლის ღირებულება, როგორც კი გამყიდველი შესაბამის დოკუმენტს წარადგენს.

ღია აქციონერული საზოგადოება: რომლის მონაწილეებსაც შეუძლიათ გაასხვიონ თავისი კუთვნილი აქციები დანარჩენ აქციონერებთან შეუთანხმებლად.

ღია ეკონომიკა: ეკონომიკა, რომელიც თავისუფლად ურთიერთქმედებს სხვა ქვეყნის ეკონომიკასთან, დანარჩენ მსოფლიოსთან.

ღია კორპორაცია: კორპორაცია, რომლის აქციების ყიდვა შეუძლია ყველა მსურველს.

"ღია" ობლიგაცია: იპოთეკური ობლიგაცია, რომელიც ითვალისწინებს შეზღუდვებს საკუთრების გირავნობით გამოშვებული ობლიგაციების რაოდენობაზე.

ღირებულება, დაზღვევა, ფრაზტი: იმპორტირებული ტვირთის ღირებულება, რომელიც შეიცავს ფასს, დაზღვევასა და ფრაზტს და წარმოადგენს საბაჟო გადასახადის განსაზღვრის საფუძველს.

ღირებულების საზომი: ერთეული, რომელსაც იყენებენ ფასების განსაზღვრისა და ვალების აღრიცხვისათვის.

ყადალა: აკრძალვა, აღკვეთა. დაშლა. მაგალითად, ბანკის ანგარიშზე ყადალაა დადებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ანგარიშიდან ფულის მოხსნა (გატანა) აკრძალულია.

შედულა: ჯგუფი, ნაწილი, შემოსავლის ცალკეული წყარო, რის მიხედვითაც იბეგრება იურიდიული ან ფიზიკური პირის შემოსავლები.

შედულარული საშემოსავლო გადასახადი: გადასახადი, რომელიც გლობალურისაგან (მთლიანისაგან) განსხვავდება იმით, რომ გადასახადი ამოიღება შემოსავლის ცალკეული ნაწილიდან, შედულიდან ცალ-ცალკე.

შეზღუდული საგადასახადო ობლიგაცია: ისეთი საგადასახადო შემოსულობებით უზრუნველყოფილი ობლიგაცია, რომელიც შეზღუდულია თანხითაც და განაკვეთითაც.

შეკავებითი ფისკალური მონოპოლია: ხელისუფლების ღონისძიება, მიმართული ხელისუფლების შესყიდვების შემცირებაზე ან გადასახადების ზრდაზე, რომელიც ტარდება ინფლაციასთან საბრძოლველად.

შემოსავლების გადანაწილება: ამოღებული შემოსავლების ნაწილის გადაცემა ერთი იურიდიული ან ფიზიკური პირიდან მეორეზე, რომელიც უფრო მეტად საჭიროებს მას (მაგ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგიონალურ ან ადგილობრივ ბიუჯეტში).

შემოსავლის დაუბეგრავი მინიმუმი: წარმოადგენს გადამხდელის ძირითად შეღავათს. ესაა სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმუმი, რომელიც გადასახადით არ იბეგრება.

შემოსავალი ინვესტიციებიდან: შემოსავალი, რომელიც მიღებულია ფულის ან ქონების აქტივებში ჩადებით, რაც იძლევა შემოსავალს (საწარმოში იძლევა მოგებას საწარმოო საქმეებში მონაწილეობის გარეშე).

შემოსავლის მდგომარეობა: ფინანსური განაცხადი, რომელიც მოიცავს წლიურ შემოსავალს, ხარჯებს, ცვეთას და ა.შ.

შენატანები სოციალური დაზღვევის სისტემაში: მოსაკრებელი, რომელიც ამოიღება მომუშავე პირებიდან სოციალური დაზღვევის მომავალი საჭიროების უზრუნველყოფისათვის.

შერეული ბანკები: 1) ბანკები უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. 2) ბანკები სახელმწიფო და კერძო კაპიტალების მონაწილეობით.

შერეული ეკონომიკა: ეკონომიკური სისტემა, რომელიც ეყრდნობა წარმოების საშუალებებზე ყველა სახის საკუთრებას პლურალიზმის პრინციპით (მაგრამ, როგორც წესი, კერძო საკუთრების დომინირებით).

შერწყმა: ორი ან მეტი ორგანიზაციის/კომპანიის აქტივების გაერთიანება.

შუქცევადი ვალუტა: (იხ. "არაკონვერტირებადი ვალუტა").

შინაგანი სესხის ობლიგაცია: ქვეყნის შიგნით გასაყიდად გამოშვებული ობლიგაცია, რომელიც ამ ქვეყნის ვალუტით უნდა დაიფაროს.

შოკი: წარმოსდგება ფრანგულიდან და პირდაპირი გაგებით ბიძგს, ღარტყმას ნიშნავს. უკანასკნელ პერიოდში შემოვიდა ეკონომიკაში "შოკური თერაპიის" სახით. ნიშნავს საფინანსო-ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთ ვარიანტს. რომელიც გულისხმობს საბაზრო ურთიერთობებზე მკვეთრ, ნახტომისებრ და საყოველთაო გადასვლას.

შომაჟი: დაზღვევა მოგებიდან დანაკარგისა ან სხვა ფინანსური ზარალისა, რომელიც წარმოიშევა სტიქიური უბედურების გამო წარმოების შეჩერების საფუძველზე.

"შუალედური" დაფინანსება: აუცილებლობის შემთხვევაში საკალო ვალდებულების დაფარვა მოკლე ან გრძელვადიანი სესხის ხარჯზე.

შუალედური დივიდენდი: დივიდენდის გაცემამდე აქციონერების მიერ მიღებული ნებისმიერი დივიდენდი.

შუალედური ობლიგაცია: ზშირად ასეთი ობლიგაციების გამოშვება ხდება მუდმივი ობლიგაციების გამოშვებამდე.

შუალედური სესხები: მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ობლიგაციების გამოშვებამდე ღარჩენილი პერიოდისათვის.

ჩაკეტილი (არაკონვერტირებადი) ვალუტა: ეროვნული ვალუტა, რომელიც ფუნქციონირებს მხოლოდ მოცემული ქვეყნის ფარგლებში.

ჩაკეტილი ეკონომიკა: ეკონომიკა, რომელიც არ ურთიერთქმედებს სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან.

ჩარტისტი: პირი, ფინანსური ანალიტიკოსი, რომელიც სწავლობს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ფასწარმოქმნის ტენდენციებს და ახდენს საბირჟო კურსის ევოლუციის შესაბამის პროგნოზს სქემებისა და ანალიზის სახით.

ჩეკი: დოკუმენტი (ქვითარი), რომელიც გულისხმობს მეანაბრის განკარგულებას ბანკისადმი მიმდინარე ანგარიშიდან ფულის გადარიცხვის ან გამოტანის თაობაზე.

ჩეკი აქცეპტირებული: ჩეკი, რომელსაც აქვს ბანკის თანხმობა, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ თანხა ჩარიცხული იქნება ჩეკში აღნიშნული ფულის მიმღების ანგარიშზე.

ჩეკი ლიმიტირებული: საანგარიშსწორებო ჩეკი, გამოწერილი ჩეკის გამცემის მიერ, როდესაც ჩეკით მისაღები თანხა შეზღუდულია განსაზღვრული ოდენობით.

ჩვეულებრივი აქციები: აქცია, რომელზედაც დივიდენდი გადაიხდება მოგების იმ ნაწილიდან, რომელიც რჩება პრივილიგირებულ აქციის მფლობელისათვის მტკიცე პროცენტის გადახდის შემდეგ.

ჩრდილოვანი ეკონომიკა: ფარული ეკონომიკური გარიგებების (აღურიცხავი საქმიანობის) ერთობლიობა, რომლის მიზანია გადასახადებისაგან თავის არიდება ან არალეგალური ქმედების დამალვა.



ცედენტი: 1) პირი, რომელიც ფულის მიღების უფლებას გადასცემს სხვა პირს თამასუქით ან სხვა ფულადი ვალდებულებებით. 2) დაზღვევაში - სადაზღვევო კომპანია, რომელიც რისკს განათავსებს, ზელახლა გადასცემს რა მას დამზღვევს.

ცენზი: 1) ძველ რომში მოქალაქეთა საქონლის პერიოდული გადაფასება შესაბამისი თანრიგის გადასახადების დასაწესებლად. 2) პიროვნების რაიმეთი სარგებლობის (მაგ. არჩევნები, განათლება, ქონება და სხვა) შეზღუდული პირობები.

ცენტრალური ბანკი: ინსტიტუტი, რომელიც მეთვალყურეობს საბანკო სისტემას და არეგულირებს ეკონომიკაში არსებული ფულის რაოდენობას (საქართველოში ამ ფუნქციებს ასრულებს ეროვნული ბანკი).

ცენტრი ოფშორის: ესაა ფინანსური ცენტრების, ბაზრების ზონებში კეთილსასურველი, საკმაოდ შეღავათიანი საგადასახადო კონტროლის ზონა.

ცესია: დათმობა, თავისი უფლების სხვა პირზე გადაცემა. მაგალითად კრედიტორს (ცედენტი) შეუძლია თავისი უფლება სესხის მიღებაზე გადასცეს სხვა პირს (ცესიონარს).

ცხელი ფული: სპეკულაციური და საარბიტრაჟო ოპერაციების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები; ფული, რომელიც მომენტალურად გადაადგილდება ერთი ფინანსური ცენტრიდან მეორეში მოკლევადიანი მაღალი საპროცენტო განაკვეთების საძიებლად.

ძირითადი საშუალებები: ძირითადი საშუალებებია - შენობა-ნაგებობები, დანადგარ-მოწყობილობები, ავტოტრანსპორტი და ა.შ. ესაა საშუალებები, რომლებიც საწარმოო ციკლს ემსახურებიან ხანგრძლივად.

ძირითადი ფონდები: ფულით გამოხატული ძირითადი საშუალებები.



წარმოების მოცულობა: საწარმოს მიერ ღრის გარკვეულ მომენტში წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობა.

წარმოების ფაქტორები: საქონლისა და მომსახურების წარმოებისთვის აუცილებელი რესურსები, წინაპირობები. გამოყოფენ ხოლმე მათ სამ ძირითად კატეგორიას - შრომა, კაპიტალი (აღამიანის მიერ შექმნილი წარმოების საშუალებები) და ბუნებრივი რესურსები.

წარმომადგენლობითი ფული: ინვესტირების ღრის საქონლით მთლიანად უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდები.

წვრილი ინვესტორი: მცირე რაოდენობის აქციებისა და ობლიგაციების მყიდველი ინვესტორი.

წვრილი ობლიგაცია: ასი აშშ დოლარი და ნაკლები ნომინალის მქონე ობლიგაცია.

წინა პერიოდის გადაუხდელი გადასახადები: გადასახადები, რომლებიც გაანგარიშებულია წინა წელზე ან წლებზე და ჯერ კიდევ არ არის გადახდილი.

წინასწარ გადახდა: ხარჯები, წინასწარ გადახდილი იმ საქონელზე, რომელიც ჯერ არაა მიღებული.

წინასწარი ინფლაცია: იხ. "ვადამდე ინფლაცია".

წმინდა შემოსავალი: ეს არის მთლიან შემოსავალს გამოკლებული ის ხარჯები, რაც გაწეულია ამ შემოსავლის მისაღებად.

წმინდა გადასახადები: მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის გადახდილი გადასახადები იმ ტრანსფერული გადასახადების გამოკლებით, რომელსაც მოსახლეობა უხდის სახელმწიფოს.

წმინდა გადასახადები იმპორტზე: სხვაობა იმპორტზე გადასახადებსა და იმპორტზე სუბსიდიებს შორის.

წმინდა გადასახადები პროდუქციაზე: სხვაობა პროდუქციის გადასახადსა და იმ სუბსიდიებს შორის, რომელიც გაცემულია მის წარმოებაზე.

წმინდა ტრანსფერული გადასახადები: სხვა ქვეყნის მოსახლეობისათვის პირადი და სახელმწიფო ტრანსფერული გადასახადები იმ პირადი და

სახელმწიფო ტრანსფერული გადასახადების გამოყლებით, რომელიც მიღებულია სხვა ქვეყნის მოსახლეობისგან.

წმინდა უცხოური ინვესტიცია: უცხოურ აქტივებში სამამულო რეზიდენტების მიერ გადახდილი თანხისა და სამამულო აქტივებში უცხოელთა მიერ გადახდილ თანხებს შორის სხვაობა.

წონასწორობა: სიტუაცია, როდესაც მიწოდება და მოთხოვნა გაწონასწორებულია.



ჭარბი ემისია: ფასიანი ქაღალდების გამოშვება ნებადართული ან შეკვეთილი თანხის ზეით.

ჭარბი მიწოდება: სიტუაცია, როდესაც მიწოდება მოთხოვნაზე მეტია.

ჭარბი მოთხოვნა: სიტუაცია, როდესაც მოთხოვნა მიწოდებაზე მეტია.

ზაზინა: 1) სახელმწიფოს ფინანსური რესურსები, ფინანსების ცენტრალიზებული სახელმწიფო წყაროები. 2) სახელმწიფო ფინანსური დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს ბიუჯეტის საკასო შესრულებას, აგრეთვე, უშვებს საზაზინო ბილეთებს (სხვადასხვა ქვეყნებში ზაზინას სხვა ფუნქციებიც შეიძლება ჰქონდეს).

ზაზინადარი: 1) ფულისა და ძვირფასეულობის შემნახავი, მოლარე. 2) თანამდებობის პირი, რომელიც აკონტროლებს ფულისა და სხვა აქტივების მოძრაობას.

ზაზინის კანცლერი: ზოგიერთ ქვეყანაში ფინანსთა მინისტრი.

"ზარები": ბირჟის სპეკულანტები, რომლებიც ფასების ზრდას ელოდებიან.

ზარჯები არასაბიუჯეტო: ზარჯები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ბიუჯეტის გასაღლის მუხლებში და რომელიც გაიღება არასაბიუჯეტო წყაროდან.

ზარჯვითი ბიუჯეტი: ეკონომიკური პოლიტიკა, დამყარებული ბიუჯეტის დეფიციტზე.

ზელისშემშლელი ფისკალური მონოპოლია: ზელისუფლების ღონისძიება, რომელიც მიმართულია ზელისუფლების შესყიდვების შემცირებაზე, ანდა წმინდა შემოსავლების ზრდაზე, გატარებული ინფლაციასთან ბრძოლისათვის.

ზურდა (მონეტა): ლითონის წვრილი მონეტა, რომელიც ემსახურება ძირითადად მსხვილი ქალაქის კუბიურის დაზურდავებას და წვრილმან გადასახადებს.



პეჯერი: სამეურნეო სუბიექტი, ფირმა ან ბანკი, რომელიც ანხორციელებს პეჯირების ოპერაციებს ფიუჩერსულ ბირჟაზე.

პეჯირება: 1) რისკის დამცველი სხვადასხვა ხერხი და მეთოდი. 2) დაზღვევა, რისკის შემცირება დანაკარგისაგან როგორც გამყიდველისათვის, ისე მყიდველისათვის საქონელზე საბაზრო ფასის შემცირებით იმასთან შედარებით, რომელიც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების გაფორმების დროს. 3) ადგილობრივ ვალუტაზე საზღვარგარეთული ვალუტის ფორვარდული (იხ. აგრეთვე "ფორვარდი", "ფორვარდული ოპერაციები") გაყიდვა; ორი ან მეტი ფასიანი ქაღალდის გაერთიანება ერთ ინვესტიციურ პოზიციად რისკის შემცირების ან მისი გამორიცხვის მიზნით.

პიპერინფლაცია: ფულის მკვეთრი გაუფასურება. ხშირად განისაზღვრება როგორც ინფლაცია, რომლის ყოველთვიური დონე, დროის ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში აღემატება 50 პროცენტს.

პოლდინგი: აერთიანებს სამრეწველო, სამეცნიერო-ტექნიკურ და საფინანსო ორგანოებს.

პოლდინგური კომპანია: სხვა კორპორაციების იმ ფასიანი ქაღალდების (აქციათა საკონტროლო პაკეტის) მფლობელი კომპანია, რომლებიც, როგორც წესი, ხმის უფლებას იძლევიან (იხ. აგრეთვე "Holding company").

პოლდინგური ორგანიზაცია: სამრეწველო, სამეცნიერო-ტექნიკური, საფინანსო და სხვა ორგანიზაციების გაერთიანება, რომელიც განსაზღვრული დროით მართვის ორგანოს (პოლდინგს) უფლებებს გადასცემს ერთიანი პოლიტიკის შესამუშავებლად, რომელიც, თავის მხრივ, პასუხისმგებელია სამეურნეო საქმიანობაზე.

პორიზონტალური სამართლიანობა: იდეა, რომლის თანახმად, გადასახადების გადამხდელებმა, რომელთაც მსგავსი გადახდისუნარიანობა ახასიათებთ, ერთნაირი გადასახადები უნდა გადაიხადონ.

უცხოეთისთვის

ტერმინები



A; A1: ნიშნავს ადამიანის საუკეთესო ფინანსურ ან ქონებრივ მდგომარეობას.

acceptance: წარწერა თამასუქზე, რომელიც აღნიშნავს, რომ პიროვნება, ვის სახელზეც ისაა გამოწერილი თანახმაა თამასუქის პირობებზე.

acceptance credit: სააქცეპტო კრედიტი; საქონლის რეალიზაციის დაფინანსების ინსტრუმენტი, რომელიც ხშირად გამოიყენება საგარეო ვაჭრობაში.

acceptor: აქცეპტანტი, ტრასატი; პიროვნება რომელიც ანაღდებს თამასუქს.

accommodation bill (მეგობრული თამასუქი): ესაა თამასუქი, რომელსაც ხელს აწერს პიროვნება (მეგობრების მხრიდან), რომელიც გამოდის გარანტის როლში.

accountant: ბუღალტერი; აუდიტორი.

accounting period: 1) საანგარიშსწორებო პერიოდი ორგანიზაციისათვის (როგორც წესი ერთი წლის ტოლია). 2) საგადასახადო პერიოდი, რომელიც საგადასახადო კანონმდებლობით განისაზღვრება.

accounting rate of return (ARR) (მოგების საანგარიშსწორებო ნორმა): ესაა წმინდა მოგება ინვესტიციებიდან; ის იანგარიშება პროცენტობით ინვესტირებული კაპიტალის საბალანსო ღირებულებიდან.

accounts: მოგებისა და წაგების ანგარიში; ანგარიშები.

accounts payable (მოსალოდნელი გადახდები): თანხა, რომელიც ორგანიზაციამ უნდა გადაუხადოს მომწოდებელს მიღებული საქონლისათვის ან მომსახურებისათვის.

accounts receivable: მოსალოდნელი შემოსავლები.

accrued benefits: დადგენილი შეღავათები, პენსიები, დახმარებები და ა.შ. იმ ადამიანისათვის, რომელმაც იმუშავე გარკვეული წლები და მიაღწია საპენსიო ასაკს იმის მიუხედავად, აგრძელებს ის მუშაობას, თუ არა.

accrued income scheme: დაგროვილი შემოსავლის სქემა - საგადასახადო წესი, რომელიც ღიდ ბრიტანეთში გამოიყენება.

accumulated dividend (დაგროვილი დივიდენდი): დივიდენდი, რომელიც თავისდროზე არ იქნა გადახდილი პრივილეგირებული აქციების მფლობელი კომპანიის მიერ.

accumulated profits (დაგროვილი მოგება): მოგება, რომელიც რჩება ღივიდენდის გადასახადების გადახდის შემდეგ და გადაირიცხება სარეზერვო ფონდში.

active stocks (აქტიური ფასიანი ქაღალდები): აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, რომლებზეც მოდის ბირჟაზე დადებული გარიგების ღირს წილი.

additional personal allowance (საშემოსავლო გადასახადის დამატებითი პირადი შეღავათები): შეღავათი ეძლევა მარტოხელებს ბავშვის შენახვისათვის ან ცოლიან მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ შრომისუნარო მუშლე და მცირეწლოვანი შვილები.

adjustable-rate preferred stock (ARP) (პრივილეგირებული აქცია მცურავი საპროცენტო განაკვეთით): აქციები აშშ-ში, რომელთა ღივიდენდის ზომა დამოკიდებულია სახაზინო თამასუქის საპროცენტო განაკვეთზე.

advance corporation tax (ACT) (კორპორაციის სააენსო გადასახადი): გამოიყენება ბრიტანეთში 1972 წლიდან. თავისი აქციონერებისათვის ღივიდენდების გადახდასთან ერთად კომპანია უხდის საგადასახადო ღებარტამენტს კორპორაციის სააენსო გადასახადს.

adventure (საწარმოს რისკიანი საქმე): სპეკულაციური ხასიათის კომერციული საქმიანობა.

affinity card: ჯგუფური საკრედიტო ბარათი, რომელიც მიეცემა ერთი ჯგუფის ადამიანებს (მაგ. კლუბის წევრებს).

agent de change: საფონდო ბირჟის წევრი, მაგ. ბროკერი.

agreed-value policy (მოლაპარაკების პოლისი): სადაზღვევო პოლისი, რომელშიც სადაზღვევო თანხის სიდიდე სადაზღვევო ხელშეკრულებაშია მითითებული.

Agricultural Bank (Land Bank): სოფლის მეურნეობის ბანკი ან მიწის ბანკი.

allonge (ალონგი): თამასუქზე დამატება, რომელიც იძლევა შესაძლებლობას თამასუქზე გაკეთდეს გადასაცემი წარწერა მას შემდეგ, როდესაც თამასუქის მეორე მხარე მოთიანად შეესებულია წარწერებით.

allotment (ფასიანი ქაღალდების განაწილება): შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის მიერ პირველად გამოშვებული აქციების გავრცელების მეთოდი კაპიტალის გაზრდის მიზნით.

amalgamation (შერწყმა): ორი ან მეტი საწარმოს (კომპანიის) გაერთიანება, შერწყმა.

annual accounts (წლიური ანგარიშგება): ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც ქვეყნდება ყოველწლიურად.

annuity (რენტა; რეგულარულად მიღებული შემოსავალი; ანუიტეტი): გადასახადი კონტრაქტზე (იხ. "ანუიტეტი").

annuity certain (რენტა – ანუიტეტი ფიქსირებული ვადით): რენტა – ანუიტეტი გადაიხდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად იმისა ცოცხალია თუ არა კონტრაქტის (პოლისის) მფლობელი.

application form: განცხადების ბლანკი აქციის მიღების შესახებ.

as per advice (შეტყობინების თანახმად): წარწერა თამასუქზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ ტრასატი (თამასუქის მიხედვით გადამხდელი) ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ მასზედ გამოიწერება თამასუქი.

assessment (გადასახადით დაბეგვრა): წესი, რომლითაც საგადასახადო ორგანო გამოწერს და გაუგზავნის ანგარიშს გადამხდელს, ან მის აგენტს განსაზღვრული გადასახადის გადახდის შესახებ.

assignment of life policies (სიცოცხლის დაზღვევის პოლისის გადაცემა): იმ სადაზღვევო თანხის მიღების იურიდიული უფლების გადაცემა, რომელიც გათვალისწინებულია სიცოცხლის დაზღვევის პოლისში.

assurance (დაზღვევა): იმ მოვლენის დაზღვევა, რომელიც ადრე თუ გვიან შეიძლება მოხდეს, ან აუცილებლად მოხდება.

assured (დაზღვეული): დაზღვეული იურიდიული ან ფიზიკური პირი.

at call (ფული მოთხოვნამდე): მოკლევადიანი სესხი ან დეპოზიტი, რომელიც უნდა დაბრუნდეს მოთხოვნისთანავე.

at sight (წარდგინების მიხედვით): წარწერა თამასუქზე, რომელიც უჩვენებს, რომ განაღდება უნდა მოხდეს პირველი მოთხოვნის თანავე.

audit (აუდიტი): ორგანიზაციის წლიური ანგარიშის შემოწმება.

available earnings (წმინდა მოგება): წმინდა მოგება ერთ აქციაზე გაანგარიშებით.

averaging (გასაშუალება): ფასიანი ქაღალდების ან საქონლის შეძენა მათი ფასების ვარდნის დროს, მთელი პორთფელის ან მარაგის შესყიდვის საშუალო ფასის შემცირების მიზნით.

baby bonds (საბავშვო ობლიგაციები): ობლიგაციები შემოთავაზებული მეგობრული ორგანიზაციებიდან, რომლებიც განთავისუფლებულია გადასახადით დაბეგვრისაგან და წარმოადგენს ბავშვისათვის ფულის დაგროვებას, ჩვეულებრივ, 10 წლით.

back-to-back credit (countervailing credit) (საკომპენსაციო აკრედიტივი): დაკრედიტების დროს მყიდველისაგან გამყიდველის სახელის დაფარვის მეთოდი.

back-to-back loan (საკომპენსაციო კრედიტი): კრედიტი მიცემული სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ერთი კომპანიის მიერ მეორისადმი, ხშირად სხვადასხვა ვალუტაში. ბანკის ან სხვა საფინანსო ინსტიტუტის მიერ (ე.ი. რეალური თანხები მიიღება მესამე მხრიდან).

back-up credit (სარეზერვო კრედიტი): ალტერნატიული წყარო სახსრების მოზიდვისა იმ შემთხვევაში, თუ არ ხერხდება "კომერციული ქაღალდების" ("commercial paper") გამოშვების სრულად მოთავსება ბაზარზე.

bad debt (უიმედო ვალი): ვალი, რომელიც საეარაუდოა რომ არ იქნება დაბრუნებული მევალის მიერ.

balloon ("საპაერო ბურთი"): მსხვილი თანხა, რომელიც დრო და დრო გადაიხდება ვალის დასაფარავად.

ballot (კენჭისყრა): შემთხვევითი არჩევანი განცხადებებისა განცხადებათა დიდი რაოდენობიდან ახალი გამოშვების აქციების შესყიდვაზე.

bank bill (საბანკო აქცეპტი): გადასაყვანი თამასუქი გამოშვებული ან გარანტირებული (აქცეპტებული) ბანკის მიერ.

bank certificate (საბანკო სერტიფიკატი): საბანკო მენეჯერის მიერ ხელმოწერილი სერტიფიკატი, რომელიც უზენებს კომპანიის ანგარიშის ნაშთს გარკვეული დროისათვის.

bank deposit (საბანკო დეპოზიტი): ბანკში შესანახად წარმოდგენილი კლიენტის თანხა.

bank draft (banker's cheque, banker's draft) (საბანკო დრაფტი (ჩეკი)): ბანკის მიერ თავის თავზე ან თავის აგენტზე გამოწერილი ჩეკი.

banker's acceptance (საბანკო აქცეპტი): ვალიანი ტრატა. რომელზეც უნდა მოხდეს გადახდა განსაზღვრული თანხისა და რომელიც აქცეპტქმნილია ბანკის მიერ.

bank guarantee (საბანკო გარანტია): ბანკის მიერ აღებული ვალდებულებები თვითონ გადაიხადოს ვალი თუ ეს მოვალეს არ შეუძლია.

bank loan (bank advance) (საბანკო კრედიტი, საბანკო სესხი): განსაზღვრული თანხა, რომელიც გაიცემა ბანკის მიერ სესხად კლიენტზე, როგორც წესი, განსაზღვრული ვადითა და პროცენტით.

banknote (ბანკნოტა): ქაღალდის ფულის კუპიურა, გამოშვებული ცენტრალური ბანკის მიერ.

bankruptcy: გაკოტრება.

banque d'affaires (საქმიანი ბანკი): საეკონომიკური ბანკი (merchant bank) ან საკომისიო სახლის (issuing house) ფრანგული სახელწოდება.

bargain (საბირეო გარიგება): ლონდონის საფონდო ბირჟაზე შესრულებული გარიგება.

barometer stock (ბარომეტრი): ფასიანი ქაღალდი, რომლის კურსიც წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების მთელი ბაზრის მდგომარეობის მაჩვენებელს.

basket of currencies (ვალუტის კალათა): ვალუტის ჯგუფი, შერჩეული რომელიმე სხვა ვალუტის ერთეულის ღირებულების შესაფასებლად.

bearer (წარმომდგენი): პიროვნება რომელიც გასანაღებლად წარმომდგენს ჩეკს ან თამასუქს.

bearer security (bearer bond) (ფასიანი ქაღალდი წარმომდგენზე, ობლიგაცია წარმომდგენზე): წარმომდგენის ფასიანი ქაღალდი, მოწმობა საკუთრების უფლების შესახებ.

bid (მყიდველის წინადადება): წინადადება მიცემული ერთი კომპანიის მიერ მეორისადმი მისი აქციების ყიდვის შესახებ (ესაა მცდელობა მისი "გადაყლაპვისა"); ფასი, რომლის გადახდაზეც თანახმაა მყიდველი.

bill (თამასუქი; ანგარიში): თამასუქის მოკლე სახელწოდება; ანგარიშ-ფაქტურის სალაპარაკო სახელწოდება.

bills in a set (თამასუქი კომპლექტში): საზღვარგარეთის გადასაყვანი თამასუქის ორი ან სამი კოპიოდან ერთ-ერთი.

bills payable (კრედიტორული დავალიანება): ყველა იმ თამასუქის ჯამი, რომლებიც ხელზეა და ექვემდებარება გადახდას დადგენილ ვადაში.

bills receivable (დებიტორული დავალიანება): ყველა იმ თამასუქის ჯამი, რომლებიც ფირმაშია და გადახდილ უნდა იქნას დადგენილ ვადაში.

blank bill (საბლანკო თამასუქი): თამასუქი, რაზედაც არაა ნაჩვენები გადახდის მიმღების ვინაობა.

blanket policy (საერთო პოლისი): სადაზღვევო პოლისი, რომელიც ერთ თანხაში აერთიანებს დაზღვევის რამდენიმე ობიექტს.

blank transfer (აქციის საბლანკო გადაცემა): აქციის გადაცემის ფორმა, როდესაც მიმღების ვინაობა და გადაცემის ვადა არაა ნაჩვენები.

blocked currency (ბლოკირებული ვალუტა): ვალუტა, რომელიც არ შეიძლება გატანილ იქნას ქვეყნის საზღვრებიდან ვალუტის კონტროლთან (exchange controls) დაკავშირებით, რომელიც ტარდება ქვეყანაში.

Board of Customs and Excise: საბაჟო და სააქციზო სახელმწიფო დაწესებულებები.

bonus (ბონუსი): 1) ადმინისტრაციის მიერ მომუშავეისათვის გადახდილი პრემია კარგი მუშაობისათვის. 2) ჩვეულებრივზე მეტი თანხა, რომელიც მიიღო სადაზღვევო პოლისის მფლობელმა დამზღვევისაგან, რომელმაც მიიღო მოგება სიცოცხლის დაზღვევის ფონდის ინვესტირებიდან. 3) ყოველგვარი დამატებითი ან მოულოდნელი ანაზღაურება (იხ. აგრეთვე "ბონუსი").

bracket indexation (საგადასახადო ინდექსაცია): პროგრესული წესით დაბეგერისას საგადასახადო შკალის ზედა ან ქვედა საფეხურის შეცვლა ინფლაციის ინდექსის შესაბამისად.

bridging loan ("შუალედური" სესხი): მოკლევადიანი კრედიტი, აღებული ერთი აქტივის ყიდვისა და მეორის გაყიდვის დროს.

British Insurance and Investment Brokers Association: სადაზღვევო და საინვესტიციო ბროკერების ბრიტანული ასოციაცია.

broker (ბროკერი): აგენტი, რომელიც ორ მხარეს აკავშირებს და ხელს უწყობს გააფორმონ კონტრაქტი.

busted bond (old bond) (გაკოტრებული ობლიგაცია (ძველი ობლიგაცია)): ობლიგაცია, რომელიც გამოუშვა ხელისუფლებამ ან კორპორაციამ და რომელიც უკვე აღარ ასრულებს თავის იმ ვალდებულებებს, რომელიც მიცემული ჰქონდა თავიდან.



capital bond (კაპიტალური ობლიგაცია): ერთ-ერთი სახე ბრიტანული ობლიგაციისა, რომელსაც მოაქვს გარანტირებული შემოსავალი ზუთი წლის განმავლობაში.

capital budget (გრძელვადიან ხარჯთა ბიუჯეტი): ორგანიზაციის მიერ მომავალი კაპიტალდაბანდების დასაფარავად გათვალისწინებული თანხები.

capital profit (კაპიტალური მოგება): რომელიმე კაპიტალური აქტივის (capital asset) გაყიდვიდან მიღებული მოგება.

capital-transfer tax (გადასახადი კაპიტალის გადაცემაზე): გადასახადი ამოღებული, როგორც წესი, უძრავი ქონების გადაცემიდან ერთი პირის მიერ მეორისადმი მემკვიდრეობისა და ჩუქების სახით.

captive insurance company (შვილობილი სადაზღვევო კომპანია): კომპანია, რომელიც მთლიანად ეკუთვნის სხვა ორგანიზაციას და უპირატესად დაკავებულია მშობელი კომპანიის რისკების დაზღვევით.

case of need (“აუცილებლობის შემთხვევაში”): წარწერა გადასაყვან თამასუქზე, რომელიც უჩვენებს პიროვნებას, რომელსაც თამასუქის მფლობელმა შეუძლია მიმართოს იმ შემთხვევაში, თუ თამასუქი არ იქნა დროზე განაღდებული.

cheap money (easy money) (“იაფი” ფული, “მსუბუქი” ფული): ფულად-საფინანსო პოლიტიკა, რომელიც საპროცენტო განაკვეთს (interest rates) დაბალ დონეზე აჩერებს.

checking account (საჩეკო ანგარიში): მიმდინარე ე.ი. საბანკო ანგარიშის ამერიკული სახელწოდება (current account).

cheque card (საჩეკო ბარათი): პლასტიკური ბარათი, რომელიც ამტკიცებს კლიენტის გადახდისუნარიანობას.

client account (კლიენტის ანგარიში): ანგარიში ბანკში, რომელსაც ხსნის და მართავს პროფესიონალური პირი (მაგ. ადვოკატი, აგენტი, ბროკერი და სხვა) კლიენტის სახელით.

commercial bill (კომერციული თამასუქი): ნებისმიერი გადასაყვანი თამასუქი (bill of exchange), რომელიც არ მიეკუთვნება სახაზინოს.

commercial loan selling (კომერციული კრედიტის გაყიდვა): ოპერაცია, რომელშიც მონაწილეობს ორი ბანკი და ერთი კლიენტი-იურიდიული პირი.

common budget (საერთო ბიუჯეტი): ფონდი რომელიც იმყოფება ევროკომისიის მმართველობაში და სადაც თავს იყრის ყველა გადასახდელი და ბაჟი, ამოღებული იმ საქონლიდან, რომელიც შეიტანეს ევრო-გაერთიანებაში და საიდანაც დაფინანსდება სუბსიდიები სოფლის მეურნეობის პოლიტიკის გასატარებლად.

comprehensive income tax (სრული საშემოსავლო გადასახადი): დასაბეგრ ბაზაში შეიტანება არა მარტო შემოსავლები, არამედ რეალიზებული კაპიტალის მატება, აგრეთვე სხვა სიმდიდრეც (მაგ. მემკვიდრეობა).

consols (კონსოლი): სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, რომელთაც მოაქვთ შემოსავალი პროცენტის სახით, მაგრამ არ გააჩნიათ დაფარვის ფიქსირებული ვადა.

consumer credit (სამომხმარებლო კრედიტი): მოკლევადიანი სესხი, რომელიც მიეცემა მოსახლეობას საქონლის შესაძენად. სამომხმარებლო კრედიტის გავრცელებული ფორმაა საცალო ვაჭრობის მაღაზიებში საკრედიტო ანგარიშები (ყიდვა განვადებით).

contingency insurance (დაზღვევა გაუთვალისწინებელი მდგომარეობებისაგან): სადაზღვევო პოლისი, რომელიც ითვალისწინებს იმ ფინანსური ზარალის დაფარვას, რომელიც წარმოიშევა განსაზღვრული გარემოების დადგომის შედეგად.

contributory pension (პენსია შენატანების ხარჯზე): გაიცემა იმ შენატანების ანგარიშიდან, რომელიც გაიღეს საპენსიო ფონდში როგორც მომუშავემ, ისე მეწარმემ.

controlling interest (აქციების საკონტროლო პაკეტი): კომპანიის აქციების პაკეტი, რომელიც მის მფლობელს აძლევს შესაძლებლობას გააკონტროლოს კომპანია.

convertible (conversion issue) (ექვემდებარება კონვერტირებას): სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, რომლის მფლობელს უფლება აქვს განაღდების ნაცვლად მოახდინოს მისი კონვერტირება ახალ ფასიან ქაღალდებში.

corporation tax (კორპორაციის გადასახადი): გადასახადი, რომელიც ამოიღება კომერციული ოპერაციების მოგებიდან და კორპორაციის სხვა შემოსავლებიდან.

credit card (საკრედიტო ბარათი): პლასტიკური ბარათი, რომელსაც გამოსცემს ბანკი ან საფინანსო ორგანიზაცია.

credit rating (საკრედიტო რეიტინგი): კერძო პირის ან კომპანიის გადახდისუნარიანობის შეფასება ანუ მათ მიერ კრედიტის დაბრუნების ალბათობა.

dated security (ფასიანი ქაღალდი დაფარვის ფიქსირებული ვადით): ფასიანი ქაღალდი, რომელსაც გააჩნია დაფარვის ფიქსირებული ვადა (redemption date).

day-to-day money (overnight money) (ერთდღიანი კრედიტი, “ფული ერთი ღამით”): ფული, მიღებული ერთი ბანკიდან მეორეში კრედიტის სახით ერთი სამუშაო დღით, რომელიც უნდა დაბრუნდეს 24 საათის შემდეგ.

deadweight debt (“შეკდარი” ვალი): ვალი, რომელიც წარმოიშვა მიმდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების აუცილებლობით და არ არის უზრუნველყოფილი არაერთიანი აქტივებით.

death duties (მემკვიდრეობის გადასახადი): გადასახადი, რომლითაც იბეგრება პიროვნების ქონება მისი სიკვდილის მომენტში.

debt (ვალი): ფულადი თანხა, რომელიც ერთმა პირმა უნდა გადაუხადოს მეორეს და ჯერ მისი გადახდის ვადა არ დამდგარა.

debt discounting (ვალეების აღრიცხვა): კომერსანტისაგან, განსაკუთრებით ექსპორტიორისაგან, ვალეების ყიდვა შეღავათით.

debt rescheduling (დავალიანების რესტრუქტურისაგან): მოლაპარაკებები გადაუხდელ ვალეებზე, რომლის დაფარვაც შეეძლებოდა უჭირს.

debt swap (სავალაო სვოპი-გაცვლა): მესამე მხარის მიერ გამოშვებული დაუფარავი კრედიტის გაცვლა ორ ბანკს შორის.

deferred coupon note (ობლიგაცია გადავადებული კუპონით): ობლიგაცია, რომელზედაც არ გადაიხდება პროცენტები განსაზღვრული ვადის დადგომამდე.

deferred ordinary share (გადავადებული აქცია): აქციის სახეობა, რომელზედაც რამდენიმე ფიქსირებული წლის განმავლობაში საერთოდ არ გადახდილა დივიდენდი, ანდა გადახდილია უმნიშვნელო ოდენობით.

deficit financing (დეფიციტური დაფინანსება): ხელისუფლების ღონისძიებები ბიუჯეტის დეფიციტის წარმოშობის დროს, რათა შემოკლებულ მოახდინოს ეკონომიკურ საქმიანობაზე.

deflation (დეფლაცია): ინფლაციის საპირისპირო; მიმოქცევიდან გაუფასურებული ფულის ამოღება.

demand-pull inflation (მოთხოვნის ინფლაცია): მთელი ეკონომიკის მასშტაბით ფასების ზრდა, რომელიც გამოიწვია მოთხოვნის ზრდამ მიწოდებასთან შედარებით.

denomination (დენომინაცია): 1) ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება, ანუ იმ ფულის ჯამი, რომელიც იქნება გადახდილი მისი გამოსყიდვისას. 2) იმ ვალუტის დადგენა, რომლითაც უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ოპერაცია.

devaluation (დევალვაცია): ვალუტის ღირებულების კარდნა ოქროს ან სხვა ვალუტის ღირებულებასთან შედარებით.

direct quotation (პირდაპირი კოტირება): უცხოური ვალუტის კურსის კოტირება ნაციონალური ვალუტის ერთეულთან.

direct taxation (გადასახადით პირდაპირი დაბეგვრა): იმ ფიზიკური პირის ან ორგანიზაციის გადასახადით უშუალოდ დაბეგვრა, რომელიც წარმოადგენს გადასახადის გადამხდელს.

discount (დისკონტი, ფასდაკლება, შეღავათი): 1) შეღავათი (ფასდაკლება) საქონელსა და მომსახურებაზე. 2) თანხა, რითაც ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულება ნაკლებია მის ნომინალურ ღირებულებაზე.

dishonour (უარი გადახდაზე ან აქცეპტზე): ჩეკის განაღდებაზე უარი იმ შემთხვევაში, როდესაც ტრასანტის (იხ. ამავე ლექსიკონში) ანგარიშზე არ არის ამისათვის საკმარისი თანხა.

disinflation (დეზინფლაცია): დეფლაციის რბილი ფორმა იმ მიზნით, რომ შეიზღუდოს ინფლაცია უმუშევრობის ღონის გაუზრდელად.

dividend (დივიდენდი): კომპანიის შემოსავლის ნაწილის განაწილება აქციონერებს შორის (იხ. აგრეთვე "დივიდენდი").

dividend cover (დივიდენდის დაფარვა): სიდიდე, რომელიც გვიჩვენებს, თუ ერთი და იგივე პერიოდში რამდენჯერ შეუძლია კომპანიას გადაუხადოს დივიდენდები ჩვეულებრივ აქციონერებს გადასახადის შემდეგ დარჩენილი მოგებიდან.

dividend mandate (დივიდენდის მანდატი): დოკუმენტი, რომლითაც აქციონერი ატყობინებს კომპანიას, თუ ვის უნდა გადაუხადონ მისი კუთვნილი დივიდენდი.

documentary bill (დოკუმენტური თამასუქი): გადასაყვანი თამასუქი (bill of exchange), რომელიც მიეკერება საქონლის პარტიის გადასაგზავნ დოკუმენტებს.

double auction (ორმაგი აუქციონი): ზოგიერთ სასაქონლო ბაზარზე (commodity markets) ვაჭრობის წესი, რომელიც თავისუფალ საბირჟო ვაჭრობას გულისხმობს.

double taxation (გადასახადით ორმაგი დაბეგვრა): დაბეგვრის წესი, როდესაც ერთი და იგივე შემოსეული იბეგრება გადასახადით ორ ან რამდენიმე ქვეყანაში.

drawee (ტრასატი): პირი, რომელზედაც გამოწერილია გადასაცემი თამასუქი (bill of exchange).

drawer (ტრასანტი): პირი, რომელმაც ხელი მოაწერა გადასაცემი თამასუქს და უბრძანა ტრასატს გადაიხადოს აღნიშნული თანხა განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.

drop lock (კონვერსიული ობლიგაცია): ფასიანი ქაღალდების გამოშვების ახალი ფორმა ობლიგაციის ბაზარზე, რომელიც თავის თავში ითავსებს საბანკო სესხის უპირატესობას ობლიგაციის უპირატესობასთან ერთად.

earning per share (eps) (ერთი აქციის მოგება): კომპანიის მოგება დადგენილი პერიოდისათვის (როგორც წესი ერთი წლის), გაყოფილი კომპანიის მიერ გამოშვებულ ჩვეულებრივ აქციათა რაოდენობაზე.

equities (აქციები): კომპანიის ჩვეულებრივი აქციები, რომელთა კოტირებასაც ახდენენ საფონდო ბირჟაზე.

equity capital (სააქციო კაპიტალი): იხ. "share capital".

eurobond (ევროობლიგაცია): ევროვალუტაში გამოშვებული ობლიგაცია.

exchange control (სავალუტო კონტროლი): უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შეზღუდვები; ამას სხვადასხვა ფორმით განსაკუთრებით ის ქვეყნები იყენებენ, რომლებიც მყარი ვალუტის სიმცირეს განიცდიან.

expenditure tax (outlay tax) (გადასახადი ხარჯებზე): გადასახადით დაბეგვრა ცალკეული პირის ან ოჯახის ხარჯებისა (მაგ. გადასახადი დამატებულ ღირებულებაზე).

face value (ნომინალური ღირებულება): ნომინალური ფასი, რომელიც აწერია ფასიან ქაღალდს, ბანკნოტს ან მონეტას.

facultative reinsurance (ფაკულტატური, არასტანდარტული გადაზღვევა): გადაზღვევის (ხელახალი დაზღვევის) ფორმა, როდესაც გადაზღვევის ვადები, პირობები და შენატანები დამატებით თანხმდება ინდივიდუალური წესით დამზღვევსა და გადამზღვევს შორის.

fiduciary: სესხი, რომელიც დაფუძნებულია ნდობაზე და არა გირაოზე, ოქროთი და ა.შ. უზრუნველყოფაზე.

fiduciary issue (ფიდუციარული ემისია): დიდ ბრიტანეთში ბანკნოტების ნაწილის ემისია, რომელიც იფარება არა ოქროთი, არამედ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით.

finance lease (ფინანსური ლიზინგი): ლიზინგი, რომელშიც არენდატორი, პირი, იღებს რა მოწყობილობებს იჯარით, თავის თავზე იღებს ყველა ფინანსურ სარგებელსა და რისკს.

financial accountant: კვალიფიციური ბუღალტერი ფინანსურ საკითხებში.

financial adviser (ფინანსური კონსულტანტი): პიროვნება, რომელიც სთავაზობს ფინანსურ კონსულტაციებს, პირველ რიგში ინვესტირების საკითხებში.

financial futures (ფინანსური ფიუჩერსი - იხ. ამავე ლექსიკონში): ფიუჩერული კონტრაქტები ვალუტის ან პროცენტის განაკვეთის მორიგებაში.

financial intermediary (ფინანსური შუამავალი): ბანკი, სამშენებლო, სადაზღვეო ან საინვესტიციო კომპანია, რომელთაც გააჩნიათ კრედიტორისაგან სესხად მიღებული საშუალებები იმისათვის, რომ დაუთმოს იგი კრედიტის სახით სესხის ამღებს.

Financial Times Share Indexes: აქციების კურსის ინდექსი, რომელსაც გაზეთი "ფაინენშლ-ტიმსი" ყოველ სამუშაო დღეს აქვეყნებს და რომელიც ლონდონის საფონდო ბირჟაზე აქციების ფასის ბარომეტრია.

financier (ფინანსისტი): პირი, რომელიც აფინანსებს საქმიან გარიგებებს ან სარისკო პროექტებს, ანდა აწარმოებს მოლაპარაკებებს დაფინანსებებზე ბანკთან ან სხვა ფინანსურ დაწესებულებებთან.

financial gap (ფინანსური გარღვევა/საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი): განსხვავება იმპორტის გადასახდელად და ეალეების მომსახურებისათვის საზღვარგარეთის ვალუტაზე ქვეყნის მოთხოვნასა და იმას შორის, რომელსაც ქვეყანა ღებულობს საზღვარგარეთიდან ექსპორტისა და სხვა შემოსულობათა სახით.

fiscal agent (ფისკალური, ფინანსური აგენტი): 1) მესამე მხარე, რომელიც გამოდის ობლიგაციის ემიტენტის (იხ. ამავე ლექსიკონში) სახელით ხელმომწერლების მიერ ანაზღაურებისას და მთლიანობაში ემსახურება ემიტენტს. 2) აშშ-ში უფლებამოსილი აგენტი, რომელიც მთავრობის სახელით ამოიღებს გადასახადებს და სხვა მოსაკრებლებს.

fiscal policy (ფისკალური/ბიუჯეტური პოლიტიკა): სახელმწიფო ხარჯების გამოყენება მაკროეკონომიკურ პირობებზე ზემოქმედებისთვის.

fixed exchange rate (ფიქსირებული გაცვლითი კურსი): გასაცვლელი კურსი სხვადასხვა ვალუტებს შორის, რომელიც ღვინდება ხელისუფლების მიერ და დაცულია მათ მიერ საკუთარი ვალუტის შესყიდვისა და გაყიდვის გზით მისი კურსის შენარჩუნების ან შემცირებისთვის.

float (ფლოტი): 1) აშშ-ში კორპორაციის ფასიანი ქაღალდების წილი, რომელიც ხელში აქვს არა კორპორაციას, არამედ თვით საზოგადოებას. 2) ფული, რომელიც გადადებულია ცალკე ფონდში გაუთვალისწინებელი მდგომარეობისათვის ან იმ ავანსისათვის, რომელიც უნდა იქნას გაცემული.

flurry (მოკლევადიანი საბირჟო პანიკა): ფეთქებადი საქმიანობა სპეკულაციურ, განსაკუთრებით ფინანსურ ბაზარზე.

foreign bond (საზღვარგარეთის ობლიგაცია): ობლიგაცია, რომელიც წარმოადგენს ერთი ქვეყნის მცხოვრებთა საკუთრებას და გამოხატულია სხვა ქვეყნის ვალუტაში.

foreign exchange (უცხოური ვალუტა): უცხო ქვეყნების ვალუტა, რომელიც შეისყიდება და გაიყიდება საეალუტო ბაზარზე (foreign exchange markets).

foreign investment (უცხოური ინვესტიციები/კაპიტალდაბანდებები): უცხოელი პირების ან კომპანიების მიერ კაპიტალის დაბანდება ნაციონალურ ეკონომიკაში.

free capital (თავისუფალი კაპიტალი): 1) კაპიტალი ფულად ფორმაში. 2) საჯარო კომპანიის აქტივები, რომლის შეძენა შეუძლია ყველას.

free market (თავისუფალი ბაზარი): 1) მთავრობის ზემოქმედებისაგან თავისუფალი ბაზარი, სადაც ფასები მოთხოვნა-მიწოდების მიხედვით იცვლება. 2) სავალუტო ბაზარი, რომელიც თავისუფალია ვალუტის კურსების მოძრაობაზე მთავრობის ზემოქმედებისაგან.

fund (ფონდი): ფულის ან ინვესტიციების რეზერვი, რომელიც შექმნილია განსაზღვრული მიზნისათვის (მაგ. პენსიის გასაცემად).

gift (საჩუქარი): აქტივების გადაცემა ერთი პირიდან მორეზე ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე.

gilt – edged security (პირველი კლასის ფასიანი ქაღალდი): ფასიანი ქაღალდი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, ანდა ობლიგაცია გამოშვებული ბრიტანეთის ხელისუფლების მიერ ზაზინის ან ფინანსთა სამინისტროს ობლიგაციის ფორმით. სახელმწიფო ასეთ ფასიან ქაღალდებზე აკურატულად იხდის პროცენტსაც და ახდენს მათ განაღდებასაც.

giro (ჭირო ანგარიშის სისტემა): ვალების დაფარვის საბანკო სისტემა, რომელიც დიდხანს გამოიყენებოდა ევროპაში. 1968 წელს ბრიტანეთის საფოსტო უწყებამ შექმნა ეროვნული ჭირობანკი. ამჟამად ეს უწყება ატარებს კომერციული ბანკისათვის დახასიათებულ ყოველგვარ მომსახურებას.

Giro Bank (ჭირო ბანკი): ჭირო ანგარიშსწორების სისტემა, რომელიც დიდ ბრიტანეთში კლირინგულმა ბანკებმა შექმნეს; ამ სისტემას არა აქვს ცენტრალური ორგანიზაცია და მისი საქმიანობა ბანკების განყოფილებას ეყრდნობა (იხ. აგრეთვე "ჭირო ბანკი").

gold card (პირველი კლასის საკრედიტო ბარათი): საკრედიტო ბარათი, რომელიც აძლევს მის მფლობელს სხვადასხვა პრივილეგიებს იმათ გარდა, რაც სტანდარტული საკრედიტო ბარათების მფლობელებს აქვთ.

golden share (ოქროს აქცია): სააქციო კაპიტალში კომპანიის წილი, რომელიც უფლებას იძლევა გაკონტროლდეს სულ ცოტა 51% ხმებისა.

gold standard (ოქროს სტანდარტი): ძველი ფულადი სისტემა, როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის ნაციონალური ვალუტის ერთეულს გააჩნდა ოქროს ფიქსირებული შინაარსი.

granter (გრანტერი): ოპციონის (იხ. ამავე ლექსიკონში) გამყიდველი.

grant-in-aid (მიზნობრივი სუბსიდია): ნებისმიერი სუბსიდია მიცემული ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის კონკრეტული სახის მომსახურების დასაფინანსებლად.

group life assurance (სიცოცხლის ჯგუფური დაზღვევა): სიცოცხლის დაზღვევის პოლისი, რომელიც მოიცავს ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს, რომლებიც დაქირავებულნი არიან და ერთად მუშაობენ, ან არიან

რომელიმე კლუბის ანდა გაერთიანების წევრები; ამ დროს, ხშირად, ერთი პოლისი ფორმდება.

guaranteed-income bond (ობლიგაცია გარანტირებული შემოსავლით): ობლიგაცია, რომელიც გამოშვებულია სიცოცხლის დამზღვევი კომპანიის მიერ და მის მყიდველს აძლევს გარანტიას გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიიღოს ფიქსირებული შემოსავალი, ანდა მიიღოს სახსრების გარანტირებული ანაზღაურება ვადის ამოწურვის ან სიკვდილის შემთხვევაში.

hard currency (მყარი ვალუტა): ვალუტა, რომელსაც, ჩვეულებრივ, მსოფლიოს ყველა ქვეყანა ღებულობს.

Hedging against inflation (პეჯირება/ინფლაციისაგან დაზღვევა): საკუთარი კაპიტალის დაცვა ინფლაციური რყევისაგან აქციების შესყიდვის გზით ან სხვა ისეთ აქტივებში დაბანდება, რომელთა ღირებულება უნდა იზრდებოდეს ფასების ზრდასთან ერთად.

holding company (პოლდინგური/დედა კომპანია): კომპანია კომპანიათა ჯგუფში, რომელიც ფლობს სხვა კომპანიების აქციებს (ძირითადად შვილობილი კომპანიებისას).

hot money (ცხელი ფული): 1) ფული, რომელიც მომენტალურად, სასწრაფოდ გადაირიცხება ერთი ფინანსური ცენტრიდან მეორეში უფრო მაღალი ხანმოკლე პროცენტული განაკვეთების მოსაძიებლად. 2) ფული, რომელიც მიღებულია არაწესიერი გზით და ამიტომ უნდა დაიმალოს.

immediate holding company (უახლოესი პოლდინგური კომპანია): კომპანია, რომელსაც გააჩნია სხვა კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ იმყოფება მესამე კომპანიის კონტროლის ქვეშ; რომელიც წარმოადგენს პოლდინგურ კომპანიას პირველი ორისათვის.

incidence of taxation (გადასახადის სიმძიმის ზემოქმედება/განაწილება): გადასახადის ზემოქმედება მათზე, ვინც რეალურად ატარებს ამ ტვირთს და არა მათზე, ვინც მას იხდის (მაგ. დღგ, რომელსაც გამყიდველები იხდიან, მძიმე ტვირთად აწევბათ საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებს).

income bond (შემოსავლიანი ობლიგაცია): 1) შემოსავლიანი ობლიგაცია ნაციონალური დანაზოგის სისტემიდან. 2) ობლიგაცია გარანტირებული შემოსავლით.

income distribution (შემოსავლების განაწილება): პაის მფლობელისათვის საპაიო ტრასტის გადახდა თავისი ნახევარწლიანი შემოსავლებიდან პაის პროპორციულად.

income stock (მომგებიანი ფასიანი ქაღალდები): ფასიანი ქაღალდი ან აქცია, შეძენილი, პირველ რიგში, მყარი და შედარებით მაღალი შემოსავლისათვის, რომელსაც შეიძლება მისგან ელოდე.

income tax (საშემოსავლო გადასახადი): პირდაპირი გადასახადი რომლითაც იბეგრება შემოსავალი.

inconvertible paper money (არაკონვერტირებადი ქაღალდის ფული): ქაღალდის ფული, რომელსაც არ შეუძლია იყოს შეცვლილი ოქროთი; ასეთია დღეს მსოფლიოში გამოყენებული ფულის უმრავლესობა.

indirect taxation (არაპირდაპირი დაბეგრვა): გადასახადით დაბეგრვა, რომლის სიმძიმეს ატარებს ის პიროვნება ან ორგანიზაცია, რომელიც პირდაპირ არ იხდის მოცემულ გადასახადს (შეადარეთ ტერმინს "direct taxation").

inflation (ინფლაცია): ფულის გაუფასურება; ფასებისა და ხელფასების ღონის ზრდა.

inheritance tax (მემკვიდრეობის გადასახადი): გადასახადის სახე სიმდიდრეზე, რომლითაც იბეგრება მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება.

input tax (დღგ): არაპირდაპირი გადასახადი რომელსაც იხდის მყიდველი მის მიერ შეძენილ საქონელსა და მომსახურებაზე.

insolvency (გადახდისუუნარობა): თავის დროზე ვალების გადახდის უუნარობა.

insurance policy (სადაზღვევო პოლისი): დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სადაზღვევო კონტრაქტის პირობებს, სადაც ნაჩვენებია დაზღვევის სახე, ანაზღაურებისა და სადაზღვევო შენატანების მოცულობა.

insured (დაზღვეული): ადამიანი ან კომპანია, რომელიც ფლობს სადაზღვევო პოლისს.

interest-rate margin (საპროცენტო მარჟა): განსხვავება იმ საპროცენტო განაკვეთს შორის, რომლითაც ბანკი იძლევა სესხს და იმ საპროცენტო განაკვეთს შორის, რომელსაც იხდის მსესხებელი დეპოზიტზე.

investment (ინვესტიცია): წარმოების საშუალებების შეძენა, რათა ნაწარმოები იქნას საქონელი მომავალი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

irredeemable securities (უეადო ფასიანი ქაღალდები): ისეთი ფასიანი ქაღალდები, როგორიცაა ზოგიერთი სახელისუფლებო ობლიგაცია, რომელზედაც არაა ნაჩვენები დაფარვის ვადა.

issue (ემისია): რაოდენობა აქციებისა ან ფასიანი ქაღალდებისა, შეთავაზებული საზოგადოებისათვის დროის რაღაც მომენტში.

issuing house: საემისიო სახლი (ჩვეულებრივ საეაჭრო ბანკი).

jobber (ჯობერი): 1) დილერი, რომელიც მუშაობს ფასიან ქაღალდებზე და აქციებზე და არა აქვს პირდაპირი კავშირი საზოგადოებასთან. კავშირი ზორციელდება მხოლოდ საბირჟო ბროკერის მეშვეობით. 2) დილერი, რომელიც საკუთარი რისკის ფასად დამოუკიდებლად ყიდულობს და ყიდის საქონელს.

jobbing backwards (საბირჟო თამაში): ძველი გარიგების, ან მოვლენის, თუ სხვა ქცევის შესაძლო ვარიანტების გააზრება, მაშინ რომ ყოფილიყო ცნობილი ის, რაც იცინა დღეს.

Keogh plan (კეოგის გეგმა): დაზოგვის სისტემა აშშ-ში, რომლის მიზანსაც წერილ მეწარმეთათვის საპენსიო ფონდის შექმნა წარმოადგენს.

Kite (გაბერილი თამასუქი): “შეგობრული” თამასუქის (accomodation bill) არაოფიციალური სახელწოდება (იხ. ამავე ლექსიკონში).

laundering money (ფულის “დაბანვა”): არაკანონიერი გზით (ქურდობით, ნარკოტიკების ვაჭრობით და ა.შ.) შესრულებული ფულადი ოპერაციები.

leasing (ლიზინგი): მოწყობილობების გაცემა იჯარით; ზოგიერთ კომპანიას მოწყობილობის შეძენას მისი ლიზინგის წესით ქირაობა ურჩევნია.

lender of last resort (ბოლო საფეხურის/ინსტანციის კრედიტორი): ქვეყნის ცენტრალური ბანკი, რომელიც პასუხს აგებს მთელ საბანკო სისტემაზე.

letter of indemnity (საგარანტიო წერილი): წერილი, სადაც ნაჩვენებია, რომ ორგანიზაცია, რომელიც მას ხელს აწერს, აუნაზღაურებს ადრესატს ზარალს.

life assurance (სიცოცხლის დაზღვევა): სადაზღვევო პოლისი, რის საფუძველზეც გაიყიდა განსაზღვრული თანხა დაზღვეულის სიკვდილის შემთხვევაში.

limit (ლიმიტი; შეზღუდვა): მითითება, რომელსაც აძლევს ინვესტორი ბირჟის ბროკერს, რომ გარკვეული შესყიდვები შეიზღუდოს მითითებული მაქსიმალური ფასებით, ანდა გარკვეული გაყიდვები მითითებული მინიმალური ფასით.

liquidation (winding up) (ლიკვიდაცია): კომპანიის აქტივების განაწილება მის წევრებსა და კრედიტორებს შორის მათი დათხოვნის წინ, როცა კომპანიის არსებობა მთავრდება.

loan (სესხი): ფული, გაცემული სესხად იმ პირობით, რომ ის აუცილებლად უნდა დაბრუნდეს მთლიანად ან ნაწილობრივ შეთანხმებულ დროში.

loan account (სასესხო ანგარიში): ანგარიში, გახსნილი ბანკის მიერ თავისი კლიენტისათვის, რომელსაც მან მისცა კრედიტი.

loan capital (სასესხო კაპიტალი): ორგანიზაციის საქმიანობის დაფინანსებისათვის აუცილებელი ფული, რომელსაც იგი იღებს სესხის სახით.

local loan (კომუნალური სესხი/ადგილობრივი ხელისუფლების სესხი): სესხი გამოშვებული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ღიდ ბრიტანეთში კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებისათვის.

local taxation (ადგილობრივი გადასახადით დაბეგვრა): გადასახადები, რომლებიც განისაზღვრება არა ცენტრალური, არამედ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

long-term bond (გრძელვადიანი ობლიგაცია): ობლიგაცია გრძელვადიანი ვალდებულებებით, რომლის დაფარვის ვადა ერთ წელზე აღრე არ ღგება.

long-term debt (გრძელვადიანი ვალი): ვალები და საეალო ვალდებულებები, რომელიც შეიძლება არ განაღდდეს სულ ცოტა ათ წელიწადში.

long-term liability (გრძელვადიანი ვალდებულება): დავალთანების თანხა, რომელიც არ უნდა დაბრუნდეს შემდგომი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

loss ratio (ზარალის ღონე): მთლიანი თანხა სადაზღვევო ანაზღაურებისა, გადახდილი სადაზღვევო კომპანიის ან სინდიკატის მიერ, გამოხატული პროცენტობით ამავე პერიოდში სადაზღვევო შენატანების თანხიდან.

lump sum (ერთდროული გადახდა): ფულადი თანხა, გადახდილი ერთად და არა ნაწილ-ნაწილ, მაგ. პენსიაზე გასვლის, შტატების შემცირების, სამოქალაქო სამართალდარღვევების შემთხვევებში და სხვა.

main market (ძირითადი ბაზარი): ჩვეულებრივი აქციებით ვაჭრობის წამყვანი ბაზარი ლონდონის საფონდო ბირჟაზე.

making up price (საანგარიშსწორებო ფასი): ფასი, რომლითაც საანგარიშსწორებო ღირებულება გაუნაღებელი ფასიანი ქაღალდები შეიტანება შემდგომ ანგარიშზე.

managed currency (მართვადი ვალუტა): ვალუტა, რომლის გამოყენებითაც ხელისუფლება აკონტროლებს ან ზემოქმედებს სავალუტო კურსზე.

managed fund (მართვადი ფონდი): ფონდი, რომელიც შესდგება სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების შენატანებისაგან.

management buy-out: მენეჯერების მიერ თავიანთი კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენა.

margin (მარჟა): 1) ფასიანი ქაღალდების ყიდვის და გაყიდვის ფასებს შორის სხვაობა. 2) საქონლის ღირებულების პროცენტი, რომელიც უნდა დაემატოს მის ღირებულებას გასაყიდი ფასის მისაღებად. 3) საბირჟო ბროკერთან დეპონირებული ფული ან ფასიანი ქაღალდები კლიენტის შესაძლო ზარალის დასაფარავად.

marginal tax rate (გადასახადის მარჟინალური განაკვეთი): დამატებითი გადასახადი, რომელიც გადაიხდება შემოსავლის ზრდის ყოველ ერთეულზე.

marked cheque (დამოწმებული ჩეკი): ჩეკი ბანკის მითითებით და აღნიშვნით - "ექვემდებარება განაღდებას".

market forces (საბაზრო ძალები): მოთხოვნა-მიწოდებასთან დაკავშირებული ძალები, რომლებიც თავისუფალ ბაზარზე საქონლისა და მომსახურების ფასსა და მოცულობას განსაზღვრავენ.

market price (საბაზრო ფასი): ნედლეულის, პროდუქტების, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების და ა.შ. ფასი ღია ბაზარზე.

master trust (სათაო ტრასტი): ტერმინი ზოგჯერ იხმარება საპაიო ტრასტის მმართველის მიერ თავისი "ფონდების ფონდის" (fund of funds) სახელისათვის.

medium-term liabilities (საშუალო ვადიანი ვალდებულება): ვალდებულება, რომლის გადახდის ვადა ერთიდან ათ წლამდე პერიოდი.

medium-term note ((MTN) საშუალო ვადიანი სასესხო ვალდებულება): არაუზრუნველყოფილი სასესხო ვალდებულება, გაცემული ევროვალუტაში, რომლის დაფარვის ვადაც შეადგენს სამიდან ექვს წელს.

meeting of creditors (კრედიტორების სხდომა): კრედიტორების მიერ ნებაყოფლობითი ლიკვიდაცია.

minority interest (აქციების არამაკონტროლირებელი პაკეტი): ცალკეული აქციონერების მონაწილეობა კომპანიაში, რომელთა აქციათა 50%-ზე მეტი ეკუთვნის პოლდინგურ კომპანიას.

mock auction (ფსევდო აუქციონი): აუქციონი, რომლის დროსაც ლოტი მიეყიდება ვილაცას შედარებით დაბალ ფასში, ვიდრე მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნული ყველაზე მაღალი ფასია.

monetarism (მონეტარიზმი): სკოლა ეკონომიკურ მექანიზმებაში, რომელიც ფულს აყენებს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ცენტრში.

monetary inflation (ფულადი ინფლაცია): თეორია, რომლის თანახმადაც ინფლაცია დაკავშირებულია მიმოქცევაში ფულის მასის გაზრდასთან.

monetary reform (ფულადი რეფორმა): ნაციონალური ვალუტის რევიზია, რომელიც გულისხმობს ან ახალი ფულადი ერთეულის შემოღებას ან მოქმედი ფულადი სისტემის მნიშვნელოვან შეცვლას.

monetary system (ფულადი სისტემა): ქვეყანაში მოქმედი სისტემა, რომელიც მოსახლეობას უზრუნველყოფს ფულთი მისაღე ტერიტორიაზე გამოსაყენებლად; ნიშნავს, აგრეთვე, ეროვნული ვალუტის სხვა ქვეყნის ფულზე გაცვლის მოცულობის კონტროლს.

monetary unit (ნაციონალური ფულადი ერთეული): ქვეყნის ფულის სტანდარტული ერთეული.

money (ფული): მიმოქცევის საშუალება, რომელიც ფუნქციონირებს როგორც აღრიცხვის ერთეული და დაგროვების საშუალება.

money market (ფულადი ბაზარი): ვალუტის და ძვირფასი ლითონების ბაზარი, რომელიც წარმოადგენს მოკლევადიანი სესხების ბაზრის დამატებას.

moratorium (მორატორიუმი): 1) მოლაპარაკება კრედიტორებსა და მევალეებს შორის ვალის გადახდისთვის დამატებითი დროის მიცემის შესახებ. 2) პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ერთი ქვეყნის მთავრობა ნებას აძლევს სხვა ქვეყნის მთავრობას შეაჩეროს ვალების გადახდა. 3)

პერიოდი, რომლის განმავლობაშიც რომელიმე ბაზარზე ჩერდება ყველა დაეალიანების გადახდა საეაჭრო ოპერაციების მიხედვით.

multiple taxation (გადასახდით მრავალჯერადი დაბეგვრა): ერთი და იგივე შემოსავლის გადასახდით დაბეგვრა ორ ან მეტ ქვეყანაში.

